

140
1981



ՀՈՒՆԵՆԴԻ

10
1981

დას
ნათლის
სვეტად

არის სხივთა ქარბუქი,
გასაოცრად ელავს მზე —
ოთხმოცი წლის ჭაბუკი,
მოდის ბორის ძნელაძე!

გმირული ოციანი
წლების კომკავშირელთა
სიტყვა ომახიანი
გრგვინავს მტკვრის ნაპირებთან.

საქმეც ნაღდი სჩვეოდათ,
არა სხვათაშორისი.
ვინმე გზას ასცდებოდა?
იქვე იყო ბორისი —

სიმართლის და კაცობის
ხმალი რკინისმკვნიტელი,
ჩვენი ახალგაზრდობის
რწმენის მტკიცე კედელი.

ძალას მისი საქმისას
დროის სრბოლა ვერა სძლევეს
და დგას სვეტად ნათლისად
ჩვენი ბორის ძნელაძე!

ნემზარ აუხაზაპე

გორის ძნელაძის ძეგლი
კომკავშირულ ძალაში.



საქართველო ჭაბუკი

შესრულდა 80 წელი საქართველოს კომკავშირის ფუძემდებლის ბორის დავითის ძე ძნელაძის დაბადებიდან. ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიცოცხლე მან თავისი ხალხის განთავისუფლების, მშრომელი მასების უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის დიად საქმეს მოახმარა.

თანამედროვე ახალგაზრდა თაობისათვის აამაგალითოა ბორის ძნელაძის ნათელი ბუნება, მშრომისმოყვარეობა და ადამიანური უბრალოება. სწორედ ხასიათის ამ თვისებებმა აქცია იგი ყველასათვის საყვარელ ამხანაგად და საიმედო მეგობრად. ასე-

თად დარჩა იგი თანამებრძოლთა ხსოვნაში, ასეთად იკნობს მას ჩვენი დღევანდელი, საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობა.

ბორის ძნელაძე დაიბადა 1901 წლის 23 აგვისტოს ქ. გორში. საიდანაც მისი ოჯახი საცხოვრებლად ხაშურში გადავიდა. აქ იგი შეიყვანეს პროფინაზიაში. მალე, მამის მძიმე ავადმყოფობის გამო, ოჯახი იძულებული გახდა გურიის სოფელ ბურნათში გადასულიყო. 1916 წელს ბ. ძნელაძე შედის თბილისის ვინო-გრაღოვის ტექნიკურ სასწავლებელში, სადაც თავისი ძმის, ვარლამის

დახმარებით ეცნობა პოლიტიკურ ლიტერატურას.

ბორისმა, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდამ, თექვსმეტი წლის უმაწვლამა, მასაჟით შეუპოვარა ახალგაზრდების ერთ პატარა ჯგუფთან ერთად დაიწყო პირველი აგურების მიტანა იმ, ახლა უკვე მრავალათასიანი ორგანიზაციის ააშენებლად, რომელსაც დღეს საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირი ეწოდება.

ინტენსიურმა მუშაობამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. შეიქმნა „სპარტაკის“ ორგანიზაციები საქართვე-

ლოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. 1919 წლის 31 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში ჩატარდა „სპარტაკის“ ორგანიზაციების თბილისის პირველი საქალაქო კონფერენცია. მან ბ. ძნელაძის ხელმძღვანელობით შეიმუშავა ახალგაზრდების კომუნისტური ორგანიზაციების წესდების პროექტი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ წევრი შეიძლება იყოს ის, ვინც ცნობს კომუნისტური პარტიის პროგრამას და მის იდეურ ხელმძღვანელობას“.

კონფერენციამ აირჩია თბილისის ბიურო, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა საქართველოსა და სომხეთის ორგანიზაციათა საქმიანობისათვის. ბიუროს ხელმძღვანელად ბ. ძნელაძე დაამტკიცეს.

იმავე წლის სექტემბერში ბორისი ბაქოშია და მონაწილეობს ამიერკავკასიის კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი საოლქო კონფერენციის მუშაობაში.

1919 წლის შემოდგომისათვის საქართველოს ბოლშევიკები შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდნენ მენშევიკური რეჟიმის დასამხობად. მზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ კომკავშირელებიც. ბორისი ოქტომბრის შუა რიცხვებში დაბრუნდა ბაქოდან და შემოიარა ქუთაისი, ლანჩხუთი და ჩოხატაური, სადაც რაზმავდა ახალგაზრდობას მომავალი შეტაკებისათვის. მაგრამ გამცემთა ხელშეწყობით მენშევიკებმა შეძლეს აჯანყების ჩახშობა. დაიწყო რეპრესიები და დაპატიმრებები. ციხეში აღმოჩნდა ბორის ძნელაძეც. აქედან კონსპირაციულად უკავშირდება კომკავშირის საოლქო კომიტეტის თბილისის ბიუროს და აძლევს მას სახელმძღვანელო მითითებებს. 1920 წლის იანვრის დასაწყისში ბ. ძნელაძე ახერხებს ციხიდან გამოსვლას. მალე პარტიის დავალებით, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ე. წ. „ტექნიკური კოლეგია“ და „მფრინავი რაზმები“, რომლებსაც დავალათ ბოლშევიკური ლიტერატურის არალეგალური ბეჭდვა და გავრცელება. ბორისმა არ იცოდა დათმობა, უკანდახევა, ის იყო შეუდრეკელი მებრძოლი, რომელსაც სწამდა გამარჯვება.

მრავალი დევნისა და შევიწროების მიუხედავად, 1920 წლის 25 აგვისტოს ბ. ძნელაძე თბილისში, „ეროვ-

ნული საბჭოს“ შენობაში, ხსნის საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის პირველ „ლეგალურ“ ყრილობას. თავის შესავალ სიტყვაში ბორისმა მოკლედ შეაჯამა კომკავშირელთა მიერ ჩატარებული მუშაობა. საქართველოს კომკავშირის პირველმა „ლეგალურმა“ ყრილობამ ბ. ძნელაძე ახალგაზრდობის მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში აირჩია საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლად. ყრილობის მუშაობას ბოლომდე გაგრძელების საშუალება არ მისცა მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტრომ. როდესაც დაიბაზში შემოჭრილი რაზმელები თოფის კონდახებით მიიწვედნენ დელეგატებისაკენ, ბორის ძნელაძემ მაინც დაამთავრა თავისი სიტყვა და წარმოთქვა: „საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ნამდვილი ლეგალური ყრილობა შეიკრიბება იქ, სადაც დღეს ზეიმობს საზიზღარი მენშევიკების დამფუძნებელი კრება“.

ყრილობის გარეკვისთანავე დააპატიმრეს ახლადარჩეული ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა, მათ შორის ბ. ძნელაძეც.

საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე ასეთი მუხანათური თავდასხმის გამო ცეკამ დაბეჭდა საპროტესტო წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ამხანაგ ძნელაძის, როგორც გარეკილი ყრილობის თავმჯდომარის დატუსაღების გამო ცეკა აცხადებს თავის უღრმეს აღშფოთებას და პროტესტს ჩვენი ლეგალური მუშაობის ელემენტარული პირობების უხეშო დარღვევისათვის.

ცეკა მოუწოდებს მთელ შეკავშირებულ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას და საქართველოს რევოლუციურ პროლეტარიატს, სასტიკი პროტესტი გამოუტყვადონ რევოლუციური ორგანიზაციების წარმოდგენელი დაცინვისა და საგანგებო რაზმელების მიერ ყრილობის ჩაშლისათვის“.

მიუხედავად პროტესტისა, რამდენიმე დღის პატიმრობის შემდეგ ძნელაძეს ასახლებენ ბაქოში.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. ბორისი მხურვალედ მოუწოდებს საქართველოს ახალგაზრდობას, იბრძოლოს

სიმაართლისა და მშრომელი ხალხის, მუშებისა და გლეხების ინტერესებისათვის. იმავე წლის 22 აპრილს ბორის ძნელაძეს ირჩევენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. მცირე ხნის შემდეგ იგი პარტიის თბილისის რაიკომის მეორე მდივნად აირჩიეს.

1921 წლის 21 აგვისტოს გაიხსნა სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პირველი ლეგალური ყრილობა. ყრილობას ესწრებოდა 223 დელეგატი. ბ. ძნელაძემ ნათლად ჩამოაყალიბა ის უპირველესი მნიშვნელობის ამოცანები, რომლებიც იმხანად იდგა რესპუბლიკის მშრომელი ახალგაზრდობის წინაშე.

„დღეს ჩვენმა ყრილობამ უნდა თქვას, რომ ორგანიზაციული მუშაობის პერიოდი დამთავრდა, — თქვა მან. — ექვსი თვის განმავლობაში შევძელით საქმოდ შეგვეკავშირებინა საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა და დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომუნისტური კავშირი არის ერთადერთი ორგანიზაცია საქართველოში, რომელსაც მხარს უჭერს ქალაქის და სოფლის მთელი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა. დღეს ჩვენმა ყრილობამ უნდა თქვას, რომ მენშევიკების მიერ დანთხეული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის შხამი საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობას არ მოსდებია და ის ძმურ ხელს უწყდის სომხეთის, აზერბაიჯანისა და დიდესტნის მეგობრულ ახალგაზრდათა კავშირების ორგანიზაციებს. მომავალ კავკასიის ყრილობაზე ჩვენ უნდა ვალიაროთ, რომ ძალა ერთობაშია. ჩვენ, მჭიდროდ და ძმურად შეკავშირებულნი კავკასიის მთელ რე-

მხ. 91

საპარტიო უფროსი ალ. ჯ. ი. ს. და
 პ. ი. ლენინის სახელობის
 კომუნისტური ორგანიზაციის
 კავკასიური საბჭოს
 ყოველთვიური
 საპარტიო მუშაობა

კომუნისტი
 10 იანვარი 1981

საქ. კ. ს. ს. ს. გამომცემლობა

ვოლუციურ ახალგაზრდობასთან, შეკძლებთ ეკონომიური კრიზისიდან გამოსვლას და ჩვენი წითელი დროშის მიტანას საბოლოო გამარჯვებამდის...“

27 აგვისტოს ყრილობის შემდეგ შემდგარმა პლენუმმა ბ. ძნელაძე კვლავ აირჩია საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

დაულალავად, აქტიურად მონაწილეობს ბორისი საბჭოთა საქართველოს მშენებლობაში.

„ახლა, როდესაც ჩვენი ბრძოლის პირველი პერიოდი გათავდა, დაგვრჩა მეორე საქმე გასაკეთებელი — წითელი ლაშქრის შექმნა და მისი გამაგრება, — წერს ბორის ძნელაძე ერთ-ერთ წერილში. — ჩვენ უნდა მივცეთ საქართველოს წითელ ლაშქარს ჩვენი საუკეთესო წევრები, რომლებიც შემდგომში იქნებიან სამხედრო მეთაურები და დასდებენ თავს საბჭოთა მთავრობის არსებობისათვის...“

1922 წლის 5 დეკემბერს დღის 12 საათზე ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის პირადი შემადგენლობა სააღმუშაოდ მიეწყო თავისუფლების მოედანზე. სკოლის ამ აგლარი პოლიტკომისარი ბორის ძნელაძე ასე მიესალმა თავის კურსანტებს: „დღეს მოხდება პირველი გამოშვება ქართული ჯარის წითელი მეთაურებისა. მათ საბჭოთა რესპუბლიკა მეტად ღირსშესანიშნავ როლს აკისრებს. მათ ევალებათ, გახდნენ არა მარტო სამხედრო მეთაურები, არამედ დაიკავონ ადგილი ჯარის პოლიტიკურად აღმზრდელებისა და შესძლონ პოლიტიკური ხელმძღვანელობა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობისა, რომელიც თავმოყრილია წითელ ჯარში...“

ქართული ლაშქრის წითელი მეთაურების პირველი გამოშვება მეტად ღირსშესანიშნავი გამარჯვებაა საბჭოთა რესპუბლიკისა და ჩვენ მოველით პარტიისა და კავშირის დახმარებით შემდეგ გამარჯვებებსაც ამ დარგში...“

შეგობრები, ამხანაგები, ახლობლები ბორისს ეკნობდნენ, როგორც საოცრად მტკიცე, გაუტეხელ ადამიანს. იგი არ ეშუებოდა თავის ავადმყოფობასაც — დევნაჲ ციხეში ყოფნაჲ, აფორიაქებულმა კხოვრებამ ხომ ძალე გატეხა ბორისის ისედაც სუსტი ჯანმრთელობა.

ბორის ძნელაძეს არ დასცალდა,

მისთვის დამახასიათებელი გულმგზნებარებით ეშრომა და ეღვაწა ახალი საქართველოს წინსვლისა და აყვავებისათვის. უღმობელმა სიკვდილმა ფრთები შეამსხვრია მის ოცნებებს.

22 წლის ჭაბუკი 1923 წლის 5 ოქტომბერს საბოლოოდ გამოაყლდა ახალმშენებელთა რიგებს.

გაზეთ „სპარტაკის“ 1922 წლის 14 ოქტომბრის ნომერში თბილისის უნივერსიტეტთან არსებული მუშათა თეატრეტის კომკავშირული მმენელებისაგან გამოგზავნილ დეპეშაში ვკითხულობთ:

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ჩვენი კომუნისტური კავშირის დამარსებელ ამხანაგ ბორის ძნელაძის უღროოდ დაკარგვის გამო იმ საქმეს, რომელსაც იგი ემსახურებოდა მშრომელი ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ, თავს შევსწირავთ, სანამ იგი არ განმტკიცდება მთელ მსოფლიოში.“

ბორისის რევოლუციური თავდადება იმთავითვე უმაღლეს დონეზე შეაფასა და წარმოაჩინა ჩვენმა პარტიამ და ხალხმა. ამისი ნათელი დასტურია მის თანამებრძოლთა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა გამონათქვამები ბ. ძნელაძის შესახებ:

„...დაკარგეთ მეტად საყვარელი ადამიანი, — ეს „ბავშვი“, მაგრამ ცეცხლისმფრქვევი რევოლუციონერი, პროლეტარი ბორია, ბორის ძნელაძე... ვისურვოთ, რათა ბორისის ხსოვნა არ დაკარგოდეს არავის ჩვენთაგანს, პარტიიდან და კომკავშირიდან ერთგვარად და ის, როგორც ტიპი ჩვენი დროის რევოლუციონერისა, თავდადებული და მამაცი, ღვიძლი საუკეთესო შვილი ოქტომბრისა, ყოველთვის ყოფილიყოს მაგალითი და მისი სახელი, სულის აღმფრთვანებელი, წარმოუდგეს ჩვენს ამხანაგებს, ძველსა და ახალგაზრდებს ერთგვარად, ყოველ წუთში“... (მ. ცხაკაია);

„მუდამ პირდაპირი, პატიოსანი, გულწრფელი... ის პოულობდა საჭირო, ნათელ, გასაგებ და უბრალო სიტყვებს, რომლებიც აბათილებდნენ ყოველგვარ უთანხმოებას, თუკი ასეთი რამ შემოიპარებოდა ჩვენს რიგებში.“

ჰქონდა მკაცრი და მტკიცე ხმა, რომელშიც გამოსჭვიოდა თავისებური ბავშვური უმანკოება. ეს უმანკოება უფრო მეტად ახლოებდა მას ამხანაგებთან, ხდიდა მშობლიურსა და საყვარელს“... (ზ. რაბინოვიჩი);

„ის იყო სამაგალითო რევოლუციონერი და მოღვაწე. დიდი როლი შეასრულა წითელი არმიის განმტკიცებისათვის და კონტრრევოლუციურ ბანდებთან ბრძოლაში“... (ს. ორჯონიკიძე);

„20 წლის ჭაბუკი როდესაც ასეთი მტკიცე რევოლუციონერია, ეს არის გმირობა“... (მ. ორახელაშვილი);

„იგი თავდადებით აწარმოებდა კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლას... მის პირველმა დააარსა ამიერკავკასიაში კომკავშირული პირველი უჯრედი“... (გ. დევდარიანი);

„ამხანაგი ბორისი ის პირველი მერკხალია, რომელმაც პირველად ჩაუყარა საძირკველი ჩვენი კომუნისტური კავშირის რიგებს“... (დ. კაჭარავა).

ოცდაორი წელი ზოგისთვის თვალის გასახელოდ არ კმარა, ბორისმა კი მთელი ცხოვრება გალია.

ცამეტი წლისამ ახალი თვალით შეხედა სამყაროს და იწამა ჭეშმარიტება; გამოიჩინა შორსმჭვრეტელობა, ნათელზნეობა, მტკიცე ხსიათი; იყო გულმართალი და პატიოსანი, პირდაპირი და უდრეკი, უხანგარო და თავდადებული, უყვარდა ყველა მშრომელი ადამიანი.

დღეს კი, როცა მისმა დიდმა საქმემ გაიმარჯვა, შვენაბადას მთაზე, სადაც კომკავშირული ქალაქი „ბორის ძნელაძეა“ გაშენებული და სადაც 20-იან წლებში ფარულად იკრიბებოდნენ საქართველოს პირველი კომკავშირელები და ოცნებობდნენ საქართველოს ბედნიერ მომავალზე, აი, ამ ისტორიულ ადგილას ცოცხლად არის აღმართული ბორის ძნელაძის ძეგლი, რომელიც მომავალ თაობას, ახალგაზრდებს მოუწოდებს ახალ-ახალი გმირული შემართებებისაგან.

ახლაც, მისი დაბადებიდან 80 წლისთავზე, ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს და ხედავს, რომ იგი ღვას ჩვენს შორის, როგორც ფესვმაგარი და შეუღრეკელი მუხა, ღვას და აღვავფრთვანებს, ძალას გვმატებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის უკეთილშობილეს საქმეში.

ვიოლა კანკია,

საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.



გზის დასაწყისი

გივი გუმბაზი

მოთხრობა

მხატვარ ზურაბ ფორჩხიძე

— რატომაც არ ვიცი? მოდი, მოგცე შენი...
 გაგამ ძველ შემთავრებას ცხენი, მოვიდა და წყრომით გამოართვა ღილი და ქამარი...
 — რა გაბრაზებს, რა! ჩემი ბრალია? ცხენმა აჯობა ცხენს, მე სხომ არ გაჯობე შენა?...
 — არა, შენი ბრალი კი არ არი, მაგრამა... კარგი ბაღლი ხარ! მოდი, ამის შემდეგ ერთად ვატაროთ ცხვარი, პო?
 — ვატაროთ!
 — დავძობილდეთ კიდეცა, პო? ეხლა კი ვაგაგები-ნებ, საიდანაცა გვყავს ამდენი ცხვარი. ვახსოვს, გუშინ-წინ ქარიშხალი რომ ამოვარდა?... ქსნელებს მოსდენო-დათ ცხვარი და გადასცვენოდათ კლდეზე. გუშინ იყო მამაჩემი იქა და თითოობით ეკრიფნა ზოგი სად, ზოგი — სად!
 — რომ მოიკითხონ პატრონებმა?
 — კოლექტივისა, ვინ მაიკითხავს? თუ არა და... რაღა დროს მოკითხავა ეხლა? წავიდნენ უკვე! ეხლა იმათა პკონიათ, რაც რამ ქარიშხალმა გადაუყარათ კლდეზე, დაიხოცებოდნენ სულა!
 — მერედა, როგორ ამოიყვანა მამაშენმა? ეგეთი ად-ვილი ამოსარგვია იქიდანა? ვიცი ის ადვილი!
 — კიდეც ბევრი დარჩა იქა! რომლებსაც მიუღდა, ისი-ნი ამორეკა მარტო. დანარჩენებს მიანება თავი.
 — რამდენი ამოიყვანა?
 — ოცდაათი! ეხლა ოთხმოცდაათი გვყავ! გაისად ორი ამდენი გვეყოლება!
 — როგორ გადარჩნენ იმ კლდეზე ცოცხლები, მიკ-ვირს!
 — დახოცილებიც ბევრი ყრიაო, — თქვა. ერთი ამო-ეყვანა დამტვრეული და ვერგადასარჩენი, იქვე დაეკლა და ჩამოიტანა ხორცი. მოგხარშეთ... აქაცა მაქ წამოლე-ბული, მოდი, ვჭამოთ, არა გშინა?
 ხუგზარს შიოდა კი, მაგრამ გული არ მიუვიდა ხორცი-ზე და უხმოდ ამოიღო ყველ-პური.

5

დიდი ხნის უნახავი მწყემსის დაბრუნება ზემოთ ოჯახში. ერთთავად თვლებში შესცივინებენ თავიანთ შვილს, ძმასა თუ ქმარს, აღარ იციან, რით აამონ! სანამდე განელდებოდეს პირველი შეხვედრით გამოწვეუ-ლი სიხარული, დაბნეულებივით არიან ყველანი. მერე მოდიან ვინს და იწყება სამზადისი. ივლებს ცხვარი, სა-ხელდახელოდ ცხვება პური, იხარშება ყაურმა, ხორცი, ხინკალი, იწყება მწვადი... ყველა ცდილობს, მთაბარობა-ში თვეობითა თუ წლობით გადატანილი სიღუჭჩირე კარ-გი დახვედროს და ღზინ-მხიარულობით გაუქარწყლოს მწყემსს.

გადმოვიდა თუ არა ყიზლარიდან ცხვარი, გუგუდამ ფარიდან გამოარჩია თავისები, გამოატანა მეზობლებს და თვითონ კი მთაში გაჰყვა კოლექტივის ფარას. კარგა ხნამ-დის ველარ მოახერხა შინ ჩამოსვლა. ოქტომბერში წასუ-ლი ივნისის ბლომდის ველარა ნახეს შინაურებმა. ელეთ-მელეთი მოუვიდათ დიდი ხნის უნახავის დანახვაზე. პირ-ველად ტასომ მოჰკრა თვალი. მოაჩირზე გადაყუდებუ-ლი ქმრის წინდებს ფერთხავდა და, რაწამს გაინება გზის-კენ, უმაღვე მოესმა იორლით გამოჭენებული ცხენის ფე-ხის ხმა. დატყვიცა თვალები, მოიჩრდილა ხელი და მე-რე აყვირდა ზარდაცემულივით:

— ჩემი გუგუდაა!.. ჩემი გუგუდაა!..

დედამთილის კვიცილზე საქმეს თავი მიანება ნათელა-მაც, გავარდა აივანზე და გახედა ცხენით თავქვე მომდი-ნარ ქმარს.

გადაკრული ჩანდა გუგუდა. წელგამართული და ყელ-მოღერებული იჭდა უბელო საფერზე, მოაგოგმანებდა არხინად და ღილინებდა მთიულურად. შემოაჩაქაქა ეზოში, ჩამოხდა ძირს; მოიხალა ვეება ბანჯგოლიანი ქუ-ლი და გაღიმებული გადაეხვია სიხარულისაგან აკრემლე-ბულ დედას. მერე უნოდა გადახვეოდა ცოლსაც, მაგრამ ადვილად როდი დააღწია თავი დედის მკლავებს. ახუტებ-და მოხუცი ფართე მკერდზე თავს, ცრემლებით ულტობ-და მთის ყუავილებითა და ცხვრის სუნით გაჟღენთილ შა-ლის პერანგს და გაიძახოდა მკვნესარე ხმით:

— შვილი, შვილი!.. ჩემი შვილი, ჩემი გუგუდა!..

მერე დამდნარი ხელი წაავლო მის ღონიერსა და მძიმე მკლავს, მიიხუტა გულზე და აკოცა დაჩირჩვებულ თი-თებზე...

— კარგი, გეყოფა, კარგი, კარგი!.. — დაჰკივლა თო-მამ.

— შენის მეტს აღარავისა ჰყავს შვილი ცხვარში? — და მიეჭრა ახლა თვითონ.

მან ცოლივით როდი დგარა ცრემლი. ერთი აკოცა შვილს, მერე უკუდგა და ხელი შემოარტყა ქედზე.

ერთხანს ველარას ახერხებდა სიხარულისაგან აკრემ-ლებული ნათელა. მერე უსიტყვოდ გადაეხვია ქმარს და ცრემლითა და კოცნით დაულტო სახე.

— შენ გენაცვალოს დედა, შენა!.. როგორ რამ იმგზავ-რე, შვილო?... როგორ რასმე ხარ ჯანზე?... — არ ეშვე-ბოდა დედა.

— ეჰ!.. ვარ, რაღა... არ იცი, როგორ იქნება მწყემსი?

...მერე ყველამ სახლისაკენ იბრუნა პირი და ახლალა შენიშნეს, რომ წივილ-კივილით გამორბოდა გახარებუ-ლი მარინე.

— ოჰ!.. მამის ქალი, მამისა!.. — შესძახა გუგუდამ და ისე ჩაიდრიკა მუხლებში, ხელიდან არ გაუგდია კომბა-ლი. — მოდი, გენაცვალოს მამი, მოდი!



გოგონა გამოქცეული შეასკდა მკერდზე, მოხვია კისერზე ხელები და, რაკი გაუპარსავი ჰქონდა პირი, დაწვისთავებზე დაკოცნა.

გუგულა თანდათან ისევ გაიმართა მუხლებში, თან აიყოლა ბავშვიც და მიუბრუნდა ცოლს:

— ნუგზარი სადღაა?

— ცხორში!

— დღეს წავიდა პირველად! — ჩაილაპარაკა თომამ და მიუბრუნდა ქალებს: — ჰაა, რაღას უდგებართ აქა? დატრიალდით ესლა!

— დიცა, კაცო, ჯერა, ვუყურო ე ბაღსა! — დიდგულად წამოიძახა მოხუცმა ქალმა.

— იცი, მე რა მაქვს შენთვისა? — უთხრა მამას მარინემ, რომელსაც ჯერ კიდევ მის კისერზე ეხვია ხელი, მეორეთი კი ხან გაუხსნიდა საყელოს, ხანაც შეჟურავდა ისევ.

— რა, ჩემო ქალო, რა გაქვს?

— რა და ჭრელი ხელთათმანები! მე დაგიქსოვე! დედამ მასწავლა და ჯერ ნუგზარს დავექსოვე, მერე — შენ! სკივრში მაქვს შენახული. ჩამსვი, მოგიტანო!

— გააკეთე, რაც გასაკეთებელია, და უყურო მერე არ იქნება? — ცოტა უფრო მკაცრად წამოიძახა მარინემ.

— აი, მამი, აი!.. — მალა დაჭერილებს აქანავებდა. — აბა გაიკეთე, როგორ მოვივა? მამგვარე ბაღი აქა! ჩავაცმევ! — მიაწოდა ხელთათმანები და გამოართვა პატარა ძმა.

გუგულამ დახედა მართლაც ლამაზად დაქსოვილ ხელთათმანებს და წამოიძახა ნასიამოვნებმა:

— ბიჭოს!.. მართლა შენ დაქსოვე, შვილო?

— მაშა!.. ჰკითხე ბებიასა და დედასა, თუ არა გჯერა!

— დიდი გოგო გამზრდია შვილი და მე კი არ ვიცოდი ჯერა! ყოჩაღ! — შესძახა გუგულამ და წამოიცივა ხელთათმანები. მერე გადააბრუნ-გადმოაბრუნა ხელები, დააკერდა კვლავ და მიუბრუნდა მამას: — აბა, ვინ იტყვის, რომ ბაღის დაქსოვილებია ესენი? შენ გენაცვალოს მამა, შენა! მოდი, გაკოცო!

მარინემ მიუშვირა ლოყა.

გახარებულ გუგულას ახლა უკვე დავიწყებოდა სიფ-



მგრამ მამამ გაუშვა კი არა, კიდევ უფრო მიიხუტა გულზე, უკან გადაუწია ჩამოშლილი თმა და აკოცა ფრთხილად, რათა ძალიან არ დაეჩხვლიტა ფიჩხა წვერით.

ცოტა ხნის შემდეგ შინისაკენ გაეშურნენ ყველანი და, ავიდნენ თუ არა აივანზე, ჩასვა მამამ ბავშვი.

ნათელამ გამოიტანა სკამი, მერე კი გამოუყვანა ქმარს ძალად გაღვიძებული და აკვნიდან ეს-ესაა ამოყვანილი ბავშვი.

პირველად ახლა ხედავდა მამა მესამე შვილს...

— ანდე, როგორი კარგი გვყავ, როგორი კარგი!.. —

გალიმებული ეუბნებოდა დედა.

ბავშვმა რომ შეხედა გაუპარსავ კაცს, დაიმეღლითა სატირლად. ამაზე ერთბაშად ახარხარდნენ ყველანი.

— მამა, შვილო, მამა, მამა! — უყვავებდა ბებია.

დიდროვან ხელებში მალა ატატებული ეჭირა შვილი გუგულას და გალიმებული ეალერსებოდა ბუხუნა ხმით:

— რა კარგი კაცა ყოფილა, ჰეეე!.. რა დაარქვით?

— ბაპის სახელი!

— გაუმარჯოს პატარა თომასა, გაუმარჯოს!..

— ჰაა! — კვლავ მიუბრუნდა ცოლსა და რძალს დიდი თომა. — დატრიალდით-მეთქი!..

— ჰოო, კაცო, ჰოო!.. დაგვაცა, ადამიანო, ვუყუროთ ე ბაღსა!.. — წუწუნებდა ტასო.

რთხილე და გამეტებით ჩაკოცნა ბავშვი.

— როგორი გელგათ ზამთარი? — ჰკითხა ბოლოს შვილს მამამ.

— ცუდი ძალიანა! გაგვითავდა თივა, კინაღამ რძე გაუშრა ცხვარსა და გავვიწყდებოდა კიდევ ბატკანი, მაგრამ ვზიდეთ ფქვილები კაჩუბეიდანა და ვუთქვიფეთ ისა. ძლივს გავაღწევიანეთ სული. გვიანდა სამ გამოგვივაზაფხულდა და ბეწვზე მოუსწრო ბალახმა, თორე...

— როგორ იმგზავრეთ?

— ცუდად ძალიან! ისე შეგვაწუნა ქარებმა და წვიმებმა... ლამის გვანატრეს სიკვდილი!

ამ დროს კარებთან გამოჩნდა ნათელა და დაუძახა ქმარს:

— მოდი, დაიბანე!

...ორიოდე საათის შემდეგ დაბანილ-გაპარსული და სუფთად ჩაცმული გუგულა გაშლილ სუფრასთან ღლი-



ნობდა სტუმრად მოწვეულ მეზობლებთან. სვამდნენ არაყს, აყოლებდნენ ლუღს, შეეკცეოდნენ ყაურმასა და მწვანს, თანაც ლაპარაკობდნენ ცხვარ-მწყემსის ამბებზე, განვილილ ამინდებსა და ვაჟკაცობაზე დანდობასა და გატანაზე...

შემოვიდა მარინე და უთხრა მამას:

— ნუგზარს მოუღის ცხვარი!

გუგულა მივიდა ფანჯარასთან. აქედან კარგად მოჩანდა დაგალავებით მომდინარი სამწყსო, რომელსაც უკან მოჰყვებოდა ცხენზე შემჯდარი პატარა მხედარი. აი, ნელა შემოუძღვნენ ვაცები ეზოში ცხვარს... ჩამოსდა ნუგზარი ცხენიდან, მიაბა მარგილზე და მერე მიუბრუნდა ბაჟის კართან მიგუბებულ ცხვარს.

მამა გახარებული უყურებდა შვილს... ჩაირბინა მარინემ, პატარა ნაწნავების ქნევით მიეგება ძმას, ჩამოართვა გულა და მოუცადა იქვე.

ნუგზარმა შერევა ბაჟში ცხვარი, მოუხურა ლასტის კარი, გაუგლო კეტი და გამოეშურა შინისკენ.

— კვიცი გვარზე ხტისო, ტყუილად კი არ არის ნათქომი! — ჩაილაპარაკა მეზობელმა და გაიცინა.

— რალა გიჭირთ, ბედნიერი ხალხი ხართ, რო კარგი მორბედი გეზრდებათ! — მიამახა მამასა და შვილს მერემ.

და-ძმანი კი მოდიოდნენ ერთად და მარინე ეუბნებოდა ნუგზარს:

— იცი, რა უნდა გახარო?

— რა?! — გაოცებული შეჩერდა ბიჭი. იგი ვერ ხედავდა მამის ცხენს, რომელიც საბძლის უკან სძოვდა მათიტელას.

— მომეცი პირობა, რო აღარ მაწყენინებ და გახარებ კაი რალაცას! — შესძახა გოგონამ და მხარზე დაადო ხელი.

— არა, აღარ მაწყენინებ!

— დაიფიცე!

— მამის მშვიდობით ყოფნა!

— მოვიდა!.. ავე ცხენი!.. — დაანახვა გუგულას საფერზე მარინემ.

ფანჯრიდან დაინახეს, როგორ დააპირა ნუგზარმა გამოქცევა, მაგრამ შეაჩერა დამ:

— დაიცა, დაიცა! კიდევ უნდა გითხრა რალაცა!..

— რა? გამიშვი, მერე მითხარ!.. — შესძახა და გამოიწია გამოსაქცევად.

წამოეწია და ისევ შეაჩერა მარინემ:

— შენთვის იცი რა მაქვს შენახული?

— რა? გამიშვი, მერე მითხარი ეგა! — შესძახა დიდგულად, გამოექცა და სულმოუთქმელად ამოირბინა კიბე.

— ოოო... გაუმარჯოს ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!.. — შესძახა ვილაცამ. მაგრამ მისთვის არც შეუხედავს ბიჭს, უმაღვე დალანდა მამა და გახარებული შეახტა მკერდზე, მოხვია ხელები და ლამის მთლად დაუკოცნა სახე.

— მოუტანეთ სკამი და დაჯდეს ჩვენთანა. — გასცა განკარგულება თომამ.

მარინემ შემოუტანა სკამი და გუგულას გვერდით დაუდგა ძმას.

დაჯდა ბიჭი და გაღიმებული მიაჩერდა მამას.

— როგორ დალამე დღევანდელი დღე? ძნელი ყოფილა მწყემსობა? — შეეკითხა მამა.

— შენ არა ჰქმარხარ ცხვარში, რო შვილიც შენს გზას არ გამოუდგეს? — ფარული საყვედურით მიმართა ქმარს ნათელამ, რომელმაც ის იყო ონშივარადენილი ხინკალი შემოიტანა.

— ნუ იცით დედებმა ეგეთი ლაპარაკი! — შესძახა ერთმა. — მერე რა არი! დაიქცა ქვეყანა? განა ეგ არი, მწყემსად ეკურთხა და მოეჭრა ყველა გზა? სანამ და-

ვაჟკაცდება ესა, მანამ ვინ იკის, რამდენგნით გულო!

— თუ არა და, იყოს მეცხვარე, რა! მე ცხვარეებს ეხლა ფული არ აკლიათ, პური, მატყლი და ხორკი!.. — ჩაილაპარაკა ვილაცამ.

— ბაღს რაიც ეხალისება, იმას უნდა მიჰყვეს! — წამოიძახა თომამ. — მე რაიც მინდოდა, ის გამოვედი.

პატარაობისას მამაჩემმა ხან მჭედელთან მიმიყვანა შეგირდად, ხან ღურგალთან, ხანაც მეუნაგირესთან...

მაგრამ მე მაინც ცხვრისკენ გამიბრბოდა თვალი და გული! ვენაცვალე მაგის გამჩენსა!.. რაც უნდა ვუშალოთ ჩვენა, ბაღლი მაინც წავა თავისი გზით!

— ჰა, შვილო, ძნელი ყოფილა ცხვარში? — მეორედ შეეკითხა მამა.

— რა ძნელი, რა!.. მიდიოდნენ ძოვნიტ და მივეყვებოდი მენა!

— მიირთვით, სანამ ცხელია, მიირთვით! — შესძახა სტუმრებს თომამ და პირველმა თვითონ გადაიღო ხინკალი.

...სვამდნენ, ჰამდნენ და ადღეგრძელებდნენ კაიკაცობის კვალზე დამდგარ ხალხს. აღიდებდნენ ცხვარ-მწყემსს... წავიდ-წამოვიდა ლაპარაკი და სიტყვა ჩამოვარდა ქსნელებზე, რომელთაც ქარიშხალი შეესწროთ გულაურს ზემოთ, გვერძეთზე, მოსწყვიტა ფარას ნოტო და გადაუყარათ კლდეზე ცხვარი. ეზრალეობდათ მწყემსები, თვითონაც რომ კინაღამ ზედ დაესართნენ სამწყსოს.

ყურადღებით ისმენდა ამ ამბავს ნუგზარი და თვალწინ ედგა გაგა, რომელსაც თავის ცხვრებში ერია იმ კლდთან როგორაც გადაარჩენილები.

— მე მაგ ტილაზე მამლის ბრაზი! რა სინდისით მირეკა შინა? — იკითხა თომამ.

გაჩუმებული ისმენდა გუგულა ამ ამბავს.

— რო გაუგია ტილაა, — ამბობდა ხეთისო, — წასულა და ჩაუთვალე რებია გვერძეთი. ხედავს, ზოგი სადა გდია, ზოგი — სადა... მერე წაუღია თოკი მა კლდის ეშმაკს, ჩასულა საბლებითა და ამოურეკნია თითოობითა. თავისებს ეძახის ეხლა!

— არ ვარგა ეგრე!

— აბა, ეგ უნდა იკადროს მთიულმა?

— მწყემსი მაინც არ იყოს თავადაცა!

— რა კაი ვაჟკაცი იქნებოდა ტილა, რო გადაურეკდეს მაგ ცხვრებს ლარგვისელებს და ეტყოდეს: აი, ძმანო, გადაგირჩინეთ და მოგირეკეთ! ალაღიმეც იქნება თქვენზეო! — წამოიძახა გუგულამ.

უმაღვე მხარი აუბეს სხვებმაც...

ნუგზარმა შეხედა მამას...

იგი ყელმოღერებული იღიმებოდა და მოკლედ შეკრეჭილი უღვაშების ქვემოთ თეთრად უელავდა მძივებით კონტად ჩაწიჭილებული კბილები. ყავისფრად გარუჯული და ახლა უკვე სუფთად მოპარსული სახე რალაცნაირად უბრწყინავდა ელნათურის ცვილისფერ შუქზე. დიდრონი თვალები, გაშლილი წარბები, შუბლზე ჩამოვარცხნილი თმა, ოდნავ წითლად შეღვივებული ლაწვისთავები, სწორი ცხვირი, ლაზათიანად ამოქანდული ნიკაპი... ლამაზი და ახოვანი იყო მამა!

უყურა კარგა ხანს და მერე ისევ მეზობლის ლაპარაკს მიაპყრო ყური.

— ჩარეკს ეხლა მაგ ცხვრებს ტილა ქალაქს და ჩაიჭიბავს ბლომად ფულს!

— სოფელმა არ უნდა მისცეს ნება! უნდა დავანამუსოთ როგორმე, ეგებ გადაურეკოს მწყემსებს...

— იზამს მაგასა?

— რო დავატანო ძალასა, კი!

ამ დროს დედამ შემოაღო კარი. გაჩერდა იქვე, დაუთ-

ვლიერა სტუმრებს სუფრა და მერე შეხედა ნუგზარს:
— წამო, შვილო, დაიძინე! პატარა ღამეა... დილაზე
აღრე გინდა ადგომა!
— არა, ვიქნები!.. — წამოიძახა ბიჭმა და მიხედა მამას
— წადი, შვილო, წადი! — მოფერებით უთხრა იმა-
ნაც.

გულდაწყვეტილმა ათრია ფეხი ნუგზარმა. კართან მი-
სულმა ერთხელ კიდევ მოხედა მამას. ყველაზე ლამა-
ზი იყო ის მეინახეთა შორის. მერე მიბრუნდა ბიჭი და
დღეს გაჰყვა. მიდიოდა და ფიქრებიდან მაინც არ შორ-
დებოდა მამის ნათელი სახე. მერე უცბად წარმოიდგინა
სხვათა მამები, მაგრამ ვერც ერთიც ვერ იყო ასეთი ლა-
მაზი. თიქოს ჩაესმოდა მისი სიტყვებიც: „რა ვაჟაკი იქ-
ნებოდა ტილა, რო გადაურეკდეს მაგ ცხვრებს ლარგვი-
სელებს...“

— აი, აქ დაწვები! — შეიყვანა დედამ განაპირა ოთახ-
ში და ხელი მიუღო ღია ფანჯარასთან მიდგმული საწო-
ლისაკენ.

დახედა ლოგინს ნუგზარმა და შეუდგა დიღების გახ-
სნას. მერე მობრუნდა, იქვე სკამზე დააწყო სამოსი, მი-
ვიდა ფანჯარასთან და გადაიხედა გარეთ.

ღამის მღუმარება მეფობდა ირგვლივ. ვარსკვლავებით
დაჩითული ცა დასცქეროდა შავეთში ჩაყურსულ არემა-
რეს. ღამურები დაფარფატებდნენ აქა-იქ... მერე მიი-
ხედა იქითკენაც, საითაც ეგულებოდა ბაკი. თითქოს მთის
ლოდები ჩაუყრია ვილაცასო, სიბნელეში ეგრე მოჩანდა
ბაკში ცხვარი. არ ეძინებოდა ჯერ, მაგრამ მაინც დაწვა
და თან ჩაჰყვა მამაზე ფიქრი. მოესმა კარის ჭრიალი და
უმაღლვე წამოსწია თავი.

— ნუგზარ, გძინავს? — მოდიოდა და ეკითხებოდა
მარინე.

- რა იყო?
- კიდევ რაღაცით უნდა გაგახარო! — შესძახა და ჩა-
მოუჯდა გვერდით.
- „მამაზე მეტი რაღა უნდა იყოს დღეს ვასახარელი?“
- პირობა მომე, რო აღარ გამაჯავრებ და გაგახარებ!
- ჰო, აღარ, აღარ გამაჯავრებ!
- დარფიცე!
- მამისი სიცოცხლემ!
- მოდი, მამ... ერთს გაკოცებ და გავიქცევი, ჰო?
- მაკოცე, რა!

გოგონამ შუბლზე აკოცა მამს და ოთახიდან გავარდა.
ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოალო კარი. სიბნელეში ეტ-
ყობოდა, რომ რაღაც მოჰქონდა. მოვიდა და სკამზე და-
აწყო შამაშურით. მერე კედელთან მივიდა. გაისმა ჩამ-
რთველის წკატანი, აინთო სინათლე და ნუგზარმა დაინა-
ხა სკამზე დაწყობილი შალის შარვალ-ხალათი. წამოიწია
ასადგომად, მაგრამ დისა შეეხატრა და მაშინვე წაიხურა
საბანი.

— აბა, მომიტანე აქა! — ხელი გაიშვირა ახალი სამო-
სისაკენ.


— აი! — წამოიძახა მარინემ და გაშლილი მიუტანა
ლევა შალის ხალათი, რომელსაც შავი ყაითნები ევლო
საყელოსა და ჯიბეებზე, შავივე ეკერა ღვინჭილებიც.

იღიმებოდა ნუგზარი.
— ხო კარგია, არა?
— კარგია, ჰო! — უპასუხა გახარებულმა ნუგზარმა და
გამოსართმევად გაუწოდა ხელი.

მარინემ მიაწოდა შარვალიც.
ნუგზარი გაღიმებული ათვალეიერებდა სამოსს... შარ-
ვალს საწელეში ხონჯარი ჰქონდა გაყრილი. ახლავე მო-
უნდა მისი ჩაცმა.

ეს რომ შეატყო მარინემ, გავიდა და გაიხურა კარი.

კაცები მარტო ცხვარში იცვამდნენ ოჯახში მოქსოვი-
ლი შალის შარვალ-ხალათს. შინ დაბრუნებულნი კი იმო-



სებოდნენ საზეიმოდ, დაიარებოდნენ დღეობებში, ნათე-
საობაში, ლხინ-ქორწილებში... მოუწევდათ მთაში წას-
ვლის დრო და კვლავ მიდგებოდა ჯერი შალის სამოსზე.
ათვალეიერებდა ახლა უკვე ზეზე ამდგარი ნუგზარი ახ-
ალ შარვალ-ხალათს და ტანზე უფრო ლაზათიანად ეჩვე-
ნებოდა. შემოირტყა ვერცხლის ბალთებიანი ქამარი და
უკან წაიხვეტა შარვლის გარეთ ჩაფენილი ხალათის კალ-
თები. ორივე კარგად ედგა, ზედგამოჭრილივით. მივიდა
კარადასთან და გაღიმებული მიატყარდა სარკეში თავის
ორეულს. სცმოდა ჭრელი წინდებიც, კოხტად ამოცმუ-
ლი ქალამნები, ჰხურებოდა ტყავის ბანჯგვლიანი დიდი
ქუდიც და მწყემსი იყო ნამდვილი.

მოესმა ფანდურის ხმა და მიაყურადა მაშინვე.
ცოტა ხნის შემდეგ შემოსძახა მამამ:

მთას მარახული მახკიდა,
მწყემსო, ახყარე ცხვარია,
არ მოგწყინდაა მთას ყოფნა,
არ მოგინდაა ბარია?..

მღეროდა და უკრავდა... ღამის ალაპარაკებდა ფან-
დურს. ცოტა ხნის შემდეგ შემოსძახა კვლავ:

საყორნის ქედზე მწყემსებსა
შიშიც არა აქვთ მტრისაო,
ტებილდა შჭამენ ვახშამსა,
დაიძინებენ ძილსაო...
შველაო, შველაიფო,
ერთურთს ვუჭიროთ მხარო,
ავიყოლინოთ ვეფხვები,
ჩაღმა ჩავალალოთ ცხვარო...



როგორ უნდოდა ახლა ნუგზარს მამის კქერა!..

რა დააძინებდა ამ სიმღერასა და დაკვრაში? აულგანაბული იდგა და მანამ არ მოუცვლია ფეხი ადგილიდან. სანამ არ მიიღია მამის სიმღერის ხმა და მანამ არ შესძახა სტუმრებს:

- თქვენი გამარჯვებისა იყო, ბიჭებო!
- ღმერთმა გიშველოს, გუგუდავ!
- შემოვიდე? — დაიძახა მარინემ.
- შემოდი!

— აი! — შემოსვლისთანავე დაანახა მარინემ ჭრელი წინდები და კოხტად ამოსხმული ქალამნები, რომლებსაც ღუმით დააოხილი თასები ებათ. — წინდები დაგიქსოვა ბებიამ, ქალამნები კი პაპამ დაგიკეთა. აბა, ჩაიცივი ესენიცა!

რა კარგი გოგოა მარინე, რა გულკეთილი!
სარკესთანვე დაიდგა სკამი, დაჯდა და ჩაიცვა წინდები, მერე — ქალამნები. გაიარ-გამოიარა კარადის წინ და შეათვალა თავისი ორეული. როგორ უხდებოდა ეს სამოსი!

- ხო აღარ გამაჯავრებ?
- აღარა! მორჩა!.. ყოველ საღამოს მოგიტან მთის ყვავილებს, დაგიკრავ მუკულოს, მჟოლს...
- წამო, ეჩვენე ღელას და ბებიას!

საჯალაბოში ისხდნენ ორივენი. დედა ერბოში აფიცებდა მორჩენილ ხინკლებს, ბებია კი მისჯდომოდა სადღობელს.

— აი, გაიცანით ნუგზარი!.. — აუტკუტკებულმა შესძახა მარინემ.

ბებიამ უმაღლე შეწყვიტა დღევა. მობრუნდა დედაც. — მშვიდობაში! — შესძახა მან.

— მზესა და ღარში გაცივთე სულა! — მიულოცა ბებიამაც.

— აბა, მიდექ-მოდექი აქეთ-იქითა! — უთხრა დედამ.
— ეჭევე... მწყემსაია, მწყემსიიი! — გაღიმებული იძახდა ბებია.

- გავალ ეხლა მამასთან!
- რა გინდა მთვრალ ხალხში? შადი და დაიძინე, თორც გაგიჭირდება ღილაზე ადრე ადგომა!
- არ გამიჭირდება!
- შადი, რო გეუბნები! — მკაცრად შესძახა დედამ.

6

გვიანლა ჩაეძინა იმ ღამეს, და მერე ის იყო, ვიღაცამ მოქაჩა მხარზე. გაახილა თვალი და დედა ედგა თავზე. შეიშმუნა და ისევე მილულა თვალები.

— გიჭირს ადგომა, განა!
ძლივს ასწია ბიჭმა დაძინებული ქუთუთოები, მერე წამოიწია და მისწვდა ახალ სამოსს.

მოძრაობაში თანდათან განქარდა ძილი. ჩაიცივა და კარგა ხანს იყურა ტანზე, მერე ფეხაკრფით შეიპარა იმ ოთახში, სადაც ეძინა მამას. პირქვე მწოლარეს მხოლოდ ნახევრად უჩანდა სახე. ზორბა თავი, კევრით ბრტყელი ბეჭები... გაღეღილი საყელოდან მოუჩანდა ყავისფრად გარუჯული სქელი კისერი. ბალიშზევე ედო თითქმის ჩოგნის სიდიდე ხელი. ფშმუოდა ხანგამოშვებით...

დასქეროდა ნუგზარი და გუნებაში იმეორებდა მის ნამღერალს...

- მოდი, სადა ხარ, ბიჭო! — დაუძახა დედამ.
- ბიჭმა ფრთხილად გაიხურა კარი.
- ნათელა აივანზე უცდიდა სავსე გულით.
- ბაკიდან გამოშვებას ელოდა კართან მომდგარი ცხვარი.

სახლისკენ ყურებდაცქვეტილი იყურებოდა ცხენი.

ნუგზარის დანახვაზე წყნარად დაიხვივნა და ოდნავ დახარა შემართული ყურები.

ბაკის კარი გააღო ნუგზარმა და უმაღლე გამოცვივდა ვაკები, თან გამოიყოლეა კართან მოგუბებული ცხვარიც. გადაიკიდა გულა, აუშვა ცხენი, მიაყენა ყორესთან, ავიდა ქვებზე, გადაალაჯა საფერხის და მიჰყვა ცხვარს.

თანდათან ძალას იკრებდა სისხამი დილა და ლახვრავდა უფსკრულებსა და ხეობებში ჩახიზნულ ბინდს. ქარვისფრად ღვიოდა ცის აღსავალი. ვერცხლისფერი ედო დაცვარულ იალაღებს... ციოდა და ჰაერში მკრთალ ბოლქვებად იმქრეოდა ამონასუნთქი...

გავიდა ცხვარი იალაღზე და ნამიან ბალახში თანდათან დაუსველდა ფეხები ბიჭს. რაკი მოსწონდა ქალამან-წინდა, ალბათ ამიტომ აღარ ეჩოთირებოდა სისველე. გაიხედა სოფლისკენაც. ნოტო-ნოტოდ გამოდიოდა ცხვარი ორღობებიდან... შავად მოჩანდნენ უკან მომყოლი მწყემსები. საამაყო რაღაც იგრძნო იმაში, რომ ყველაზე ადრე თვითონ გამორეკა ცხვარი... კარგი ქნა ღელამ, ადრე რომ გააღვიდა, ივლის ცხვარში და გაიზრდება მამასავით დიდი. იქნება ვაჟკაცი. თვითონაც მისებურად დაუქრავს ფანდურს, იმღერებს მწყემსებზე... გაგას მამასავით როდი მიისაკუთრებს სხვისას. იპოვნის? მიუტრეკავს პატრონს და ეტყვის ვაჟკაცურად: აი, ძმაო, ჩაიბარე შენები!

შებრუნდა აღმა და გახედა სამწყსოს.

ცხვარს ძოვნით ახლოს მიჰყვებოდა ცხენიც. ნავალზე ჩაბერტილიყო ნამი. კვალზე კი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა ამოწვერილი მზე.

ახლა უკვე თვალს მიეფარა სოფელი...

...როცა კარგა მალა წამოვიდა მზე, ცხვარი ქედზე არეკა და მიმოიხედა ირგვლივ ნუგზარმა. აქა-იქ მოჩანდა ველებსა და ტაფობებში საბალახოდ დაქსაქსული ცხვარი. ვიღაც გეზად მოაქევექეებდა ცხენს. როცა ამოივიაკა ქედზე, ჰკრა ქუსლი და გამოაქანა ოთხხმით. გაგამ ჯიქურ მოაგდო ახლოს, დაასადავა უცბად და არც კი უთქვამს სალამი, ისე დასხლიტა საყვედური:

- რატო არ დამიძახე დილასა?
- აბა რა ვიცი, შენ არ გითქვამს და...

გაგა გადმოხტა ცხენიდან, მივიდა ახლოს და შეუთვალეირა სამოსი.

- რა კარგებია, ე! ვინ შეგიკერა?
- მოგწონს?
- კიი, კაცო! რას არა!.. ამის შემდეგ ჩვენკენ გამოატარებდე ცხვარსა, დამიძახებდე, ჰო?
- კარგი! გეზარება ადრე ადგომა?
- კიი, მაგრამ, რო დამიძახებ, ავდგები შენის ხალისით... დღეს გუდაურისკენ ავრეკოთ ცხვრები. ჩავცოცდეთ კლდეზე, იქნებ კიდევ ვიპოვოთ რამე, ჰო?
- ე ცხვრები არ უნდა გადაურეკოთ ქსნელებსა?
- არა!
- ცოდონი არიან მწყემსები! აზღვევინებს კოლეტივი!

- შენ რო იყო, გადაურეკდი?
- უეჭველად!
- გიქი იქნებოდი! თუ ვიპოვნეთ რამე დღესა, გადაურეკავ? არ წაგიყვან მამა!
- რატომა?

- ანდე, რას იძახი!
- მერე? შენ რა?

- ისა, რო გაიგებენ ქსნელნი, გადმოვლენ და წაგვართმევენ ჩვენცა!
- მე თავად წავალ, რად მინდა შენი წაყვანა?

— შენ არ იცი, ვერ იპოვნე! — უთხრა და მხეს გახედა გაგამ. — რა კარგი ამინდია...

„ბანზე მიგდებს სიტყვას“, — გაიფიქრა ნუგზარმა და თვითონაც დაუკრა კვერი:

— კი, კარგი ამინდია! პაპაჩემმა თქვა, ეს მთვარე ისეთია, დარები წავა სულაო!

გაგამ ისევ მიაბრუნა ცხვარი და ჰკრა ქუსლი.

„არ ესია მოვინა ჩემი ნათქომი...“ — გააყოლა თვალი ნუგზარმა.

ოთხხანით მიაქროლებდა გაგა.

„უნდა ვუთხრა მამაჩემს, წამომყვეს ცხვარში, აგრეთვე გუდაურისკენ და, თუკი რამ დარჩათ გვერძნეთზე, მამა თვითონ ამოიყვანს დანარჩენებს...“

უყურებდა ცხვარს ბიჭი, და რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო მოსაწყენი ეჩვენებოდა მარტობა. გაგა ალბათ აღარ გაეკარებოდა ახლოს. სხვები... სხვები უკვე შეამხანაგებულებიც იქნებოდნენ ერთმანეთს, აღარ გაირევდნენ ისინი: იბევრებდა ცხვარი... ახლა რომ აკეთებდეს რაიმეს, ისე გაეპარებოდა დრო, ვერც კი გაიგებდა დაღამებას. ახედა მხეს, — ჯერ ისევ აღსავლიდან უცქერდა იგი ქვეყანას!.. ამოიღო საგანგებოდ წამოღებული პაპისეული ჯიბის დანა, გაშალა და ცერით გაუსინჯა ფხა. კინლამ შეაჭრა თითი.

გაუღესავს არაფერს ტოვებდა მოხუცი.

მოუნდა რაიმეს გათლა, გაჭრა... თუნდაც უბრალოდ რომ გაემწვეტებინა წვერი ჩხირისთვის, ანდა გაეკეთებინა ასკილის სტვირი, როგორმე შეიქცევდა თავს. მიიხედა წარაფისკენ და თვალი გაუშტერა წნორებს. აყრილი წვეპლები ბლომად ესხათ ბერფუყ ხეებს. „მშვილდ-ისარი!“ გაუელვა მაშინვე. რა კარგი გასართობი იქნებოდა ახლა მისი კეთება. მაგრამ არც მშვილდად გამოდ-

ლები და რატომღაც თვალწინ წარმოუდგა კალაოთის მშვილდ-ისარი? აი, კალათა კი ძალიან სუფთა და მოწიფილი იქნებოდა. მაგრამ რატომღაც კვლავ უნდა დაელოდებინა მშვილდის წასაღებად, ჩაალაგებენ ზაქოს კვერებსაც... ამის გაფიქრებაზე წარმოუდგა ძობანი. რა კარგი რამ მოიგონა ეს!.. არა, დასწავდა კალათასაც! გაახარებდა მარინეს!.. შიგ სათუთად ჩააწყობდა ყვავილებს... დედას და ბებიას კი ასია მოვინებდა ძობნით...

მოათვალიერა წვეპლები და შეუდგა ჭრას. თანაც გახედა ცხვრებს. რა სასიამოვნოდ სძოვდნენ ყველანი! სულაც არ იყო ძნელი მწყემსობა!

სამართებელივით ბალთავდა დანა. წვეპლებს ასხებდა ყლორტებს, ფოთლებს და აწყობდა ერთმანეთზე. თანაც მალ-მალ გახედავდა ცხვარს...

გასჭრა ბლომად, მერე გათალა მანებიც, შეკრა კარგად ნოზრდილი კონა და გავიდა წარაფიდან. მივიდა ცხვრებთან ახლოს, დააგდო კონა, დაარჭო კოხტად გათლილი მანები და შეუდგა წვნას. თითქოს უნდა გამოიზოგოს დრო და საქმეო, ისე ნელა, მაგრამ სიამოვნებით ხლართავდა და გრეხდა წვეპლებს. რამდენიმეს გააძრო ქერქი, გაათეთრა მთლად და გალოპრილი ჩააწნა მუქ ყავისფერ წვეპლებში. უფრო ჭრელი, დასანახად სასიამოვნოდ გამოდიოდა კალათა.

ხომ ნელა საქმობდა ძალიან, მაინც ადრე მორჩა წვნას. წინ დაიღო და გაღიმებულმა შეათვალიერა ყოველი მხრიდან. გაეცინა სინარულისაგან. პატარა, ჭრელი, მკვიდრად ნაქსოვი, კოხტა...

კიდევ ბლომად მორჩა წვეპლები და დაიწყო ძობანი...

ჯერ მოთავებული არცა ჰქონდა ძირი, რომ მოაგელვა ცხენი გაგამ. შორსვე დაასადავა საფერზე, თვალი მიაბჯინა ლამაზ კალათას, გადმოხდა მერე, დასწავდა და დიდხანს ატრიალა ხელში.

- ე რა კარგი რამ გამოგვსლია, ე! მამეცი მენა!
- მარინესთვის მინდა!
- სხვა დაუწან მარინეს!
- მე რად უნდა მოგცე? დაჯე და რამე გააკეთე შენც! რას დაგელობ აღმა-დაღმა? გიკვირს ცხენი? შენის მეტს აღარავისა ჰყავს საფერზე?



გებოდა წნორი, არც — ისრად... წარაფისკენ მიმავალმა მოათვალიერა ველზე თავმოძწონედ გაშლილი ყვავილები. თაიგულს რომ დაჰპირდა მარინეს!.. მაგრამ დაუჭკნებოდა სალამომდის. მთლად ცოცხალი, სურნელოვანი უნდა მიერთმია დისთვის.

8 მივიდა ახლოს, შეხედა ტოტებს, მოათვალიერა წვეპ-

ყ უ რ კ ლ ლ ე ბ ე

— იცი, რისთვის მოვირბინე შენთან? ყვავის ბუდე შევიგულე ერთ ადგილას და წამო, ამოვსხათ ბახალეები! არა, ვერ უყურებდა ნუგზარი იმათ საცოდაობას! რომ იცოდა გაგას ხასიათი, წააგლეჯდა თავებს... რა სიამოვნება უნდა ეგრძნო ამით?

— ჰა? არ წამოხვალ? — შეეკითხა გაგა.
— არა მცალიან! აი, ხო ხედავ, რასაც ვაკეთებ?
— წამო და მერე განაგრძე მაგის წვნა!
— მეზიზღებიან ყვავები! დანახვაც კი არ მინდა მაგათი!
— ჰოდა, რო გეზიზღებიან, იმიტომ უნდა მოვსპოთ!
— რაღა? დაე, იყვენენ ეგენიც!
— რა საჭირონი არიან? აბა, რას არვიან აღამიანს? შარშან ლამის გაგვიძევეს წიწილები. ეხლა უნდა ვიძიო შური!

გაეცინა ამის გამო ნუგზარს და უთხრა არხეინად:
— წადი შენ, მე რალაში გინდივარ?
— შენ მომიგერიებ ყვავებს, მე ამოვსხამ ბახალეებს!
— რაო, გეტანებიან საკორტნელად?
— მაშ! ძლივს ვიშორებდი ჯოხით. კარგად კი ვერ იქნევიდი ხის ტოტებში. ერთს კი მოვცხებ მაგრად და წავიდა ფარფატი, ჩავარდა ბუჩქებში. ვეძებე, მაგრამ ვეღარ ვიპოვნე მერე. ალბათ, მომატყუა იმ უბატრონომ! წამო, რაა!

— დამანებე თავი, თუ ძმა ხარ! ხო ხედავ, რასაც ვაკეთებ? საქმე რამე ნახე შენაცა!

— ყვავის მოკვლა განა საქმე არ არის? მათხოვე დანა მაინცა!

— რად გინდა?

— ჯოხის წვერზე დავამაგრებ ბაწრით, ავალ ხეზე ბუდის ჩამოსაშლელად და, რო დამესევვიან ყვავები, ვკრავ შუბივით, წამოვაგებ ზედა, ჩავაგდებ ძირს, ვკრავ მეორეს, მესამეს...

— ყვავის სისწლიანს მერე ხელსლა მოვკიდებ? ფუხ! წადი, დამანებე თავი, სანამ გულს ამირევდე!

— რანაირი ხარ, ერთიბეწო ამხანაგობა არ იცი არაფერში!

— ძალიან კარგი ამხანაგობა ვიცი საქმეში, მაგრამ, აბა, ეგ საქმეა? არც შენ ვირჩევ მაგებზე ნადირობას, დაანებე თავი, გააკეთე რამე!

— ეეეჰ! გეშინიან და მაგასლა იმიზეზებ!

— ჰო, ეგრე იყოს, თუ გინდა!
— კარგი, შენ არ წამოხვალ? მე მაინც წავალ! — დაიქაფნა გაგამ და ისევ დაიჭირა ცხენი, შეჯდა და ჰკრა ქუსლი.

შეაცივდა ღიმილი ნუგზარს, გააყოლა თვალი. უყურა კარგა ხანს და მერე ისევ განაგრძო წვნა.

სალამოს უკვე მზად ჰქონდა ძობანიც. დააბრუნა ცხვარი თავქვე და გაუშვა სოფლისკენ. დაკრიფა ბლომად ყვავილები, შეკრა თაიგული, ჩადო კალათაში, დაიჭირა ცხენი, გაუძღვა წინ და მიჰყვა ცხვარს, კონტად დაგალავებულ სამწყსოს ამაყად მიუძღოდნენ რქადაგრებილი ვაცები. უყურებდა კარგად ნაბალახევ ცხვრებს... რომ მირეკდა შინ, ალბათ მოეგებებოდა უკვე გამოძინებული და დასვენებული მამა. დაუნახავდა ხელში კალათას, ძობანს... გაუხარდებოდათ დედას და ბებიასაც... მარინე გამოართმევდა ყვავილებს...



ხსალეგა „პიონერული ვიქტორინა“

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საქავშირო პიონერთა ორგანიზაციის მომავალ 60 წლისთავთან დაკავშირებით ფილატელისტთა სრულიად საქავშირო საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობა, გაზეთების „ნორჩი ლენინელისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციები აცხადებენ ფილატელისტურ „პიონერულ ვიქტორინას“.

ვიქტორინის თიოფულმა მონაწილემ კითხვებზე უნდა გასცეს სწორი პასუხი. პასუხის გამოგზავნისას აუცილებლად უჩვენეთ თქვენი სახელი, გვარი, ასაკი და მისამართი.

სამი გამარჯვებული დაჯილდოვდება ფილატელისტური სუვენირებით. დანარჩენების მონაწილეობა სპეციალური სამახსოვრო საჩუქრებით აღინიშნება.

პასუხი ვიქტორინაზე უნდა გამოიგზავნოს 1982 წლის 1 აპრილამდე მისამართით: თბილისი, 380004 ა/მ 120 ГРО ВОФ აღნიშვნით — „პიონერული ვიქტორინა“.

„პიონერული ვიქტორინის“ კითხვები:

1. როდის და რა მიზნით გაჩნდა საბჭოთა ფილატელიაში საბავშვო თემისადმი მიძღვნილი პირველი მარაპები?
2. სად და როდის ჩატარდა პირველი საბავშვო პიონერული შეკრება. რომელი მარაპები მიეძღვნა ამ მოვლენას?
3. რომელი მარაპები იქნა გამოუშვებული ლენინგრადელი პიონერების თაოსნობით?
4. რა ეწოდება სერიას, რომელშიც შედის სუთი მარაპა: „იუნიე აპრომოდელისტი“, „პიონერსკი სალუტ“, „არტაჰ. პიონერი ვ კოსტოდე“, „გორნისტ“ და „პიონერი უ კოსტრა“; როდის იქნა გამოუშვებული ეს მარაპები?
5. დაასახელეთ საბჭოთა ბავშვების ვიერი პიონერები. რა ფილატელისტური მასალაა გამოუშვებული მათ პატივსაცემად?

თავანი
შრომითი
წვლილი

შრომამ შექმნა ადამიანი. შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, შრომა ბედნიერების, სიკეთისა და წინსვლის წყაროა. — ეს ანბანური ჭეშმარიტება ახლა თითისტოლა ბავშვებმაც იციან.

თქმულა, ტყუილად ჯდომას ტყუილად შრომა სჯობიაო. თუ კაცს სიზარმაცე სიხსნა და ხორცში არა აქვს გამჯდარი, ყოველთვის გამოძებნის ხულ მცირე, „გასართობ“ სამუშაოს მაინც. მაგრამ ყოველი დიდი — მრავალი მცირესაგან შედგება და თუ შე, შენ, ის — თითოეული ჩვენგანი თუნდაც თითო პატარა საქმეს გავაკეთებთ, საბოლოოდ ისეთ შედეგს მივიღებთ, რომ შეიძლება თვალსაც არ დავუჭეროთ.

ამიტომაც ნათქვამი — დიდი და პატარა საქმე არ არსებობს, ყველა საქმე თანაბრად საჭირო და სასარგებლოა.

თქვენთვის, პიონერ-აქტივისტებისათვის, შრომა ახალი ხილი არ არის. მაგრამ მიმდინარე წელს, როცა ამინდმა არცთუ მთლად შეუწყო ხელი სახალხო მეურნეობის მუშაკთა გეგმებს, პიონერთა შრომითი წვლილი უფრო აშკარად გამოჩნდა. წითელყელსახვევიან გოგო-ბიჭებს ამ ზაფხულს ვხედავდით ყველგან — სათბობში, ვენახში, ბაღებში, სკოლის ეზოებში, ფაბრიკა-ქარხნებში, ვხედავდით წველიად თუ ჭაფუჭაფუჭად, მაგრამ უსათუოდ უფროსების მხარდამხარ.

წინამდებარე წერილებში მოგიხსნებთ ზოგიერთ მათგანზე.



ჩვენთვის
მნიშვნელოვანი

მევენახეობას უძველესი დროიდან მისდევს ქართველი კაცი. მისთვის ვაზი სათაყვანებელი მცენარეა. ჩვენი ხალხის წარმოდგენაში ყურძენი

ხილთა მეფედ ითვლება, ვაზი წმიდათაწმიდა ხედ არის მიჩნეული. ეს კარგად იცოდნენ საქართველოს მტრებმაც, ამიტომ მტარვალები პირველ რიგში ვენახებს ჩეხავდნენ და ანადგურებდნენ...

თითოეულ ვაზთან გლეხკაცი წელიწადში ასჯერ მაინც უნდა მივიდეს და ჩამუხლული სიყვარულით ეჩურჩულოს, თუ უნდა, რომ იმანაც სამაგიერო მიაგოს.

„ვაზო, შევილივით ნახარდო“, — ასე უწოდა მას რაფიელ ერისთავმა და დღეს „შვილივით ნახარდი“, „და-

ყოველ პიონერულ ნაშენს
ყოველ პიონერს

ლალდაწული ვაზი“ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ბუნების სტიქია მძვინვარებდა, კოკისპირულმა წვიმებმა თავისი გაიტანეს, სარეველებმა სწრაფად იწყეს ზრდა. დაბურულ ვაზს ადვილად უჩნდება ჭრაქი და ნაცარი. დაცარიელდა მთელი სოფელი, ჭრაქსა და ნაცარს ებრძვიან დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები.

მევენახეებს მხარში ამოვუდგოთ მოსწავლეებიც. ვფურჩნით, წვერებს ვაჭრით და ცას აღუსნით შეწუხებულ ვაზს.

ამ ზაფხულს ჩვენს სკოლაში ჩამოყალიბდა ეზოს ბანაკი „ჩირაღდანი“. როგორც კი გაიგეს პიონერებმა, ვაზს უჭირსო, დაირაზმნენ და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე დოდო პაპუაშვილთან ერთად ზვრებს მოაშურეს. ახლა ჩვენს გვერდით ისინიც შრომობენ. განსაკუთრებით იყოჩაღეს მეექვსეკლასელებმა (კლასის ხელმძღვანელი ნინო გურაშვილი); მათ ერთ დღეს 50 რიგი გაფურჩნეს.

ლიახ, თავდადებით შრომობენ ტიბაანის საშუალო სკოლის მოსწავლეები. დღესი არანაკლებ ხუთ რიგს ფურჩნის თითოეული ჩვენგანი, წვერები 15 ჰექტარზე გადავაჭვრით, 5 ჰექტარი მიწა გავწმინდეთ სარეველებისაგან.

შესვენების ეამს პიონერებმა კონცერტიც გამართეს. ნონამ, თამილამ, ნანამ ლექსები წაიკითხეს, მიაიმ და ნინომ სიმღერები წამოიწყეს. შრო-

მით დაღლილი მევენახეები გამოცოცხლდნენ, ხალისიანად გააგრძელეს მუშაობა.

„რა ყოჩაღები არიანო“, — ღიმილით ამბობს ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ვლადიმერ ხუცურაული. მან შეამოწმა ჩვენი ნამუშევარი, მოეწონა, შეგვაქო...

სიხარულით ვბრუნდებოდით ზვრებიდან. ანათებდა ბრდღვილა მზე, ცა იყო ლურჯი, კრიალა, ვენახ-

ში კი ილიმებოდნენ ბუნების სტიქიასთან შეჭიდებული და გამარჯვებული ვაზები.

თამარიკო შაიშველაშვილი,
ტიბაანის საშუალო სკოლის მოსწავლე,
კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.



კულთახე
იშრომელ

შრომა და დასვენება ცალ-ცალკე არც ეფექტურია და არც სასიამოვნო. თუ ეს ორი ცნება შეწყვილებულია, აი, მაშინ აქვს შრომას მადლი და დასვენებას — გემო. ისიც ცნობილია, რომ თუ მოზარდი ფეხიფეხგადადებულ ცხოვრებას შეეჩვევა და თითის თითზე დადება ეზარება, საეჭვოა, მისგან სრულფასოვანი მოქალაქე ჩამოყალიბდეს.

სხვათა შორის, ამ მიზეზთა გამოც შემოიღეს პიონერთა ბანაკში შრომითი საათი.

განათლების მუშაკთა პროფკავშირის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკ „შევარდენის“ მესამე ნაკადი ათ რაზმს ითვლიდა. ჩვეულებრივ პიონერულ

ცხოვრებას მოზარდებმა მშვენივრად შეუთავსეს შრომითი საქმიანობა. ბავშვები აქტიურად ეხმარებოდნენ ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობას, უტარებდნენ ვაზს „შვანე ოპერაციებს“, შვკრივებს წმენდნენ სარეველებისაგან, სათბობებს — ქვებისაგან.

რაზმეულს 2 000 კგ თივის დამზადება ჰქონდა გეგმად, და ეს გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. სხვებზე მეტად იმარჯვა მე-10 რაზმმა (პედაგოგი ზემფირა სადალაშვილი,

ნასწარ, ჯერ კიდევ სასწავლო წლის დამლევს შევადგინეთ.

დიდი წარმატებით შევასრულეთ ჩვენი მთავარი დავალება — აბრეშუმის მურის მოვლა და გამოკვება.

უკვე 60 კგ აბრეშუმის პარკი ჩავაბარეთ მიმღებ პუნქტს. უმცროსი ასაკის პიონერები ძირითადად სატყეო მეურნეობაში საქმიანობდნენ — ახალგაზრდული ტყის მასივის ერთ მონაკვეთს უვლიდნენ. აქტიურად ვმონაწილეობთ ოპერა-

დამკვირვებელი სექსი!
შრომითი დაუკლებია!

ხელმძღვანელი პაატა თავთაქიშვილი). ამ რაზმის პიონერებმა დაკისრებული 200 კგ-ის ნაცვლად დაამზადეს 260 კგ-ზე მეტი თივა. განსაკუთრებით ისახელეს თავი ბეჯითი შრომით თამარ ფსუტურმა, ვალერი ანდრეევმა, მარინე ქარელიშვილმა, ვილი ელიზაროვმა, ნანა თაველიძემ და სხვებმა. მეურნეობის ხელმძღვანელებმა პიონერებს მადლობა გადაუხადეს კარგი მუშაობისათვის.

თამარ ჯაბაღარი,
ბანაკ „შევარდენის“ უფროსი
პიონერხელმძღვანელი.



ჩვენი
ქონი
„მეურნეობა“

ჩვენი სკოლის „პიონერმშენისათვის“ დამკვირვებელი ყოველი წლის ზაფხული. მით უმეტეს, რომ ტრადიციისამებრ, წელსაც ჩვენი სკოლის ეზოში დაიდო ბინა ფორპოსტმა „მერცხალამ“.

„მერცხალას“ სამუშაო გეგმა წი-

ციებში „სარეველა“ და „ნობათი წიქარას!“ სარეველასაგან პირველად სკოლის ეზო, სასწავლო-საცდელი ნაკვეთი და ჩაის ფართობი გავწმინდეთ. ახლა კი უფრო დიდი ნდობა გამოგვიცხადეს — მეურნეობის ველმინდვრებში ვირჯებით. მეურნეობაში ამგვარი გარჯის დიდი ტრადიციები აქვს ჩვენს სკოლას: წინა წლებში პიონერთა ძალეებით თივის დიდი რაოდენობით დამზადებისათვის იგი მრავალჯერ დაჯილდოვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სიგელით.

ამიტომ იყო, რომ წელსაც დიდი ხალისით განვაგრძეთ ამ პიონერულ ოპერაციებში მონაწილეობა. უკვე ვალდებულვართ ავიღეთ — წლეულს „წიქარას“ პიონერულ ნობათად 15 ტონა თივას დავუმზადებთ.

ეს ჩვენი, ფორპოსტელების მცირედი შრომითი წვლილი იქნება. წვლილი, რომლითაც სკოლას ჩვენი ზაფხულის საქმიანობის შესახებ ვუპატავებთ.

ნანული ადამია,
ბობი, შუა ქვალის საშუალო სკოლა, VIII კლასი.



საშუალო
სკოლის
მეურნეობა

რეზიათად თუ მოიძებნება მოსწავლე, რომელსაც სკოლაში არ მიუხაროდეს, მზის სხივებზე ალაპლაბებული ფანჯრის მინების, ლამაზად შეღებილი კედლების, დაკრიალებული საკლასო ოთახებისა და კაბინეტების, კონტა მერხების დანახვა არ სიამოვნებდეს. თითო-ორთა თუკი ასეთი... დანარჩენს... დანარჩენს კი თავის მეორე ოჯახად მიაჩნია სკოლა.

აი, სწორედ ასეთი პიონერები შემოიკრინენ ჩემს გარშემო, როცა სასწავლო წლის ბოლოს ვითომდა სხვათა შორის ვთქვი — მალე სკოლის შენობის რემონტი დაიწყება და ხელი წავაშველოთ-მეთქი.

ხალისით ამყვენ ბავშვები. რა თქმა უნდა, ყოველგვარ საქმესთან პიონერებს არავინ მიუშვებდა, მუშები მათ შედარებით მსუბუქ სამუშაოს ურჩევდნენ: იქ ლურსმანი იყო ამოსაძრობი, ამ კედელზე ჩამოვარდნილი საკიდი უნდა მიემაგრებინათ, აქ მინა უნდა გაეპრიალეინათ, რამდენიმე მერხზე წარწერები და ნახატები იყო წასაშლელი და ასე შემდეგ — სადაც დიდი საქმე კეთდება, იქ წვრილმანს რა გამოიღეს!

ჰოდა, ხან ყველანი ერთად, ხან ორი-სამი პიონერი მიდიოდა ხოლმე დილაობით სკოლაში და ჯარასავით ტრიალებდა, მხარში ედგა და თავისი იქ ყოფნით ახალისებდა უფროსებს. ჩვენი სკოლის დირექტორის მოადგილე სამეო ნაწილში რეზო გურგენიძე კმაყოფილი დარჩა. თავი გამოიჩინეს მეზუთეკლასელებმა თინა ქავთარაძემ, გიორგი დოლენჯაშვილმა, ხათუნა ქობესოვმა, მანანა კოდოევმა, მეექვსეკლასელებმა ლელა ცალუღლიშვილმა და ნინო პაპუკაშვილმა, მეშვიდეკლასელებმა ირინე არევაძემ, მიშა გულვერდაშვილმა, მანანა გვარამაშვილმა, მერვეკლასელმა მაია ცალუღლიშვილმა და სხვებმა.

პირველი სექტემბრის ზარი რომ დაირეკება, ეს პიონერები სიამაყის გრძობით შეაღებენ განახლებული შენობის კარებს — ამ განახლებაში ხომ მათი წვლილიც ურევია!

ელისო შალიტაური,
თბილისის 149-ე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ცხრანი

ცხრანია და ლომგულია ცხრავე,
დაჰხარიან მინის ყოველ მტკაველს,
დაჰხარიან, თესავენ და რგავენ,
თოთო ვაზებს დევურ პეშვით რწყავენ.
შრომით, გარჯით ამშვენებენ, რთავენ
მშობლიური სოფლის ძვირფას მთა-ველს...
...მტერი!
საგზალს უმზადებენ ცხრა ძმას,
უმზადებენ ცხრა მუზარადს, ცხრა ხმალს...

მტერს მიჰკვივის დევკაცური ცხრა ხმა.
და ტრიალებს ბედი ქართველის წალმა...
მტერს შეაკვდნენ... რაა გასაკვირი,
გასაკვირი რაა, რომ თქვას კაცმა...
ან იცოცხლებ ქვეყნად რაღა პირით,
ერთ მამულს რომ წაგართმევენ,
ერთ დედას რომ გიგინებენ ცხრა ძმას...
...ცხრანია და ლომგულია ცხრავე,
თუ გაჭირდა, მტერს კვლავ დამენყრავენ!

**აი,
მაშინ ხარ
კაი ყმა**

თუ კარგად ნახნავ-ნათესი
ბლომად გაქვს ქერი, პურია,
თუ ზვრები, ბაღჩა-ბაღები
ნაყოფით დახუნძლულია,
თუ საძოვრებზე მრავლად გყავს

ცხვარი, ხარი და ფურია,
თუ წყალი თევზით სავსე გაქვს,
ტყე — ფრინველით და ნადირით,
აი, მაშინ ხარ კაი ყმა,
ძალაც მაშინ გაქვს ქადილის!

ტყევი

ტყევი დავალ ბილიკ-ბილიკ,
ცხრა ლამე და ცხრა დღე არის,
ყურს ჩამესმის ტკბილზე ტკბილი
ჩიტთა სტვენა და ფრთხიალი.
ზოგან მხიბლავს მეტისმეტად
წიფლიანი, ნაბლიანი,
ზოგან — ფიჭვი ტანწერწეტა,
ფიჭვი ჰაერთაფლიანი...
ზოგან მუხნარს ძელქვნარი
სცვლის,

რა ძვირფასი განძი არის...
და მას ვლოცავ, ვინც ტყეს იცავს,
ვინც ტყის ნაღდი კაცი არის!..
გაგვიმრავლდეს, გაგვიმრავლდეს
იფნიანი, ცაცხვიანი;
მწვანე ბურჯად უდგას მამულს,
რაც ბურჯი და რაც ხე არის.
ბუდეებიც გაგვიმრავლდეს,
ბუდეები ბარტყიანი,
ტყევი ჩიტი თუ არ გალობს,
აბა ის ტყე რა ტყე არის!

**მიტოვებულ
სოფელში
ანუ
ივადიანი
სიძლერა**

სამი დღეა, შარა-შარა,
ბილიკ-ბილიკ დავალთ ცხენით,
ბარეორი გავვლეთ ჭალა,
მთა-გორები,
მინდორ-ველი...
არსად,
არსად არა გვხვდება
მხიარული მასპინძელი.
დუმს მიდამო, არ ჩანს მთქმელი
„არიელის,
მარიელის“,
არც ძაღლების ყეფა ისმის,
არც ბლავილი საქონელის.
ცაზე მხოლოდ მზეა მწველი,
ძირს მიდამო თვალუწვდენი...
ეს მინდვრები,
ეს ველები,

უკაცური,
ცარიელი,
წინაპართა ძველი ფუძე
ნოციერი,
ხვავრიელი, —
შოთას,
ნანას,
ბექას,
თამარს,
დღეს თუ არა
ხვალ მიელის,
დღეს თუ არა,
ხვალ იქუხებს
აქ მძლე მრავალჟამიერი!
ეს თვით ერის გულის ხმაა,
ძახილია თვითონ ერის...

წყარო

ქვესკნელიდან მოიჩქარის,
მოიმღერის, მოჩუხჩუხებს,
რომ მიუსწროს, მიეშველოს,
რასაც სიცხე შეაწუხებს...
სადაც ძლიერ უჭირს ვენახს,
სადაც ძლიერ უჭირს ყანახს,
მყისვე იქით მიისწრაფვის,
გზას იქითკენ მიიკვალავს.

მონყურებულ, გამხმარ მინას
გულს გაუხსნის, მკერდს გაუღებს,
გაძვრება და გამოძვრება,
გადაუხვევს, გადმოუხვევს,
მონახავს და მჭკნარ ფესვებზე
მაცოცხლებელ ცვარად ჟონავს,
ქმნის დოვლათსა და სიუხვეს
აუწყავს და აუწონავს...



მღიბანი და ბაჟმინარი პანტი

გუჩამ პეჭრიაშვილი

მხატვარი
შალიშანი ვაჟაბაგაძე

ერთ დღით მხიარული მღებავი შემოვიდა ქალაქში. ნაირფერი ქუდი ეხურა.

მოდიოდა ღიღინ-ღიღინით და თოკზე გამობმულ პატარა ოთხთვალას მოაგორებდა.

ოთხთვალაზე ყუთი იდო და ყუთის სახურავზე გასაშლელი კიბე იყო თოკით დაკრული.

პირველსავე სახლს რომ გაუსწორდა, მღებავი შედგა. ღიღინი შეწყვიტა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „მოდი, აქედანვე დავიწყეთო.“

მივიდა, დააკაუნა კარზე და პატრონებმა რომ გამოხედეს, ფერადი ქუდი მოუხადა და ჰკითხა, ბავშვები თუ გყავთო.

უთხრეს, კი, გყავსო.

— ძალიან კარგი, — გაიღიმა მღებავმა. — მოდით, იმ ოთახს შევღებავ, სადაც მათ სძინავთო.

იმათ უთხრეს, იცით, ახლა მაგის საშუალება არა გვაქვს, ცოტა არ იყოს, უფულოდა ვართ, მერე კიდევ ეს ავეჯის ალაგება, ეს გადალაგება, ეს გადმოლაგება ძნელი საქმეაო.

მღებავმა ქუდი დაიღო თავზე და ისევ გაუღიმა: მე არც თქვენი ფული მინდა და არც თქვენი დახმარება, თქვენ არხეინად იყავით, მხოლოდ საღამომდე შემიშვით ოთახშიო.

გადმოიღო კიბე. ახლა ყუთს და ამოიღო საღებავიანი ქილები და ფუნჯები. შეიტანა ყველაფერი ოთახში და ჩაქეტა კარი.

სკოლიდან რომ დაბრუნდნენ, ბავშვებმა დიდხანს უარეს გარს თავიანთ ოთახს, მაგრამ ვერაფერი დაინახეს რა ზღებოდა შიგ. მღებავს ფარდები ჩამოეფარებინა ფანჯრებზე და ისე მუშაობდა.

საღამომდე ისმოდა ოთახიდან მისი ღიღინი.

საღამოს კი გამოვიდა მღებავი. ერთიც გაუღიმა ყველას და მიიპატიჟა:

— მობრძანდითო.

გააღო ოთახის კარი და მიღგა გვერდზე.



ბავშვებს დედ-მამა შეჰყავს. გადა-
აბიჯებს ხლურბლს და გაცეცხისაგან
იქვე გაშეშდნენ...

თითქოს გამქრალიყო ოთახი და
აყვავებული ბაღით სავსე სივრცეა
შუაგულში იდგა ბავშვების საწოლე-
ბი...

გორაკებზე თეთრად ყვოდნენ დი-
დი ხეები და თვალწევდენელი ვე-
ლიც აყვავებულ ნერგებს აეკარდის-
ფრებინათ, ყვავდა ჩანჩქერის თავზე
კლდიდან ამოზრდილი ობოლი ხეც
და წყნარი ტბის პირას გაშლილი
ზუჩქნარიც.

ყვავდა ყველაფერი...
და თითქოს აყვავებული ხეების
სურნელიც მოჰქონდა ნიავს...

პირველად ბავშვები გამოერკვნენ.
შევიდნენ ოთახში და სიხარულით
ხტუნვა იწყეს.

ბავშვების მშობლებმა კი უთხრეს
მღებავს, უდიდეს მადლობას მოგახ-
სენებთო.

— რის მადლობა, ეგაა ჩემი საქ-
მეო, — თქვა მღებავმა.

მერე დაამატა: სხვა ოთახებსაც
მოვხატავდი, მაგრამ დრო არა მაქვს,
ჯერ ყველა ბავშვს უნდა მოვუხატო
ოთახი. ახლა კი წავედი, ნახვამდისო.

— ამ ღამეში სადღა წახვალთო? —
შეწუხდნენ მასპინძლები.

— არა უშავს, — დაამშვიდა ისინი
მღებავმა. — მე ცისქვეშ უნდა მეძი-
ნოს, ასეთია წესისო.

— ჩვენთან მაინც ივასშემეთო, —
სთხოვეს.

— არაო, — ამაზეც თავი გააქნია
უცნაურმა მღებავმა.

ბავშვების დახმარებით ჩააწყო
ფუნჯები და ქილები ყუთში. დააკრა
ყუთზე კიბე და გასწია თოკი, გააგო-
რა ოთხთვალა.

— ნახვამდის! — დაუძახეს ბავ-
შვებმა.

მღებავმა ქუდი დაიქნია და შეერია
სიბნელეს.

მშობლები დიდხანს იდგნენ ჩაფიქ-
რებულები, მერე იმათაც გაიღიმეს
და შევიდნენ სახლში.

ბავშვები მხიარულად დახტოდნენ
ოთახში.

შუალამემდე ვერ დაიძინეს, ისე
იყვნენ გახარებულები...

ღილით მღებავი კვლავ შემოვიდა
ქალაქში ღიღინით და ახლა იმათი მე-
ზობლის ბავშვებს მოუხატა ოთახი.
ასე მოდიოდა ყოველდღე და ყო-
ველდღე თითო ოთახს ავსებდა აყვა-
ვებული ხეებით...

და ზალისიანები გახდნენ მთელი
ქალაქის ბავშვები.

სულ მხიარულად დახტოდნენ, მღე-
როდნენ და ავადაც კი აღარ ხდებოდ-
ნენ.

ბოლოს ქალაქის განაპირას ერთი

სახლია დარჩა და ღილით იქაც მი-
ვიდა მღებავი.

დააკაუნა კარზე.
გამოვიდა მოლუშული კაცი.

მღებავმა გაუღიმა და უთხრა:
— გამარჯობათ, შეიძლება თქვენი
ბავშვების ოთახი შევკლებო?

— მე არა მყავს ბავშვები, — მკვა-
ხედ უთხრა კაცმა.

— სამწუხაროა, — თქვა მღებავმა.

— სრულიადაც არა! — ჩაიბუზ-
ლუნა კაცმა.

მღებავმა აღარაფერი უთხრა. მხო-
ლოდ ამოიოხრა ერთხელ. გასწია თო-
კი და გაავორა თავისი ოთხთვალა.

ისევ ღიღინით წავიდა, თუმცა ახლა
ნაღვლიანი იყო ეს ღიღინი.

გაჰყავა მღებავი შარავზას, რათა ახ-
ლა სხვა ქალაქებში მოეხატა ოთახე-
ბი ბავშვებისათვის.

კაცმა თვალი გააყოლა.

— მე, ეს ვილადაა, არ მომწონს, —
ისევ ჩაიბუზლუნა და შევიდა სახლში.

ეს იყო გაუცინარი კაცი.

არ იცინოდა კი იმიტომ, რომ თავს
ბრძენად სთვლიდა და ფიქრობდა,
ბრძენი აღამიანი მუდამ სერიოზული
უნდა იყოსო.

იშვითად გამოდიოდა შინიდან და,
როცა გამოვიდოდა, მაშინაც ჩაფიქ-
რებული სახით გაივლიდა ქუჩებს,
არც მიესალმებოდა ვინმეს.

საკვირველი ის იყო, რომ ქალაქის
მცხოვრებნიც ბრძენად მიიჩნევდნენ
ამ კაცს, თუმცა არასოდეს ერთი სი-
ტყუაც არ გაეგონათ მისგან. ეტყობა,
ამ ქვეყნად ბევრი ფიქრობს, რომ თუ
ვინმე სერიოზული სახით დადის, ის
აუცილებლად ჭკვიანია.

ჰოდა, ამ კაცს დაინახავდნენ თუ
არა, მაშინვე შეწყვიტდნენ ხოლმე
სიცილს მოქალაქენი და რცხვე-
ნოდან კიდეც: ეს ასეთი სერიოზუ-
ლია, ჩვენ კი ქარაფშუტულად ვმხი-
არულობთო.

გაუცინარს სიამოვნებდა, მის და-
ნახვაზე სიცილს რომ წყვეტდა ხალ-
ხი.

„როცა იქნება, თქვენც მოვაჭკვი-
ანებთ, თქვენც მიხვდებით, რომ საერ-
თოდ სისულელეა სიცილი და ყველა-
ნი ჩემნაირები გახდებითო“, — გაი-
ფიქრებდა კმაყოფილი.

იქნებ მოეყვანა კიდეც თავის ჭკუ-
აზე მთელი ქალაქი, მაგრამ ბავშვებს
ვერაფერს უხერხებდა.

ისინი არ წყვეტდნენ სიცილს მის
დანახვაზე. წყვეტდნენ კი არა, ზოგი
მათგანი, თუ უფროსები არ იყვნენ
ახლომახლო, სიცილით გამოუდგებო-
და ხოლმე გაუცინარს და მისძახდა:
„მოლუშულო, მობლუშულოო.“

გაუცინარს ისიც შემჩნეული ჰქონ-
და: როდესაც მშობლები თავიანთ

შვილებს უცქეროდნენ, ხიზნავდნენ
ელიმებოდათ ხოლმე.

ამიტომაც არ დაოჯახდა, ეშინოდა,
ვაითუ მეც ჩავიღინო ბრძენისათვის
შეუფერებელი საქციელი და გავიღი-
მოო.

ის კი არა, იმისიც რცხვენოდა,
ოდესღაც ბავშვი რომ იყო და იცინო-
და.

ამ ბოლო დროს რომ გაცილებით
უფრო ხშირად ისმოდა ბავშვების სი-
ცილი ქალაქში, ეს არ გამოჰპარვია
გაუცინარს. სულ ფიქრობდა, რისი
ბრაღიაო და აი, ახლა როგორღაც იგ-
რძნო, რომ თავიდან ფეხებამდე სა-
ლებავში ამოსვრილი, არასერიო-
ზული კაცი იყო ყველაფერში დამ-
ნაშავე.

როგორც შეეძლო, მკაცრად გამო-
ეწყო. სულ შავები ჩაიცვა და თავ-
ზეც შავი ქუდი დაიხურა. ჩვეულებ-
რივზე მეტად ჩაფიქრებული სახე მი-
იღო და გამოვიდა ქუჩაში გაუცინა-
რი.

გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს და
მიუცაკუნა კარზე თავის მეზობელს.

მეზობელმა კარი რომ გააღო, კი-
ნალამ ენა ჩაუვარდა მოულოდნელო-
ბისაგან, ასეთი სერიოზული, ბრძენი
კაცი რომ ეწვია.

— მობრძანდითო, — შეიპატიჟა.

— არა, არა მკალიაო, — თქვა გა-
უცინარმა. და მერე ჰკითხა: —
თქვენთანაც იყო ის სალებავში ამო-
თხვრილი კაცი?

— კი, იყო, — უპასუხა მან.

— რა უნდოდა?

— ბავშვების ოთახი მოხატა.

— აჰა, ბავშვების ოთახი, ხომ?

მერე? მეტი არაფერი მომხდარა?

— არა... არაფერი, — უპასუხა მე-
ზობელმა და შეშფოთდა. — რატომ
მეკითხებით?

გაუცინარმა აღარაფერი თქვა. გა-
მობრუნდა და წამოვიდა. თან ფიქ-
რობდა, არა, აქ რაღაც ამბავიაო.

მეზობელმა მართლაც დაუმალა სი-
მართლე გაუცინარს: ყველაფერი არ
უთხრა, რაც იცოდა.

ლამით ხომ ყველა მშობელს ერ-
თხელ მაინც ელვიძება, რომ ნახოს,
ხომ მშვიდად სძინავს ბავშვს ან სა-
ბანი ხომ არა აქვს გადახდილი. აი,
ამიტომაც მშობლებმა იცოდნენ, რომ
ლამით აყვავებული ხეებით სავსე
ოთახში საოცარი რამ ხდებოდა.

გაუცინარის მეზობელი შებრუნდა
სახლში და ცოლს უთხრა გაუცინარის
მოსვლის ამბავი.

— რა ვქნათო, — ჩაფიქრდნენ
ორივენი. — რატომ მოვიდა სერიო-
ზული კაცი? იქნებ საჭიროა ყველა-
ფერი ვუთხარათ, ვაითუ რაიმე საფ-
რთხე ემუქრება ჩვენს შვილებსო!

იფიქრეს. იფიქრეს და გადაწყვიტეს, ყველაფერი გაეშვილათ. და ღამით, მათმა ბავშვებმა რომ დაიძინეს, მშობლებმა დაუძახეს გაუცინარ კაცს და შეიყვანეს იმ აყვავებული ხეებით მოხატულ ოთახში. მკრთალად ანათებდა ოთახს მთვარის შუქი.

ეძინათ ბავშვებს. და უკვებ კედელზე დახატულ ერთ ბუჩქზე ფოთლები შეინძრა, გადაიწია აქეთ-იქით და გამოფრინდნენ ღამაში, ფერადი ჩიტები.

მიფრინდნენ ჩიტები და სათითაოდ დაუსხდნენ ბავშვებს სასთუმალთან. დაიწყეს ჩუმად გალობა. გალობდნენ ჩიტები და ძილში იღიმებოდნენ ბავშვები.

მერე ჩიტებმა შეიფრთხილეს, ერთად აფრინდნენ და კვლავ კედელზე დახატულ ბუჩქს დაუბრუნდნენ, შეიმაღლნენ ფოთლებში და ფოთლები გაიყინენ, კვლავ იქნენ ნახატად.

გაუცინარი ადგა და ჩვეულებრივზე ბევრად უფრო სერიოზული და მოღუშული გამოვიდა ბავშვების ოთახიდან.

გამოჰყვნენ მასპინძლებიც. — აი, თურმე რა ოინი მოუგონია. — თქვა გაუცინარმა. თითი მალლა ასწია და მკაცრად დაუმატა: — ბავშვები მეტისმეტად ბევრს იცინიან და ეს ყველაფერი შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს. გადაეცით ყველას, რომ საქირთა მივიღოთ სასწრა-

ბობდა და ახლა ამდენი რომ ულაპარაკია. ეწყობა. მართლაც დიდი საფრთხე ემუქრება ჩვენს შვილებსო, — ეუბნებოდნენ ერთმანეთს მოქალაქენი.

იმავე ღამით ყველა მშობელი დაუდარაჯდა და, როგორც კი ჩიტებმა შეიფრთხილეს ბუჩქებზე, მაშინვე სტაციეს ხელი და ჩასვეს გალიებში. დილით კი მიუყვანეს ჩიტები გაუცინარ კაცს.

სათითაოდ შედიოდნენ და აბარებდნენ გალიას. შემდეგ კი გამოდიოდნენ და იკვდიდნენ. აინტერესებდათ, ყველა ჩიტს რომ მოაგროვებს, მერე რას იზამსო.

გალიებით აივსო სახლი. და აი, ბოლო გალიაც მოიტანეს. ახლა ყველა ელოდა, რა მოხდებოდა.

გაუცინარი ფანჯარაში გადმოდგა და ის იყო დააპირა, საგანგებოდ მომზადებული ბრძნული სიტყვები ეთქვა ხალხისთვის, რომ ფრთების ფათქუნი გაისმა.

ყველა გალიაში ერთდროულად აფრთქალდნენ ჩიტები.

დაიწყეს ფრთების ქნევა და... უკვებ სახლი მოსწყდა მიწას და აფრინდა ჰაერში.

— რას შერები, კაცო! — დაუძახეს გაუცინარს. ხალხს ეგონა, განგებ აქეთებს ამასო.

— რა ვიცი, აბა, მგონი მიფრინავ! — გადმოაყვანა იმან.

ო. მუშტი მოუღერა ხალხს. მაგრამ იმათ უფრო უმატეს აიკოლა. ხარხარებდა ხალხი. მიფრინავდა გაუცინარი კაცის სახლი.

და მალე მიეფარა თვალს. — ესეც შენი აგრიოზული და ბრძენი კაცი. აულ ტყუილად დავუჯერეთო, — თქვეს და წავიღ-წამოვიხნენ მოქალაქენი...

მთელი დღე მიფრინავდა გაუცინარი კაცი.

ჯერ იმედი ჰქონდა, ჩიტები დაიღლებიანო, მაგრამ ისინი ღონივრად იქნევდნენ ფრთებს.

— ვინ იკის, სად მიეყავარ ამ ჩიტებს. რა ექნა, რა ექნაო, — ამბობდა დაღონებული.

დაავიწყდა. ბრძენობას რომ ჩემულობდა და ერთხელ ეაეც კი თქვა: — აბა, თუ შნო გაქვა, ახლა მოიგონე რამე, შე აუღელო ჩემო თავო.

დაღამდა. ახლა ბნელში მიფრინავდნენ.

კახე კი ვარსკვლავები კიაფობდნენ. და ალბათ ის თუ დაინახა, როგორ მოსწყდა ვას თითო-თითოდ რამდენიმე ვარსკვლავი: უკვებ მოიფიქრა გაუცინარმა, რა უნდა ექნა.

გაალო ერთი გალია და თითო-თითო გამოუშვა ჩიტები. იაინი მაშინვე გაფრინდნენ ფანჯარაში.

მერე მეორე გალია გაალო, მერე მესამე...



ფო ზომები. პირველ რიგში, უნდა დაიჭიროთ ყველა ჩიტი და მომიყვანოთ, შემდეგ კი მე მოვიფიქრებ, რა უნდა ექნათ.

მორე დღეს ქალაქში ყველამ იცოდა სერიოზული კაცის ნათქვამი. — აღრე ერთ სიტყვასაც არ ამ-

ამის თქმა იყო და ხალხს სიცილი აუტყდა.

ეტყობა, ჰაერში ფრენას მაინცდამაინც არ შეეფერებოდა ფანჯარაში გადმომდგარი კაცის სერიოზულობა. გაუცინარი გაბრაზდა, რა აცინებ-

იგრძნო, რომ სახლი თანდათან ძირს ეშვებოდა.

ასე თითო-თითოდ უშვებდა ჩიტებს...

და ბოლო გალიაც რომ გაალო, სახლი სიბნელეში ნელ-ნელ დაეშვა მიწაზე.

გაუცინარმა კაცმა შეებით ამო-
რსუნთქა.

მერე ჩაფიქრდა და თქვა:
— ცაში ვიფრინე!

მოიგონა ყველაფერი და ისიც გა-
ახსენდა, როგორ იცინოდნენ მოქა-
ლაქენი. თვითონაც წარბოიღვინა, რა
სანახავი იქნებოდა, თან ჰაერში რომ
მიფრინავდა და თან ცხვირჩამოშვე-
ბული რომ მოჩანდა ფანჯარაში, და
შუკვბ სიცილი აუტყდა.

პო, რა გემრიელად იცინოდა!
იცინოდა დიდხანს, ისე იცინოდა,
რომ სულს ძლივს და ითქვამდა.

და ასე სიცილში ჩაეძინა დაღ-
ლილს...

ეძინა მშვიდად.
ჩიტები კი მიფრინავდნენ სწრაფად.
და იმ ღამესაც მოასწრეს გალობა
ბავშვების სასთუმალთან...

გათენდა.
კაცს კი ისევ მშვიდად ეძინა.

მის სახლს ხალხი შემორტყმოდ
ირგვლოვ და გაოცებული უყურებ-
დნენ.

თურმე რომელიღაც ქალაქის შუა
მოედანზე დაშვებულყოფი სახლი.

ფიქრობდნენ მოქალაქენი, რა ვქნა-
თო, და ის იყო გადაწყვიტეს შიგ შე-
სულიყვნენ, რომ სახლიდან სიმღერა
მოისმა.

ცოტა ხნის შემდეგ გალიმებული
კაცი გადმოდგა ფანჯარაში...

აქ უნდა ვთქვათ, რომ თუ კაცი თა-
ვის თავზე ერთხელ მაინც გაიცინებს
გულიანად, მერე ის ზღარ ეცდება,
სულ სერიოზული სახით იაროს.

ხოლო თუ მგალობელ ჩიტებთან
ერთად იფრენს, არც ისაა გასაკვირი,
რომ სიმღერა შეუყვარდეს და სმენაც
გაეხსნას.

შეესალმა კაცი ხალხს და დარჩა
ქალაქში.

დიდთაგან სასულე ორკესტრი ჩა-
მოაყალიბა.

ბავშვებს კი სიმღერას აწავლია.
მთელი ქალაქის ბავშვებისაგან მომ-
ღერალთა გუნდი შეკრიბა და ამ გუნ-
დში მისი შვიდი შვილი მღერის.

დიდადრიან აღია, ხოლმე თავისი
სახლის საბურავზე და ქალაქში შემო-
სასვლელ ყველა გზას აკვრდება
ჭოგრიტით.

იცის, ადრე თუ გვიან ამ ქალაქშიც
შემოვა მხიარული მღებავი და უნდა,
რომ ზარ-ზეიმით შეხვდეს იმის მოს-
ვლას.

არავის უმხელს, თუ ვის ელოდება.
მხოლოდ ამას ამბობს, ნახავთ, ისეთი
რადაც მოხდება, ბავშვები სულ მხი-
არულები იქნებიანო.

ბავშვებს კი ახლაც ძალიან უზარო-
ათ დღის გათენება, რადგან უცნაური
მომღიმარი კაცი ცხოვრობს მათ ქა-
ლაქში.

ღილი ხანი არ გასულა მას შემდეგ,
მაგრამ თითქოს ორად გაიყო დრო
— იყო უამრ. როცა ამ სახელოვან
ადამიანს ჩვენს გვერდით ვიგულე-
ბდით, მერე უცბად უიშისოდ დარჩა
დრო...

თბილისში ტარდებოდა შესანიშნა-
ვი ღონისძიება — თეატრალური ხე-
ლოვნების პირველი რესპუბლიკური
კვირეული „თეატრი და ბავშვები“.
ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის კო-
ლექტივს დაეგვალა ნორჩი მხატვართა
ნამუშევრების კონკურსის ჩატარება
დევიზით — „მე რომ თეატრის მხატ-
ვარი ვიყო“. ძალიან კოტა დრო
გვქონდა, თემაც მოსწავლეთათვის
არცთუ ადვილი დასაძლევი იყო. სა-
გონებელში ჩავვარდით: პირველად
უნდა მოგვესინჯა მოსწავლეთა მხატ-
ვრულ-ესთეტიკური დონე თეატრა-
ლურ ხელოვნებაში, საინტერესო
იყო, შეძლებდნენ თუ არა ჩანაფიქ-
რის დამოუკიდებლად გადაწყვეტას,
ამა თუ იმ სპექტაკლის დეკორაციის,
კოსტიუმთა ესკიზების საკუთარი
თვლით დანახვას და ქალაქზე
გადმოტანას. გამოფენის მზადების
დღეებში ჩვენმა მეთოდისტებმა კი-
დევ ერთხელ შემოიარეს თბილისის



ელენე ახვლედიანი

შქანასქნელი სელმოღეშა

(მოგონების ერთი ფურცელი)

ყველა სკოლა, შეახსენეს პირობები
და მეტად მკირე დროის მონაკვეთ-
ში, გადარჩევის შემდეგ, ოთხასამდე
ნამუშევარი გამოიფინა. ექსპოზიცია
ძალზე ლამაზი და საინტერესო გა-
მოვიდა. ნამუშევრებში იგრძნობოდა
ბავშვების მხატვრული აზროვნება,
ჩანაფიქრის ორიგინალური გადაწყვე-
ტა. ფერის კოლორიტი და ლაკონიუ-
რობა. ჩვენა უარბაზებში მართლაც
რომ თეატრალური ხელოვნების ზე-
იმის დღეები დადგა. ნამუშევრებს
საუღეასწულს იერა მატებდა მუზე-
უმის მთელ გაყოლებაზე საბავშვო
თეატრალური აფიშების რიგი, რომ-
ლებიც დიდი სიფაქიზით იყო შერჩე-
ული.

ღილი მორიდებით ვთხოვეთ ელენე
ახვლედიანს ყიურის თავმჯდომარე-
ობა: ის ხომ ჩვენი მუზეუმი ღილი
თაყვანისმცემელი იყო. ქალთა დღი-
სადმი მიძღვნილ გამოჩენილ მხატვარ
ქალთა გამოფენას ჩვენი ნორჩი მხატ-
ვრების ნამუშევრებიც ამშვენებდა,
რაც ქალბატონ ელენეს ინიციატივი-
და და უშუალო ხელმძღვანელობით
გბქეთდა. დაუვიწყარია, აგრეთვე, მის
სახელოსანოში მოწყობილი ბავშვთა
ნახატების გამოფენაც 1969 წელს. ძა-
ლიან გვინდოდა, რომ ეს საკონკურსო
გამოფენა — „მე რომ თეატრის მხა-
ტვარი ვიყო“ — მისი მოსაწონი გა-
მოგვესვლოდა.
აი, დრო მიიწურა, სადაც არის

უნდა გაიხსნას გამოფენა. მობრძანდნენ სტუმრები: განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, კონკურსის ეიურის წევრები, მშობლები, მსწავლელები, ბავშვები... ელენე ახვლედიანი კი არსად ჩანს. უიმისოდ ჩვენი გამოფენა გახსნას რა ფასი და სილამაზე უნდა ჰქონოდა?! ქალბატონი ელენე ხომ ყოველი ჩვენი გამოფენის გახსნას ესწრებოდა!

მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა, შინ დავერეკე:

— ქალბატონო ელენე, ხომ მობრძანდებით? თქვენ უნდა დაგვილოცოთ კონკურსის გზა!

— მარტო ხომ ვერ მოვალ?

ეჭვმა გამკრა — შეუძლოდ ხომ არ არის-მეთქი. მაშინვე მისკენ გავეშურე. მუდამ მიხაროდა მის გვერდით ყოფნა, რალაც ძალას მმუტებდა, იმედით მავსებდა. ყოველი შეხვედრის შემდეგ საოცრად ამალღებული, მოჩადღობული, ფრთებშესხმული ეშორებოდი ქალბატონ ელენეს. დარწმუნებული ვარ, ამასვე გრძნობდა ყველა, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია.



მცხეთა

ფილარმონიამღე ფეხით გამოვიარეთ, შესანიშნავი ამინდი იყო. პატარა გიორგი და ნინოც თან გვახლდნენ, თვითონ მოისურვა მათი წამოყვანა.


ფილარმონიასთან შევჩერდით, გადასასვლელთან. ხელგაყრილი ვიდექი მასთან. მანქანების ნაკადი არა და არ წყდებოდა, მოუთმენლობა დაეტყო. უცბად გამიშვა ხელი, მოწყდა ადგილიდან და... გავოგნდი, ვერც კი მოვახერხე დადევნება, მანქანები კი არ ჩერდებოდნენ. ელენე ახვლედიანმა — ამ დიდებული შესახედაობის ქალ-

მა, ლოდინით გაბეზრებულმა — ხელი ასწია და მანქანები შედგნენ... არ ვიცი, რა მოხდა, იცნეა, თუ შიშმა შესანიშნავმა გარეგნობამ დაატყვევა ყველა. ქუჩაში მოძრაობა შეწყდა. ქალბატონმა ელენემ გადასასვლელი ჩვეული სიამაყით, მხნედ და აუღელვებლად გადაიარა. რომ მივუახლოვდი, მის სახეზე ნათელი დიმილი კიანფობდა.

ბავშვთა ხელოვნების მუზეუმში მოუთმენლად გველოდნენ. ქალბატონი ელენეს გამოჩენა ტაშით შეეგებნენ. ექსპოზიკა დიდი ინტერესით დაათვალიერა და აღტაცებულმა წარმოთქვა, „რამდენი ნიჭიერი მხატვარი ეზრდება საქართველოსო“. მერე, როგორც ეიურის თავმჯდომარემ, დაფაზე სამახსოვრო ხელმოწერა დატოვა.

ელენე ახვლედიანი, უკვე რამდენიმე წელია, აღარ არის ჩვენს გვერდით, აღარ გვახარებს და გვათამამებს თავისი მხარდაჭერით. არადა, ჩვენ ხომ მას „მუზეუმის კეთილ ანგელოზს“ ვუწოდებდით... დღესაც არის მის სახელოსნოში ბავშვთა ნახატების პატარა გამოფენა.


ბავშვთა მუსიკისა და ლიტერატურის კვირეულის დღეებში ნორჩთა წკრიალა ხმებმა გამოაცოცხლა უიმისოდ დარჩენილი კედლები. ბავშვები იგონებდნენ მასთან გატარებულ



ხალიჩაჰის ბაზარი

დროს: მისი ხსოვნის აღსანიშნავად დახატულ აურათებზე პატარებს ესაუბრებოდა უკვე წამოზრდილი ნორჩი მხატვარი ეკა აბულაძე; ბავშვებმა სიმღერით, მუსიკითა და ლექსებით აახმაურეს და გამოაცოცხლეს მისი კარ-მიდამო. ისევ ჩვენთან იყო იმ დღეებში ელენე ახვლედიანი...

ელენე გორგაძე,
ბავშვთა სურათების გალერეის
სამხატვრო ხელმძღვანელი.



კველი თბილისი

მ. მარტოვიძის ხელმოწერა



ძვირფასო რედაქციას!

ღიღი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტე თქვენთვის მოემართა. მოგიყვებით იმ ამბავს, რაც კლასში გადახდა, რომელიც საფუძველი გახდა ამ წერილისა. სასწავლო წლის ბოლო კვირა იყო. ფიზიკის მასწავლებელი გაკვეთილებს ზშირად გვიცდენდა, რადგან დედა გარდაეცვალა. ბოლო დღეს კი მხოლოდ ჩვენი გულისთვის მოვიდა სკოლაში, რადგან კლასში ნიშნები არ ჰქონდა დაწერილი. ჩემმა კლასელებმა კი გადაწყვიტეს მთლიანად გაეცდინათ გაკვეთილები. ეს გადაწყვეტილება მეც მომახსენეს, მაგრამ მე უარი განვაცხადე წახვლაზე. ისინი გაიპარნენ, მე კი — დავრჩი კლასში. მასწავლებელი ხაშინლად განრიხხდა, როცა ეს ამბავი გაიგო: „თქვენ არაფრის ღირსები ხართო“, — იყო მისი პასუხი. მეორე დღეს, როდესაც ბავშვები სკოლაში მოვიდნენ, არც ერთმა ხმა არ გამცა. პირველ დღეებში ჩემს თავს სწორად ვთვლიდი ამ საქციელში. მაგრამ დროთა განმავლობაში, როდესაც ჩემს საქციელს დავუფიქრდი, მე მგონი ცუდად მოვიქეცი.

მანტირებებს სხვა მოსწავლეების აზრი ამ საკითხზე. როგორ მოიქცეოდნენ ისინი ჩემს ადგილზე. მხარს აუბამდით თანაკლასელებს, თუ შეხვიდოდით მასწავლებლის მდგომარეობაში და კლასში დარჩებოდით?

გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს წერილი „პიონერის“ ფურცლებზე.

ი. უ. ი.

ქ. გორი, მე-3 სახ. სკოლა. 1981 წ. 26 VII.

რედაქციისაბან:

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ იმსჯელა ი. უ. ს წერილზე და გადაწყვიტა, უცვლელად, სიტყვასიტყვით დაგვებუჭა იგი. ეს წერილი ბევრი ფიქრისა და მსჯელობის საბაზს იძლევა. ეგრეთ წოდებულ „შატალოზე“ სიტყვას არ გვაგარძელებთ — ყველამ კარგად უწყის, რომ გაკვეთილების კოლექტიური გაცდენა მძიმე და-

ნაშაულია საკუთარი თავის, ამხანაგების, სკოლის წინაშე. მთავარი ამ წერილში სხვა რამ გახლავთ.

უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, როდის იყო მართალი ავტორი: როცა ამხანაგებს არ გაჰყვა, თუ როცა ინანა თავისი საქციელი? თქვენ იცით, რომ პიროვნებას მხოლოდ მაშინ წარმოადგენ, თუ აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია გიკავია, როცა შენთვის არ არის სულერთი, რა ხდება გარშემო. ახლა ვიკითხოთ, დგას კი ი. უ. ი. აქტიურ საზოგადოებრივ პოზიციაზე, როგორც ეს ყოველ პიონერს, ყოველ კომკავშირელს შეეფერება? რა გააკეთა მან საიმისოდ, რომ ამხანაგებისთვის შეეცვლევინებინა უმართებულო გადაწყვეტილება? ეკამათა ვინმეს ამის თაობაზე თუ გაუხრდა, პილატესავით ხელი გადაიბანა და განზე გადგა?

კიდევ ერთი რამ: რას ფიქრობდა მთელი კლასი და თითოეული მოსწავლე, როცა გაკვეთილს აცდენდნენ? ნუთუ წამითაც არავინ შეეყომანებულა — ვაითუ უბედურებაგადატანილ მასწავლებელს, რომელიც მხოლოდ ჩვენთვის მოვიდა სკოლაში, დამატებით გულისტკივილი მივაყენოთ? მოსწავლე-მასწავლებლის ვალ-

დებულებად ქცეული უბრალო პატივისცემა ამ საკითხის ერთი ასპექტია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე — უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანური დამოკიდებულება პიროვნებასა და პიროვნებას შორის. რომელიმე მოსწავლეს მსგავსი უბედურება რომ დასტუდომოდა თავს, გვწამს, მასწავლებელი მასთან იქნებოდა ამ მძიმე მომენტში, რითიმე შეეცდებოდა მისი ვარაშის შემსუბუქება! ი. უ. ს თანაკლასელები კი პირიქით მოიქცნენ, მკაცრად, დაუნდობლად მიაყენეს ახალი ჭრილობა აღმზრდელს, პიროვნებას, ადამიანს...

ი. უ. ს წერილი ალბათ ბევრ თქვენგანს გაუჩენს საფიქრალსა და საკამათოს. ცხადია, ყველა ერთი კუთხით არ შეხედავს ამ ამბავს, ზოგმა შეიძლება სხვისთვის შეუმჩნეველი ასპექტიც დაინახოს... ჰოდა, ამიტომ მოდით ყველამ, დიდმა თუ პატარამ, ერთად ვიმსჯელოთ წერილში წამოჭრილ პრობლემებზე, საკუთარი თავს გადაამხლარი მსგავსი შემთხვევებიც მოვიგონოთ და იქნებ საერთო ძალით გავარკვიოთ, ვინ არის მართალი და ვინ — მტყუანი.

მამ ასე, ვიწყებთ ახალ დისკუსიას: „სდექ! სწორად იქცევი თუ არა?!“



სისუართვალეპა მუხა

ვუძღვნი ჩემს პირველ მასწავლებელს მზია ჭყონიას

იღვა ერთ გორაზე ტოტებგაშლილი მუხა. მის თვალეში ცის ფერი იყო არეკილი. რტოებზე ორმოცდაექვსი კვირტი უბნისავდა.

კვირტები ფოთლებად გარდაიქმნენ. მუხა უფრო და უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს, რომ რაკ შეიძლება მეტი საზრდო მიეწოდებინა შვილებისათვის, მათი ზრდითა და გახარებით სულდგმულობდა.

გავიდა ოთხი წელი. მაისის ერთ გშეენიერ დღეს მუხასთან კეთილი ჯარი მოვარდა და ასე მიმართა:

— ლამაზო ცისფერთვალეპავ, შენ სანაქებოდ მოიხადე შენი ვალი, ახლა კი დროა, ორმოცდაექვსი ფოთოლი ახალი, მეოთხე მწვერვალისაკენ გამაყოლო.

ათრთოლდა დედა. გულს სწყვეტდა შვილებთან დაშორება, მაგრამ რაღა ექნა.

შვილები ნახად დაემშვიდობნენ საყვარელ დედას, რომლის თვალეშიდან გამოშუქებული ორმოცდაექვსი ცისფერი სხივი მიმავალი პატარების სავალს ხილად გავლდა.

— ნუ იღარვებ ქვენზე, არ შეგარცხვენთ, ჩვენი საყვარელო დედავ და მასწავლებელო. — ჩამოსძახოდნენ მალლა-მალლა აფრენილი ფოთლები.

ხევიდანად გასტყეროდა შვილების გზა მუხა. სულ მალე მის ტოტებზე ახალი ფოთლები ამრიადდნენ და საზრუნავი გაუჩნდა. მაგრამ იმ გაფრენილი ორმოცდაექვსი შვილის დარდი და იმედი სამუდამოდ ჩარჩა გულში.

სოფიანო მთარაზვილი, თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა, IV კლასი.

გაზაფხული სოფლად

სოფელს ნისლი დასწოლია ჯარად,
ორლობეში ტალახია ისევ,
ჩუმად ცრის და გაზაფხულის

მადლით
დედამინა ლარიბ უბეს ივსებს.
ტყეს აქა-იქ შერჩენია თოვლი,
სველი მინა მეტ წყალს ველარ
იტევს,
ბუხრებიდან მოზოზინებს კვამლი,
სუსტი წვიმა ახალისებს ჩიტებს.
როგორც იქნა, გამოვცილდი

ქალაქს,
ფეხი შევდგი ტალახში და ჭყაპში,
მომენატრა ჩემი სოფლის სითბო,
მასზე ფიქრით გავხდი თითქოს
ბავშვი.


მომეგება საყვარელი ბებო,
თავზე ხელი გადამისვა პაპამ;
წნელის ღობეს გადმოახტა ნემო,
ცუგომ ლამის დამიხია კაბა.
ცოტა ხანში მიილია, გაქრა
სახლში ჩუმად მოშრიალე სევდა,
თბილ ბუხართან მოვკალათდი

სკამზე,
სიხარულით ველარაფერს ვხედავ.
„რა მოგართვა, ჩემო

ჩიტო-გვრიტო?“ —
ცრემლიანი მეუბნება ბებო.
„დამბალ ხაჭო მომიტანე მარტო,
ქალაქური საქმელები მეყო“.
გარეთ ცივა, იკრიბება ნისლი,
ორლობეში ტალახია ისევ;
წყნარად წვიმს და გაზაფხულის
მადლით
დედამინა ლარიბ უბეს ივსებს.

მზე აქანავებს ტყემლის ტოტზე
ცეცხლიან ფეხებს,
ფარდის გადაღმა
ვერ ისვენებს
თეთრი თბილისი.
ქუჩის პირებზე
ვერხვებს კოცნის
ნიაჯი ანცი
და ჩემს ეზოში ისმის
ქალის ჩუმი კისკისი.
ფოთლებში ჩაღვრილ
ათასფერად მოჩანს ფანჯრიდან:
მზე, ცა, ვერხვები,
ქუჩები და ყრუ ეზოები.
ამ სილამაზეს დავუტოვებ
ოცნებას მარტოდ,
ვემთხვევი ხელზე
და უჩუმრად დავეთხოვები.

მანანა ზნოლიძე,
თბილისის რკინიგზის I-ლი
საშუალო სკოლა, X კლასი.



ზინე კირველი?..

ირაკლი დინასამიძე, 11 წლის.

ყვავილთა საყვარლები

როცა პატარა ვიყავი, ხშირად მი-
ოცნებია მოვხვედრილიყავი ყვავილ-
თა სამყაროში, მონაწილეობა მიმელო
მათ ზეიმში. ოცნება ამისრულდა:
ერთხელ ჩემს წინ გადაიშალა დიდი
მწვანე ველი, მშვენიერი წალკოტი.
იქ ბევრ ყვავილს მოეყარა თავი. იყო
ია, ენძელა, მიხაკი, ყაყაჩო, იასამანი,
გაორგინა და ვინ მოთვლის, კიდევ
რამდენი მინდვრის თუ ბაღის ყვა-
ვილი.

ყვავილები ნელ-ნელა გროვდე-
ბოდნენ, თავმომწონედ ათვალიერებ-
დნენ ერთმანეთს. ზეიმს ნუშის ხე მე-
თავებოდა. ყვავილთა დედოფალი
უნდა აერჩიათ. ნუშმა მიხაკი დაასა-
ხელა. მიხაკს სიხარულმა თავბრუ და-
ახვია. ყვავილები განსხვავებულ წი-
ნადაღებებს აყენებდნენ, ზოგს ყაყა-
ჩო ერჩინა, ზოგს — იასამანი, გე-
ორგინამ წინ წამოიწია: „ყვავილთა
დედოფლობა მე მომიხდება, ლამაზი-
ცა ვარ, დიდიც და ამაყიცო“. ყვავი-
ლებმა თითქოს ახლა შეამჩნიეს იგი,
მოეწონათ კიდევ. და თითქმის გადა-
წყდა მისი გადედოფლება, რომ ამ
დროს შორიდან ზარების რეკვა გაის-
მა. მალე გამოჩნდა კალიებშებმული

მზიარული ეტლი. ირგვლივ ისეთი სუ-
რნელება დატრიალდა, ყვავილნი გაკ-
ვირვებით გაშეშდნენ. არემარე თით-
ქოს უფრო განათდა. ეტლიდან გად-
მოვიდა, ულამაზესი ყვავილი, ხავერ-
დის კაბაში გამოწყობილი. იგი კეკ-
ლუცად მიუახლოვდა მოხეიმეებს,
ნაზად თავი დაუკრა და ჩუმი ხმით
წარმოთქვა: „გთხოვთ მპატიოთ, მე-
გობრებო“. ყველანი ფეხზე წამოდ-
გნენ და მოკრძალებულად მიესალ-
მნენ. მათ იგრძნეს, რომ დედოფლო-
ბა ყველაზე მეტად ამ მომაჯადოებე-
ლი სურნელისა და სილამაზის ყვა-
ვილს დაშვენდებოდა.

ეს მაისის ვარდი გახლდათ.
ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა.
ნუშის ხე ზეზე წამოდგა და ხმამაღ-
ლა წარმოსთქვა: „გაუმარჯოს ჩვენს
დედოფალს, ჩვენს მაისის ვარდს! იხა-
რე და იბედნიერე!“ — გვირგვინი
ხელში აიღო და მშვენიერ არსებას
თავზე დაადგა. ამ დღიდან ყვავილ-
თა დედოფლად მაისის ვარდი ით-
ვლება.

ნინო პაცაძე,
თბილისის 58-ე საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

სპორტი
ბავშვის სპორტული
ცენტრებში

საქართველო სპორტი



ზინა ჯურაველი

ზაფხულის წყნარ დილას ვსხედ-
ვართ აივანზე, შუბლს ვივრისებთ
მდინარე ვერეს ნიავეთ და აუჩქა-
რებლად ვსაუბრობთ. ორნი ვართ: მე,
ჟურნალ „პიონერის“ რედაქციის სა-
განგებო დავალებით აღჭურვილი კო-
რესპონდენტი, და ის — ჩემი ძველი
ნაცნობი და მეგობარი.

ის ცნობილი ადამიანია! მისი სახე-
ლი ოდესღაც ქუხდა არა მარტო სა-
ქართველოს, არამედ საკავშირო და
მსოფლიო ტანვარჯიშულ ასპარეზ-
ზეც, მის სურათებს კედლებზე აკრავ-
დნენ ნორჩი სპორტის მოყვარულები
— თქვენი ტოლები, ტანვარჯიშის
ტრფიანნი.

ის — მზია ჯურაველია! საქართვე-
ლოს ერთ-ერთი გამოჩენილი სპორ-
ტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,
სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონი

ბჭენით ხტომებსა და რგოლებზე
ვარჯიშში, საქართველოს დამსახურე-
ბული მწვრთნელი, „საპატიო ნიშნის“
ორდენის კავალერი.

რაზე ვსაუბრობთ?
რა თქმა უნდა, ტანვარჯიშზე, თა-
ნაც მზიას ცალი თვალი იქით გაურ-
ბის, სადაც ვეება ამწე მექანიზმი მოძ-
რაობს, ერთგული ყარაულივით და-
აბიჯებს მრავალსართულიანი შენო-
ბის გასწვრივ; თავს ევლება მას და
წამდაუწუმ აწვდის ღია „ხახაში“ აგ-
ურს, ცემენტს, ლორღს, რკინის არმა-
ტურას.

აქ, თბილისის ძველ სატიოზე, ლე-
ნინური კომკავშირის სახელობის სა-
ცურაო აუზის გვერდით, სულ რამ-
დენიმე ნაბიჯზე, შენდება სპეციალი-
ზებული ტანვარჯიშული დარბაზი,
უზარმაზარი სპორტული კომპლექსი,
რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქ-
ნება მთელს ჩვენს ქვეყანაში.

საუბრის ძარღვს ვერა და ვერ ჩა-
ვეჭიდეთ, ვერ ჩავეწვდით. დავიწყებ
ლაპარაკს, თითქოს ავიყოლიებ თანა-
მოსაუბრეს, ის კი მთელი არსებით,
მთელი გონებით იქ არის, სადაც
დინჯად დააბოტებს რკინის ურჩხუ-
ლი — ამწე...

— ოჰ, ეს დარბაზი! — ბოღის
მიხდის მზია. — დღე და ღამე იქა
ვარ, წუთით ვერ ვშორდები, ასე
მგონია, მუშაც მე ვარ, სამუშაოთა
მწარმოებელიც, ინჟინერიც და ისიც,
ამწეს თავზე რომ ზის კაბინაში. ვერ
მოვისვენებ, სანამ არ ამენდება.

— რაღა დარბაზია, — გეუბნები.
უფრო სწორად, მინდა საუბარში ავი-
ყოლიო იმით, რაც მას აინტერესებს.
— უზარმაზარი კორპუსია და რამდე-
ნიმე სართული.

მზია გამოცოცხლდა:
— მართალია. დარბაზი აქ რამდე-
ნიმეა, ყოველ მათგანში ცხენი გაჭენ-
დება. ამას გარდა საექტო ოთახი და
კინო-ლექტორიუმი, სამედიცინო ცე-
ნტრი, საერთო საცხოვრებელი, სამ-
კითხველო, დასასვენებელი ოთახები,
სასადილო, ბუფეტი, საშხაპეები, სა-
უნა (ფინური აბანო), საცეკვაო, მა-
გიდის ჩოგბურთის ოთახი. ყველაფე-
რი! ჩვენს კომპლექსს ერქმევა ტან-
ვარჯიშის უმაღლესი დაოსტატების
სპეციალიზებული რესპუბლიკური
სკოლა. თანამედროვე ტიპისა გვექ-
ნება ყველაფერი: უახლესი ტიპის
იარაღები, მუსიკალური დანადგარე-
ბი, ნოზები, ლეიბები, და, იცოდეთ,
ეს ყველაფერი ძირითადად ნორჩები-
სათვის, თქვენი ჟურნალის მკითხვე-
ლებისათვის არის გათვალისწინებუ-
ლი.

— რატომ ნორჩებისათვის, განა
სკოლა საბავშვოა?
— იმიტომ რომ, ტანვარჯიში ახლა

უმთავრესად ნორჩებისათვისაა გა-
წვიდა, როცა საუკეთესო ტანვარჯი-
შიეები წვერულვაშიანი მამაკაცები
და ქმარშვილიანი ქალები იყვნენ.
ტანვარჯიში გაახალგაზრდავდა, დი-
დად გაახალგაზრდავდა და, ლამის
არის ნორჩთა სარბივლად იქცეა.

როგორც იქნა, მივაგენით საუბრის
თემას, რომელიც თქვენ, „პიონერის“
მკითხველებს გაინტერესებთ. ჟურნა-
ლის რედაქციაში მრავლად მოდის
წერილები, თქვენ თანატოლებს აინ-
ტერესებთ თანამედროვე ტანვარჯი-
შის განვითარების გზები და პერსპექ-
ტივები, გამოჩენილი სპორტსმენები.
ბევრს თვითა აქვს სურვილი გზიაროს
ტანვარჯიშს და, აჰა, მზია ჯურაველიც,
თითქოს, „პიონერის“ მკითხველთა
წერილებს უპასუხებსო, ლაპარაკობს:

— რასაც ახლა ხედავენ მაყურებ-
ლები, მათ შორის ბავშვებიც, დიდ
ტანვარჯიშულ შეჯიბრებებზე, ოლიმ-
პიურ ასპარეზობებზე, მსოფლიოსა
და ევროპის ჩემპიონატებზე, საკავში-
რო პირველობებზე, ნამდვილი საოც-
რებაა, სასწაულია. ტანმოვარჯიშეები
ასრულებენ ისეთ ილეთებს, აკრომა-
ტულ ნაერთებს, ისეთი სირთულის
კომპინაციებს, რომ ძველ დროს მათ-
ზე ვერც კი ვიოცნებებდით. ყველა ეს
ახლანდელი ნაღია კომენტი, ლუდ-
მილა ტურიშჩევა, ოლღა კორბუტი,
ნელი კიმი, სტელა ზახაროვა, მანა
ფილიტოვა ქალთა შორის, ალექსანდრე
ვილიტიანი, ელჟარდ აზარიანი,
იური კლიმენკო და სხვანი ვაჟთა შო-
რის — წარმოუდგენლად მაღალი
კლასის ოსტატები, ვირტუოზები არი-
ან.

ჩვენ ვამბობთ ქალთა და ვაჟთა შო-
რისო, მაგრამ ეს ტანმოვარჯიშეები
თავიანთი სპორტული გზის დასაწყის-
ში ისეთ ნორჩები იყვნენ — პატარა
ბიჭუნები და გოგონები. სახელიც მა-
შინ მოიხვეჭეს, ცეროდენები რომ
იყვნენ. დასაწყისში ჩვენ, მწვრთნე-
ლებს, ძალიან გვიკვირდა, 12-14
წლის ნორჩები რომ ასეთ ურთულეს
ვარჯიშებს ასრულებდნენ, განცვიფ-
რებული ვიყავით იმ უჩვეულო ილე-
თებით, რასაც ეს პაწიები გვთავა-
ზობდნენ; მერე კი ნორჩთა წარმატე-
ბები ნორმად იქცა და ახლა მოსწავ-
ლეთა და მოზრდილთა შეჯიბრებებს
ერთმანეთისაგან ვერც კი გაარჩევ. დი-
დი ტანვარჯიში, მისი უმაღლესი
მწვერვალები პატარების წილხვედრი
განდა.

საბჭოთა ტანვარჯიში მუდამ მოწი-
ნავე იყო მსოფლიოში. ჩვენს ოსტა-
ტებს ბადალი არ ჰყავდათ დიდ საერ-
თაშორისო შეჯიბრებებზე. შემდეგ
რამდენიმე შესანიშნავი მოვარჯიშე
გამოჩნდა იაპონიაში. ამ ქვეყნის სა-
უკეთესო მწვრთნელები კინოაპარა-

ტი ხელში დასდევდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს, კინოფირზე გადაჭინდით ყველაფერი, რასაც ხედავდნენ, ასწავლიდნენ თავისიანებს და თვითონაც ქმნიდნენ ახალ ილეთებს. მათ „ულტრა-სი“ ეწოდებოდა.

ასე იქმნებოდა უმაღლესი ტიპის თანამედროვე ტანვარჯიში, სადაც ურთულესმა აკრობატულმა ნაერთებმა პირველხარისხოვანი როლი მოიპოვა.

როცა საბჭოთა ტანმოვარჯიშე გოგონამ, 14-15 წლის ოღლა კორბუტმა პირველად შეასრულა თავისი გაუგონარი სიძნელის ვარჯიში, მერე კი „კორბუტის მარყუჟი“ გააკეთა, მსაჯები საკუთარ თვალს არ უჯერებდნენ. მსაჯები რამ მათ ვერც წარმოედგინათ.

ტანვარჯიშში არის ეგრეთ წოდებული ბჯენითი ხტომები. სპორტსმენი გამოირბენს, დაჰკრავს ხელს ტიპს, გადაეფლება მას და ლეიბზე ხტება. ესაა და ეს: ახტომი, ხელის დაკვრა და დახტომი. ამას სულ რაღაც ერთი წამი სჭირდება, ან ოდნავ მეტი.

რა უნდა მოასწროს ადამიანმა ამ ერთ წამში? ახლანდელი ტანმოვარჯიშეები კი ბჯენითი ხტომისას რამდენიმე ისეთ რთულ ელემენტს და მალაყს აკეთებენ, რომ განცვიფრების მეტი არა დაგვრჩენია რა.

და საკვირველი ისაა, რომ ასეთ სირთულეებს გვთავაზობენ ნორჩები, ზოგჯერ სულ პატარებიც კი — 10-12 წლისანები.

როცა ოღლა კორბუტმა პირველად გააკეთა თავისი არაჩვეულებრივი ვარჯიში, იგი... აკრძალეს. დიხა, დიხა! ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო კონგრესზე ეს ილეთი აკრძალა. მაგრამ გამოჩნდნენ სხვები, თუნდაც რუმინელი გოგონა ნადია კომენეჩი, რომელმაც კორბუტის ვარჯიშს თავისი, ახალი სირთულეები დაუმატა და უკვე ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ ტანვარჯიში განვითარების ახალი გზით მიემართებოდა და მას აკრძალვა კი არ ესაჭიროებოდა, არამედ, პირიქით, ხელშეწყობა, მხარდაჭერა.

თქმა არ უნდა, ახალი ტანვარჯიში შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სიტამამის, გარკვეული რისკის, აზარტის

გარეშე და სწორედ ამ თვისებებით გამოირჩევიან ნორჩი სპორტსმენები, სწორედ მათი გაბედულება წარმოქმნის ახალ-ახალ შესაძლებლობებს.


ტანვარჯიში — ეს სილამაზეა! სპორტის არც ერთი სახეობა არაა ისე ლამაზი, წარმტაცი და მიმზიდველი, როგორც ტანვარჯიში. როცა გარინდული მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე სპორტსმენი ლალად ასრულებს ურთულეს ვარჯიშს ღერძზე, ან მელოდიური მუსიკის ჰანგებზე დაქრის ხალიჩაზე თავისუფალი ვარჯიშის თავებრუდამხვევ რიტმში, ეს დომაჯადოებელია.

საერთოდ ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ტანმოვარჯიშეები ყველაზე უფრო კოხტა, ლამაზი, ტანადი ხალხია და ამ სიკოხტავეს ისინი სიბერემდე ინარჩუნებენ.

ახლანდელი ბავშვები დაწყებითი კლასებიდან მეცადინეობენ, ეუფლებიან ტანვარჯიშის რთულ ხელოვნებას, V-VII კლასებში უკვე ბევრი რამ იციან, ეს კი სწორედ „პიონერის“ მკითხველთა ასაკია. ესე იგი, ვისაც სურს ეზიაროს სპორტის ამ ულამაზეს სახეობას — ტანვარჯიშს, ვისაც სურს ნამდვილი ოსტატი გახდეს, ახლავ, ბავშვობიდანვე უნდა მოჰკიდოს ხელი ვარჯიშს.

საქართველოს ტანმოვარჯიშეებს კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში, მათ მრავალი წარმატება მოუპოვებით წარსულშიც და ახლაც. ახლანდელი ჩვენი ოსტატებიდან დავასახელებ მ. თათარაძეს, ლ. გოგოლაძეს, ვ. ბარნაბიშვილს, ა. ლებედევს, ა. ბაბასიანს, ე. ფუთურიძეს, ე. გერმანოზაშვილს, თ. კაკაშვილს, მ. ხუციშვილს, ი. სირაძეს და სხვებს. მათი სპორტული გზა სწორედ ბავშვობიდან დაიწყო. საქართველოს ნაკრებ გუნდში ახლაც არიან სკოლის ასაკის ბიჭუნები და გოგონები.



ამ საუბარში რომ ვართ, მზია ჯუღელი წამოხტა და სულმოუთქმელად გაეშურა მშენებარე დარბაზისკენ. ერთხანს ვუცადე. მალე დაბრუნდა და ბოდიში მომიხადა — ამწე გაჩერდა, მიზეზის გასაგებად გავიქეცი, რაღაც გაჰფუქებოდაო.



— ჰოდა, ისევ და ისევ ის მინდა ვითხრათ, რომ უმაღლესი კლასის, ნამდვილი სპორტული ტანვარჯიში ახლა ნორჩების ხელთაა, სწორედ იმათ ხელთ, ვინც ეუზრნა „პიონერს“ კითხულობს და ვინც წერილები გამოგზავნა რედაქციაში. რა უნდა ვუცხრა მათ? მხოლოდ ერთი — მობრძანდით ჩვენს ტანვარჯიშულ სექციებში, მოსინჯეთ თქვენი ძალა, შეამოწმეთ რა შესაძლებლობანი გაქვთ, გაბედეთ, თამამად გაბედეთ, ნუ შეგეშინდებათ. თქვენს განკარგულებაში იქნება საუკეთესო დარბაზები, პირველხარისხოვანი იარაღები, თქვენს ვარჯიშებზე გამოცდილი მწვრთნელები და პედაგოგები. კიდევ იმეცადინებთ და კიდევ დაისვენებთ. მე ძველი დრო მახსოვს — ჩემი თაობა ბნელი ეკლესიის დარბაზში ვარჯიშობდა, ახლა კი, აბა, შეხედეთ, რა დიდებული სასახლე შენდება ტანვარჯიშისათვის!

ბოლოს დაუმატა: — იცოდნენ ბავშვებმა, რომ ტანვარჯიში სილამაზეა, სილამაზეს კი ყველა ეტრფის!

ზ. კიზირია



ს. პაკუზლინი

იქვე იოლკა ჰქვიან!

მხატვარი

ი. სამსონაძე

მოთხრობა

ზაფხული, როგორც ყოველთვის, სწრაფად ილეოდა. თითქოს გუშინ იყო, სოფელს თავს ალვის ხის ბუჩქმულები რომ დასტრიალებდა და ახლად მოთიბული ბალახისა და მარწყვის სურნელი იდგა. ახლა კი, ავერ გზისპირებში. ლილილო გადახუნდა უკვე, ბაბუაწვერამ

ირდა, ჩიტებიც სხვა ხმაზე აჭიკჭიკდნენ...

აგვისტოს დამდეგს, ერთ უქმე დღეს, ლიონკას დედა და მამა ჩამოუვიდნენ. მამამ ახალი გაზეთები ჩამოიტანა და ლიონკამ მაშინვე ცხვირი ჩარგო შიგ, თან გზადაგზა პასუხობდა მშობლების შეკითხვებს:

— ჰო, კარგად!.. დიან, კარგად!.. რა?.. ჰო, ყველაფერი კარგადაა!.. მძინავს!.. კარგად მძინავს!..

ალექსანდრა ფეოდოროვნა კმაყოფილებით უდასტურებდა. მას არაფერი ჰქონდა შვილიშვილთან სასაყვედურო. პირიქით! შინაც ეხმარებოდა, კოლმეურნეობაშიც უცხო კაცად არ ითვლებოდა, ხალხი ემადლიერებოდა... ნეტა ყველა ბიჭი ასეთი იყოს.


ლიონკა ყურს არ უგდებდა უფროსების ლაპარაკს. უცებ წამოხტა.

— მამ! შეიძლება ერთი წუთით? დედ, აუცილებელია! ახლაც დაგბრუნდები...

მშობლებმა და ბებიამ უხმოდ გადახედეს ერთმანეთს.

— რა თქმა უნდა, ლიონოკ, გაიქეცი, — პირველმა ბებიამ უთხრა. — წავიდეს, — დასძინა მან, ახლა უკვე მშობლების მისამართით. — აღამიანს ათასნაირი საქმე შეიძლება გამოუჩნდეს.

იოლკა ვერსად იპოვა, თუმცა ნახევარი სოფელი შემოიბრინა. ბოლოს გაბედა და სახლის კარზე მიუკაკუნა. ეს პირველი შემთხვევა იყო: ადრე არასოდეს გაუბედნია სახლში მიკითხვა. თვითონ ვოგონაც რომ ეპატიებოდა, მაშინაც უარს ეუბნებოდა ხოლმე.



დაიყვავილა და სულ უფრო გახშირდა ტრაქტორების გუგუნები: დაიწყო მოსავლის აღება. ფერებიც — მიწის. კორდების და ტყის ფერებიც — ახლა სულ გადასხვანა-

— იოლ... იოლოჩკას სთხოვეთ! — უთხრა მან, როცა იოლკას დედამ კარი გაუღო. და თვითონაც ვერ მიხვდა. რატომ უწოდა იოლკას იოლოჩკა. ალბათ დაბნეულობისაგან...

— შემოდი, ლიონია, შემოდი. — უთხრა უბრალოდ იოლკას დედამ.

ის ადრეც იცნობდა იოლკას დედას და, ცოტა არ იყოს, რიდი ჰქონდა მისი.

მაგრამ ახლა ყველაფერი უბრალოდ მოგვარდა. ეს ქალი თითქმის ისეთი იყო, როგორც დედამისი და ბებიამისი — დედაზე ოდნავ უფროსი. ბებიასე ცოტათი უმცროსი. სახეც უბრალო ჰქონდა, ღიმილიც და სიტყვებიც: „შემოდი, ლიონია, შემოდი...“

ლიონკას გულზე მოეშვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იოლკა დაინახა.

— აი, მისმინე, — სწრაფად უთხრა ლიონკამ და გაზეთი გაშალა. — მისმინე! მაშ. ასე: „კანონი ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მიღების შესახებ... ათას ცხრას ორმოცი წლის 6 აგვისტო...“ ესე იგი, შენ, იოლკა, ახლა უცხოელი აღარა ხარ!

იოლკა იღიმებოდა და ხმას არ იღებდა.

— ჩვენთანაც სიხარულია, ლეონიდ, — უთხრა მან ბოლოს. — მამაჩემს ათავისუფლებენ. აი, წერილი მოგვივიდა. გვწერს, ტალინში, სამშობლოში წავალთო. მომავალ წელსო, იწერება, უეჭველად წავალთო...

ისინი მოჭრილი ჭვავის ყანაში მიდიოდნენ. მალა ცაში ტოროლები გალობდნენ, ბელულები გუნდებდა დაფრიალებდნენ. ყველაზე მალა კი ქორი დასრიალებდა, მწყრებს უთვალთვალებდა. ჰაერი დახუთული იყო. ცხელოდა, როგორც ავდრის წინ იცის. ჩუმი მიდიოდნენ. იოლკა ყოველ წუთს იხრებოდა და ჭვავის თავთავებს კრეფდა. მთელი თაიგული მოაგროვდა, შედგა.

— ვინა, გაკოცებ?

ლიონკა ვაოგნდა. კიბოსავით გაწითლდა. გოგო შეხტა და მოუხერხებლად აკოცა ლოყაზე თუ ცხვირზე.

— რატომ? — სულელურად იკითხა ლიონკამ.

— ისე, უბრალოდ, ლეონიდ! აი! მომინდა რატომღაც. მორჩა და გათავდა!.. — და გაიქცა.

მეტი აღარაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის. ნარას გუბურაც ვეღარ ნახეს.

მეორე დღეს იოლკა და დედამისი მოსკოვს გაემგზავრნენ. ეს ამბავი ლიონკამ მოგვიანებით გაიგო. ისიც გაიგო, რომ იოლკას მამის შესახებ დრად წასულიყვნენ.

— ნუ იღარდებ, ლიონკო, — ოხრავდა ბებია, ლიონიას უკმაყოფილო სახეს რომ უყურებდა. — ისევ მოვა ზაფხული. ისევ ჩამოხვალ... ●

ზაფხული მართლაც მოვიდა. მომდევნო წლის უჩვეულო ზაფხული. რეპროდუქტორებმა, რომლებიც სერიოზულად ოცდაათი ივნისის კვირაძალს ამუშავდნენ, განთიადისას გამოაცხადეს ის, რასაც აცხადებდნენ ყველა სხვა სოფელსა და ქალაქში...

— ნეტავი სულაც არ გამოეყვანათ ეს დაწყვეტილი რადიო! — ამბობდნენ იმ დღეს სერიოზულად.

მოსკოვში, ლიონკას სახლში, სადაც რადიო დიდი ხნის გაყვანილი იყო, ხმას არავინ იღებდა. სდუმდნენ. აბა რა ეთქმოდათ, ომი დაიწყო, წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა...

თავდაპირველად დიდხანს, უსაშველოდ დიდხანს და ისევ გულდამძიმებულნი, როგორც ომის პირველ თვეებში იყო, ელოდნენ: როდის, ბოლოს და ბოლოს როდის შეაჩერებდნენ მათ?

სექტემბერში დაიწყო თავდაცვის ზღუდეების აგება მალოიაროსლავცთან, ნარო-ფომინსკთან, შემდეგ — სულ ახლოს და ახლოს.

იოლკა თხრიდა გაქვავებულ მიწას და კვლავ ფიქ-



რობდა: როდის შეაჩერებენ მათ?

ოქტომბრის დადგომის შემდეგ სულ უფრო გახშირდა ცეცხლოვანი ელვის ნათება იქ, ნარას გაღმა. დამლაშობით ცაში მძიმედ გუგუნებდნენ გერმანელთა თვითმფრინავები. ირგვლივ ტყეებში სახეიანო ქვემეხები გრიალებდნენ. პროექტორები და ყუმბარები ერთად შეიჭებოდნენ შემოდგომის გათოშულ ზეცაში. სერიოზულის გამუდმებით უვლიდნენ გვერდს ჩვენი ქვეითებისა და ცხენოსნების, საბარგო მანქანებისა და მოტოციკლისტების დაუსრულებელი რიგები და იქით, ნარასკენ მიდიოდნენ ხიდზე გავლით. მათ შესახებ დრად კი მდინარიდან მოდიოდა საწინააღმდეგო ნაკადი — დაჭრილებით სავსე სანიტარული მანქანები და ფორნები. ეს ნაკადი ყოველ საათსა და ყოველ დღე მატულობდა.

სერიოზუი ჩაკვდა. სოფლამდე ახლა გერმანელთა არტილერია კი არა, ნაღმსატყორცთა ცეცხლიც უწყვედა. სულ პაწაწინა — ორმოცდაათილიმეტრიანი ნაღმსატყორცებისა. კი. „იუნკერსები“, რომლებიც მოსკოვამდე ვერ გააღწევდნენ. აქვე, ყურის ძირში იცლებოდნენ. თავდაპირველად კლუბი ავარდა ცაში, მერე სკოლა, მერე ეკლესია — ხორბლის საწყობი.

21 ოქტომბერს გერმანელთა 258-ე ქვეითი დივიზიის ნაწილები შევიდნენ ნარო-ფომინსკში. შევიდნენ და მდინარე ნარაზეც გამოვიდნენ...

მდინარე ნარა, საყვარელი, პატარა მდინარე ნარა.

ნარას ნაპირებზე დადგნენ ჩვენი 33-ე და 43-ე არმიები. დადგნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. მათ შორის იყვნენ მოსკოვის პირველი გვარდიული მოტომსროლელი (პროლეტარული) და მოსკოვის კუიბიშევის რაიონის სახალხო დამცველთა მე-4 დივიზი-

ები... თავი ჰქონდათ გადადებულ ტანკისტებსა და მე-
სანგრეებს, არტილერისტებსა და ნაღმტყორცნელებს,
მეავტომატეებსა და მეკავშირეებს, კავალერისტებსა და
ქვეითებს, მეფორნეებსა და სანიტრებს. ყველას თავდაც-
ვის ხაზი ეჭირა, ყველას...

წვიმა. წვიმა გადაუღებლივ. სამი დღე და ღამე ზე-
ღიზელ ასხამდა. წვილი, გამყინავი, გულის გამაწვრი-
ლებელი წვიმა იყო. ნახევრად უდაბურ სერიოჟის ნის-
ლი დასწოლოდა. თვალთან თითხ ვერ მიიტანდი. სანაპი-
რო ნაძენარიდან მხოლოდ ბუნდოვანი საუბარი და ცხე-
ნების ჰიხინი ისმოდა. იქ ჩვენი ჯარები იყრიდნენ თავს,
აგებდნენ მიწურებს, საცეცხლე პოზიციებს, გზებს.

იქნებ აქ შეაჩერონ, აქ, ნარაზე?! უნდა შეაჩერონ!
სწორედ ამ წვიმასა და ნისლში ეთხოვებოდა ოჯახს
იოლკას მამა. ტანზე ძველი ქურჭი და დაბამბული შარ-
ვალი ეცვა, ზამთრის ქუდი ეხურა. მკერდზე ავტომატი
ეკიდა...

მამამ ჯერ პატარები გადაკოცნა. აკოცა ცოლს.

— თავს მოუფრთხილდი, რიკა, — უთხრა ცოლმა.

მიწურიდან რომ გამოვიდნენ, სადაც ახლა ისინი ცხო-
ვრობდნენ, მამამ იოლკას უთხრა:

— ენდა, ჯერ ერთი, ჩვენებს მიხედვ. ძალიან გთხოვ!
მეორეც, შენ მე დამჭირდები, იცოდე, შეგატყობინებ.
ახლა მამამ მასაც აკოცა.

— აბა, კარგად იყავი და ნუ დაგლახავდები, იცოდე!
მე წავიდი.

ყველამ იცოდა, მამა სადაც მიდიოდა.

დასავლანაგებლად იოლკას არ ეცალა, სამი დღე და
სამი ღამე დაჭრილებს ჭრილობებს უხვევდა, მკვდრებს
მარხავდა. გერმანელები ნარას შობილდაპირე ნაპირზე
გადმოვიდნენ. ბრძოლები არ ცხრებოდა.

მეოთხე ღამეს დაუძახეს. და ისიც წავიდა იქ, მამას-
თან.

ორი დოკუმენტი:

„...მოსკოვის დაცვის ზურგის უზრუნველსაყოფად და
მოსკოვის დამცველი ჯარების ზურგის გასამაგრებლად,
აგრეთვე ჯაშუშების, დივერსანტებისა და გერმანული
ფაშიზმის სხვა აგენტების ძირგამომთხრელი მუშაობის
აღსაკვეთად თავდაცვის კომიტეტი აღგენს:

1. 1941 წლის 20 ოქტომბრიდან ქალაქ მოსკოვსა და
მოსკოვის მიმდებარე რაიონებში შემოღებულ იქნას
სააღყო მდგომარეობა...“

**„ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის რაიონის სამხედრო
კომისარიატს**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ სასწრაფოდ გამიწვიოთ მუშურ-გლეხური
წითელი არმიის რიგებში, ანდა გამგზავნოთ ზურგში,
რათა დავიცვა მოსკოვი.

ვარ მოხალისე მუშათა რაზმის მებრძოლი. ვიცი სრო-
ლა. ვარ კომკავშირელი. 30 შესაძლებელიდან მიზანში
ვარტყამ 30-ს. სასჯელი არა მქონია. მზადა ვარ სიცოცხ-
ლე შევწირო სამშობლოს, მოსკოვს!

დაბეჯითებით გთხოვთ, უარი არ მითხრათ თხოვნაზე.

ლენინდ პუშკარივი.

1941 წლის 20 ოქტომბერი.“

ჩუმი, გულჩახვეული. თითქოს ვიღაცამ გამოცვალაო.
აღარც ღიმილი, აღარც ხალისი. გარეგნულადაც ვეღარ
იცნობდით: დათხუპული სახე, შუბლზე ჩამოჩაჩული
თავსაფარი, დაძინებული პალტო, მაღალყელიანი რეზინ-
ის ჩექმები. დაწითლებული და დახეთქილი, დაწყლუ-
ლებული ხელები.



ნუთუ იოლკა იყო ეს? იოლოჩკა? მართლა ის იყო?
მართლა.

ის ხედავდა, მოკლე ღლებსა და გრძელ ღამეებში
როგორ ენთო და ბრიალებდა ნარა. ყუმბარების აფეთ-
ქებისაგან მიწა ირყეოდა, ერთი უბრალო თოფის გასრო-
ლის ხმაზე ორთავე ნაპირიდან ავტომატებისა და
ნაღმსატყორცნების სეტყვა დააყრიდა და მერე ისევ ჩა-
მოვარდებოდა ხანმოკლე სიჩუმე. ამ სიჩუმეში ჯერ
კიდევ გაუყინავ მდინარეში მშვიდობიანად მიცურავდნენ
ომისაგან დაღუწილი ნაძვის ტოტები, გერმანული
მუზარადები და რუსული ყურიანი ქულები, ხანდახან
კი სისხლიც მიედინებოდა...

იოლკას ისიც კარგად ესმოდა: მძიმე ბრძოლები მძვინ-
ვარებდა, გაცილებით უფრო მძიმე, ვიდრე ორი კვირის
წინ, როცა მას ცეცხლიდან დაჭრილები გამოჰყავდა. ახ-
ლა ის ვეღარც აუვიდოდა ამ საქმეს... ძალიან მომრავლ-
დნენ...

მაგრამ ახლა იოლკას სხვა საქმეც გაუჩნდა, ძალზე
მცირე და ძალზე უბრალო, მაგრამ თავისი საქმე. გადი-
ოდა გაღმა, ამჟამად უკვე გერმანელთა ნაპირზე. ნარას
გადავილიდა და მერე უკან ბრუნდებოდა. იქ, მეორე ნა-
პირზე, ათეულ კილომეტრებს გასდევს ნიკოლსკის
ტყე, სადაც მამა იმყოფებოდა თავის რაზმთან ერთად.
აქ კი იყო პოლიტხელი სავენკოვი, რასაც სავენკოვი-
ეტყოდა, გოგო ყველაფერს მამას გადასცემდა. მამის
ნათქვამი კი სავენკოვთან მოჰქონდა.

— ნარო-ფომინსკში თუ ყოფილხარ ოდესმე? —
ჰკითხა ერთხელ პოლიტხელმა.

— ორჯერ, ჯერ კიდევ ომამდე, — უთხრა იოლკამ.

— თუ საჭირო გახდება, წახვალ?
სერიოზული ნარო-ფომინსკამდე არა ერთი და ორი
ათეული კილომეტრია. ომამდე მან და დედამისმა ცხე-
ნით ექვსი საათი მოანდომეს გზას, ახლა ფეხით...

— იალიან შორს არის, — უთხრა ბოლოს სავენკოვს.
— წავიყვანენ...
— მაშინ წავალ...

მოთოვა. ისინი დიდხანს მიდიოდნენ ატალახებული
გზებით. დანჯღრეული „ემკით“, სანამ ბოლოს და ბო-
ლოს ტანკისტების განლაგებაში არ მოხვდნენ.

— აქ დამელოდე, — უთხრა პოლიტხელმა სავენკოვმა,
როცა მანქანა გაჩერდა.

ის დიდხანს ეძებდა ვილაცას, მერე ბატალიონის კო-
მისართან ერთად დაბრუნდა.

— წავიდეთ, წავიდეთ! — ბატალიონის კომისარმა რა-
ტომდაც მკერდზე მიიხუტა იოლკა, როცა ის მანქანიდან
გამოძვრა, და აღარც გაუშვია მთელი გზა, სანამ საკმა-
ოდ ხალვათ შტაბის მიწურში არ შევიდნენ. — აბა, ახ-
ლა ისადილე და დაიძინე! დაიძინე დაუყოვნებლივ!

იოლკამ უარის თქმა სცადა, მაგრამ არ გაუვიდა.

— უფროსებს გაუგონე, — მხიარულად უთხრა სა-
ვენკოვმა. — მე კი წავალ. მალე შევხვდებით.

იოლკა დიდხანს ხვრებდა კარდალიდან ამერიკული
მოშუშული ხორცის კონსერვით შემზადებულ სქელ სუპს.
სულ არ შიოდა, მაგრამ ბატალიონის კომისარი გვერ-
დით ეჯდა და უარის თქმა ვერ გაბედა.

როცა გაეღვიძა, გარეთ ბნელოდა. კარების კრიალმა
თუ ვილაცის ნაბიჯების სხამ გააღვიძა.

— გამოიძინე? აი, ყოჩაღ! — თქვა ბატალიონის
კომისარმა. — აბა, ახლა გავიცნოთ ერთმანეთი, — და
მან დაანახვა გვერდით მდგომი სამხედრო, რომელსაც
გაზინთული კომბინიზონი ეცვა და ტანკისტის ზუჩი

ეხურა: — ლეიტენანტი ხეთაგუროვი. აი, სწორედ
ამას მოგვაფიქრდა ერთი რამ...

იოლკა სიბნელეში გადავიდა ნარაზე ქალაქიდან მო-
შორებით. გათენებამდე, როგორც უბრძანეს, ელაგინის
თბილში იჯდა. მერე გააყვა დანჯრეულ, გადამწვარი
აგურით, მინის ნამსხვრევებით, აკვამლებული ფიცრებით
მოფენილ ქუჩებს. ქალაქში ახლა აღარ ბოლოვდა სა-
ფეიქრო ფაბრიკის მილები, აღარც ჭრელა-ჭრულა ბაზა-
რი იყო, მაღაზიის ვიტრინებიც არავის სტაცებდა თვალს
— ეს ყველაფერი წინათ იყო, ბავშვობაში...

გადარჩენილი სახლების კედლებსა და ბოძებზე
განცხადებები გაეკრათ. თეთრი ქალაღი, გერმანული
სიტყვები, მერე — რუსული.

„გერმანიის სარდლობა აუწყებს მცხოვრებლებს, რომ
ქალაქში შემოღებულია საკომუნდანტო საათი საღამოს
8 საათიდან დილის 8 საათამდე. ყველას, ვინც ამ საა-
თებში ქუჩაში გამოჩნდება, გაუფრთხილებლად...“

იოლკა არავის გაუჩერებია. მისნაირები აქა-იქ ჩან-
დნენ ქუჩაში. ბიჭებიც იყვნენ. ვის ვედრო მიჰქონდა,
ვის ნაფოტების შეკვრა.

გერმანელები უტატანებდნენ. ზანდახან ავტომატსაც
უღერებდნენ. ისინი ბევრნი იყვნენ. ყველანაირები.
უფრო მეტად გამხდრები, მაზარის საყელოები აეწიათ
და პილოტურები ყურებზე ჩამოეფხატათ. ვეება თექის
ჩექმები და ბათინკები ეცვათ. ხომ არ სციოდათ ნეტა?

იოლკას სწორედ გერმანელები აინტერესებდა. აი, აქ,
ამ ცენტრალურ ქუჩაზე... საბჭოების სახლოთანაც, სა-
დაც განსაკუთრებით ბევრი ოფიცერი იყრის თავს...
აი, ამ ორსართულიან სახლშიც, რომელზედაც შემორ-
ჩენილა აბრის ასოები „...ის მალ...“ და, ამას გარდა,
მანქანები აინტერესებდა, ჯავშნოსანი, ჯვრიანი მანქანე-
ბი... მოედანზე კი თივით შენიღბულ ქვემეხებს აკვირ-
დებოდა.

იოლკა მიდიოდა და იმასოვრებდა. იმასოვრებდა
და გზას ვანჯერობდა. ერთი ქუჩა, მეორე, მესამე, მე-
ოთხე, მეხუთე...

და ისევ ვერმანული:
— შეერ დახ ფორტ, რუსსიშეს ფერკელ!

ისევ ქუჩა. კიდევ. და ისევ ცენტრალური ქუჩა, სა-
დაც ვერმანული დივიზიის შტაბია. ახლა თითქოს დამ-
თავრდა...

მეორე დღეს კი, როცა იოლკა თავის სოფელში იყო,
პოხდა მოულოდნელი რამ. შუადღეს ტანკი „კვ“ ლეი-
ტენანტ ხეთაგუროვის შეთაურობით შეიჭრა ვერმანე-
ლების მიერ დაკავებულ ნარო-ფომინსკში. საათი და
ორმოცი წუთი დაგრიალებდა ის ქალაქის ქუჩებში,
ანადგურებდა ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ბუ-
დეებსა და მტრის ცოცხალ ძალას.

ლეიტენანტ ხეთაგუროვის „ცეცხლოვან რეიდზე“ გა-
ზეთებში დაწერეს, რადიოთი გადმოსცეს. „საბჭოთა ლე-
იტენანტის „ცეცხლოვანი რეიდისათვის“ გერმანელთა
258-ე ქვეითი დივიზიის შეთაურმა უმაღლესი ხელმძღ-
ვანელობის საყვედური დაიმსახურა...

გადაუღებლად თოვდა. მსხვილი, სველი ფანტელები
მოფრინავდა ციდან.

იოლკას უხაროდა ზამთრის მოსვლა. ამას განსაკუთ-
რებული მიზეზები ჰქონდა.

მდინარე ნარა. პატარა მდინარე ნარა. სულ პაწაწინა.
ის ახლა მის ცხოვრებად და მის ბედ-იბლად იქცა.
ბოლოს და ბოლოს, უნდა გაიყინოს ნარა. უნდა გაიყი-



1. მოწყვი აქედან, რუსის ლორო! (გერმ.)

ნოს! ფონით მისი გავლა გაცილებით ძნელია, ვიდრე გაყინულ მდინარეზე გადასვლა. ნარას წყალი ყინულივით ცივია. ავად რომ განდეს და დავარდეს, მაშინ ვინღა ივლის ნარაზე?

თოვლმა დაფარა მათი მიწური სერიოჟკიში. დაფარა ფანჯრებჩაღწეული, ნახევრად სახურავგადანდილი ქოხიც, ნადმს რომ წინკარი ჩამოეთალა მისთვის. თუმცა, სულერთია, ქოხში ახლა არავინ ცხოვრობდა. მიწური კი უნდა შემოეთოვლა. იოლკამ ორი დღე ამ საქმეს მოანდომა, რადგან თოვა არ შეწყვეტილა. განუწყვეტლოვ ბარდნიდა, ხეებიდან კი წყალი წვეთავდა, როგორც გაზაფხულზე იცის — ან მართლა თოვლი იყო სველი; ან ხეებს შემორჩენილად ზაფხულის სითბო და თოვლი ფეხს ვერ იკიდებდა მათს ტოტებზე.

ბოლო დღეებში თოვლთან ერთად სერიოჟკიში სულ უფრო ზშირად ცვიოდა ციდან გერმანელთა ფურცლები. მწვანე, თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი: „გმირო რუსო ჯარისკაცებო! დადგა ომის დასასრული! მოსკოვი დაეცა! ჩაგვბარდით, რათა შეინარჩუნოთ სიცოცხლე! ეს ფურცელი საშვილს მაგივრობას ვაგვიწვეთ...“ „რუსებო! იცოდეთ, არ დაგინდობთ! დაყარეთ იარაღი და დასთმეთ პოზიციები! გერმანიის არმია თქვენზე ძლიერია! სტალინმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, დატოვოს მოსკოვი. თქვენ რაღას იცავთ? დროზე ჩაბარდით გერმანელთა სარდლობას. ეს ფურცელი არაა...“

ღამით სერიოჟკის თვითმფრინავმა გადაუფრინა. მას ნარას მეორე ნაპირიდან ესროდნენ. თვითმფრინავი ცდილობდა ასცდენოდა ტყვიებს, დიდხანს იტრიალა, ბოლოს რაღაც დასტა ჩამოავდო და მდინარის ჩაყრღებით გაეცალა იქაურობას.

სოფელში ძალზე ცოტა მცხოვრები იყო დარჩენილი. მაგრამ, როცა იოლკა გუბურასთან მივიარდა, იქ ათიოდე სოფლელი შეგროვილიყო.

ვილაცა საბჭოთა გაზეთების დასტას ფურჩინდა.

იოლკა წინ გავიარდა.

— ნასტია დეიდა, მე...

— შენ, იოლოჩკა, უეჭველად გპირდება... ვის ვის და შენ კი უეჭველად გპირდება...

იოლკა შინისაკენ გამოიქცა.

— დედა, დედა, მისმინე!...

გერმანული ჰილზებისაგან გაკეთებული ჭრაქის სინათლეზე იოლკამ წაიკითხა:

— „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! გაზეთი „მოსკოვსკი ბოლშევიკი“, პირველი ნოემბერი, შაბათი, ათას ცხრას ორმოცდაერთი წელი“. ასე, „საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. ოცდათერთმეტი ოქტომბრის დილის ცნობა. ოცდათერთმეტი ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს აწარმოებდნენ მტერთან ვოლოკოლამსკის, მალოიაროსლავეცისა და ტულის მიმართულებებით... ახლა უსმინე: „ოცდაათი ოქტომბრის განმავლობაში განადგურებულია გერმანელთა ოცდაჩვიდმეტი თვითმფრინავი. ჩვენ დავკარგეთ თვრამეტი თვითმფრინავი...“ უყურე კიდევ: „ბრძოლები დასავლეთის ფრონტზე“. აი: „გასული დღე-ღამე აღინიშნა შეტაკებებით ჩვენი ფრონტის მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე. გუშინ და დღეს როკოსოვსკის არტილერიისტები უშენდნენ მტრის ფეხოსანთა შენაერთებს და დიდ ზიანს აყენებდნენ მათ. ეფრემოვის ჯარები, რომლებიც მალოიაროსლავეცის მიმართულებით მოქმედებდნენ, ვააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ მოსკოვისაკენ მიმავალ გზაზე არსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის ჩელში ჩასაგდებად. ფრონტის ამ უბანზე ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მეავტომობილთა წერილი გვუფებო, რომლებმაც ჯერ კიდევ წინა

დღით გააღწიეს მდინარე ნარას აღმოსავლეთ ნაპირზე...“ არ დაუთმიათ მოსკოვი, არა!

— მაშ, მოსკოვი ცოცხალია, — თქვა დედა.

— ჰო, რა თქმა უნდა, დედა! აბა როგორ! გაზეთიც გამოვიდა აგერ მოსკოვიში! — ამბობდა იოლკა.

რამდენი ხანია, სერიოჟკიში გაზეთი არ მოსულა! ოდესღაც, ომამდე მოდიოდა. იოლკა კი მათ არ კითხულობდა. ახლა კი... სასაცილოა, ალბათ? ალბათ...

და, ამას გარდა, მას ახლა ძალზე მოეშვა გულზე და თავს კარგად გრძობდა. რატომ? ოპ, ლეონიდს უყვარდა გაზეთების კითხვა. აი, ამიტომ... ლეონიდ, ლიონკა... საოცრებაა! სად არის ნეტა?

უკვე მერამდენედ კითხულობდა გოგონა ამ წერილს... მსხვილი, დაგრუნძილი, ძნელად გასარჩევი ხელით დაწერილს. დიდი ხნის წინანადელი, ომამდელი წერილი იყო:

„გამარჯობა, იოლკა! შენ მალე მამაშენთან ერთად ესტონეთში წახვალ, როგორც მეუბნებოდი. მაგრამ შენ იქ არასოდეს არ ყოფილხარ. და აი, მე გადავჩხრიკე წიგნები და გწერ ყველაფერს, რაც ვაგვივ ესტონეთზე და მის მთავარ ქალაქ ტალინზე. იქნებ გამოვადგეს, როცა იქ იქნები“.

ეს იყო ლიონკას წერილი. მისი ერთადერთი წერილი.

მესამე დღეს იოლკა ისევ გამოიძახეს. მოვიდა გამყოლი და უთხრა:

— შენს წასაყვანად მოვედი. ნუ გამიბრახებები, რომ ასე გვიანია.

იოლკა შუალამისას მიიყვანეს ადგილზე. გოგონამ



გადასწია ლაბადა-კარავი და მიწურში ჩავიდა. რამდენჯერ ყოფილა აქ მეორე ნაპირზე გადასვლის წინ? სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ? ხუთჯერ. უკან დაბრუნების შემდეგაც აქ მოდიოდა.

ჭრაქის სინათლეზე ხანში შესული სამხედრო წამოღდა.

— ის... სად არის?... — აღმოხდა იოლკას.

— ჰო-ო... პოლიტხელი სავენკოვი? — მიხვდა კაპიტანი. — გუშინ... მოკლეს... ასეა ჩვენი საქმე... ახლა

ჩემთან უნდა იქონიო კავშირი... რამდენი წლისა ხარ? — კითხა შინაურულად.

— თხუთმეტის.

— არ გეშინია?

— მე უკვე ნამყოფი ვარ.

— წყალი ცივია, ხომ?

— არა უშავს. ახლა გაიყინა.

მიწურში უმცროსმა ლეიტენანტმა ჩამოირბინა და შემოსასვლელშივე დაიძახა:

— ისევ გამოჩნდნენ მეავტომობილები!

— მაპატიე! დამელოდე! — უთხრა გოგოს კაპიტანმა. გარედან მართლაც ისმოდა ავტომობის სროლა, ნაღმების აფეთქების ხმა.

იოლკა კაპიტანს ელოდა. ფიქრით კი სავენკოვზე ფიქრობდა.

კაპიტანი მიწურში შემოვიდა. ძლივს სუნთქავდა:

— მორჩა! მივასიკვდილეთ! ყოველდღე მოძველებიან ოხრები! როგორა ხარ, ჩემო არ მოიწყინე?

იოლკა ჩუმად იყო. არ იცოდა, რა ეპასუხნა.

— მაშ, რა გქნათ? — ისევ ჩაეკითხა კაპიტანი, ცოტა სული რომ მოითქვა. — წახვალ კიდევ?

— თუ საჭიროა, წავალ.

— საჭიროა, შვილო, — უთხრა კაპიტანმა. — ახლავე უნდა წახვიდე და მამისგან გაიგო, როდის აპირებენ გერმანელები დაწყებას — ეს ერთი; რა დღეშია ხიდი — მეორე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გასაგებია?

— დიახ.

— როდის დაბრუნდები?

— ზვალ, შებინდებულზე.

— წადი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს.



გასასვლელთან მოსულს მიიძახა:

— ჰო, მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი. მე კაპიტანი ელიზაროვი ვარ. შენ რა გქვია?

— იოლკა დამიძახეთ.

ღამეა, იშვიათად რომ გამოერევა, ისეთი წყნარი და-

მე. ნარას ნაპირები ჩამკვდარა. არც სროლის ხმა ისმის, არც აფეთქებისა. გატრუნულა მოლუშული, დაბალი და

ჩაბნეილი ზეცა. არც თვითმფრინავი გუგუნებს, არც

პროექტორის სხივი ჩანს. მარტო ქარი შლივინებს ხეებში.

ზამთარი ზანტად, უსურველად მობრძანდება. თოვლს ხანდახან თუ წამოჰყრის. ყინვები ჯერ არ დამდგარა. ლამითაც კი საში-ოთხი გრადუსია. აბა, ეს რა ზამთარია?

ჩაუყრებულა სანახევროდ ზამთრის სამოსში გახვეული ჩვენი ნაპირი. საოცარია, რომ ნარას ახლა გერმანული ნაპირიც აქვს. ისიც გატრუნულა, რაღაც უღვეს გულში, ალბათ. საოცარია, მაგრამ ასეა: იქ, მდინარის გაღმა, გერმანელები არიან.

იოლკას თრგუნავს დღევანდელი სიჩუმე. მისი გამცილებელი, უმცროსი ლეიტენანტი, დღეს. ახლა ის ახლავს გოგოს და არა გოგო — მას. ცოცხალია ახლა მისი უმადლესი სარდლობა, რადგანაც არსებობს კაპიტანის უმადლება: „მიიყვანეთ გადასასვლელამდე, მთელი და უგნებელი!“

ლეიტენანტს ესმის, რომ მას ახლა არ შეუძლია არც რჩევა, არც კარნახი. გოგომ უკეთ იცის, როდის როგორ მოიქცეს.

და მაინც ვერ ითმენს და ჩურჩულებს:

— როგორი ფისის და არყის ქერქის სუნია. გემრიელი სუნია!

— ჰო-ჰო, — განურჩევლად ეთანხმება იოლკა და უცხო ნაპირს ჩასცქერის. ისინი ზედ თხრილის პირას სხედან, ნაძვისა და არყის ხეებს უკან იმალებიან. ნაძვი და არყი ერთმანეთის გვერდით ჩაბრუნენ, შესანიშნავად ჩანან მოპირდაპირე ნაპირზე. რა სიწყნარია აქ დღეს! რატომ არის ასეთი სიწყნარე?

— დრო უქმად მიდის, — ჩაიჩურჩულა იოლკამ. — საწყენია!

ლეიტენანტმა დაუდასტურა, თუმცა ვერაფერს მიხვდა. ის პირველად ასრულებდა ასეთ დავალებას.

და სწორედ იმ წუთს გერმანელთა ნაპირზე აგრიალდა რადიო: ისინი „კატიუშას“ გადმოსცემდნენ.

— როგორც იქნა! — გაუხარდა იოლკას.

— ეს რა, გერმანელები უკრავენ? — გაოცდა ლეიტენანტი.

— მოტყუება უნდათ, — აუხსნა იოლკამ. — რადიოდანადგარი აქვთ. ჯერ ჩვენს სიმღერებს ამღერებენ, მერე ყვირიან: „რუსო, ჩამბარდი!“ და ისვრიან...

ჯერ ერთი დღე-ღამეც არ შესრულებულიყო ლეიტენანტის ფრონტზე ჩამოსვლიდან.

გრიალეზად მდინარის გაღმა რადიო.

— ახლა კი დროა, — თქვა იოლკამ. — წავედი.

და ჩაატრიალა ძირს, სიბნელეში.

... როცა, სამ საათზე მეტი ხნის მერე იოლკამ დანიშნულ ადგილს მიაღწია, მიხვდა: სიბნელეს ვეღარ დაელოდებოდა.

— გერმანელები ნარას გადმოლახვას ზუსტად შუადღისას დაიწყებენ, — უთხრა მამამ. — ცნობები ზუსტია. ხიდი დანაშაული გვაქვს. როგორც კი ზედ ფეხს შედგამენ, მაშინვე პაერში ავარდებენ...

— მაშინ ახლავე გავბრუნდები.

— მიაღწევ?

— მივალწვევ, მამა...

და ის გამობრუნდა უკან, თუმცა უკვე ინათა. სწრაფად მოდიოდა. გერმანელები არ ეშინოდა, ბევრჯერ შეხვედრია მათ. ახლაც: იტრიალებს, ასლუჯუნდება და გაუშვებენ. აბა, რას გამოელოვან მისგან, პატარა გოგოსგან? დედა სერიოჟკიში ჰყავს, ძმები და პატარა დაია ელიან, მამა ავად არის. ჰოდა, ცოტა საკმელო მოაქვს ბებიასგან, ვისიოლოკიდან.

სამი სოფელი მშვიდობიანად გაიარა.

გზები ტექნიკით იყო გაჭედული; ნაღმსატყორცნები და ჯავშნოსანი მანქანები ნარასკენ მიიწვედნენ.

ოფიცრები მკვეთრ ბრძანებებს იძლეოდნენ. თავის ძალასა და უპირატესობაში დარწმუნებულნი, ისინი, ეტყობა, მართლა გადაწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

ნარამდე ასი მეტრი რჩებოდა. ზიდი უკვე ჩანდა.

— პალტ! ვერ და? ვოპინ რენსტ ლუ? ნო, ნო, ცუროჟი!

იოლკა დააკავეს... და, ეტყობა, მაგრადაც.

ის ტიროდა, სლუჟუნებდა, იმეორებდა დაზებირებულს ისე, რომ მგონი თვითონაც სჯეროდა თავისი ნათქვამისა:

— მე ხომ მეჩქარება, ძიებო! თი, როგორ მეჩქარება! ხილზე უცებ გადავირბენ და ჩვენი სოფელიც იქვეა, სერიოჟი...

ახლა მას მართლაც ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა — ყველას თვალწინ ხილზე გადაევიდა. თავისიანები არ ესვრიან. მიხვდებიან. ოღონდ დაიყოლიოს...

მართლაც დაიყოლია.

— წახვალ, გოგონა, წახვალ, — უთხრა ერთმა გერმანელმა დამტყრეული რუსულით. — ჩვენ გაგაცილებთ! თვითონ გაგაცილებთ! ახლა კი დაისვენე! სულ ცოტა...

დანარჩენები საზარებდნენ.

ის რომელიღაც სარდაფში შეაგდეს.

დრო ძალზე ნელა ვადიოდა. გავიდა, ერთი საათი. მერე კიდევ...

მერე სარდაფიდან ამოიყვანეს და უთხრეს:

— ახლა წადი, გოგო, ხილზე, ხილზე გადადი! ჩვენ გაგაცილებთ! — და ისევ — ხარხარი.

ახლა კი მიხვდა, რაც ხდებოდა.

და წავიდა. წავიდა ხილისკენ. მარტოდმარტო. მაგრამ ახლა ალბათ თან გამოჰყვება, ალბათ დაიძრება ჯავშანმანქანების და მოტოციკლისტების აღრიალებული კოლონა.

ნაბიჯი. ორი. ზუთი. მიდიოდა აცახცახებული ფეხებით. კიდევ ზუთი ნაბიჯი. გულში დაიწყო დათვლა: ათი, თვრამეტი, ოცდასამი... აი, ხიდიც.

ჩვენი ნაპირი სდუმდა. ნეტა თუ ხედავენ ჩვენები? რა თქმა უნდა, ხედავენ! მაშ რატომ სდუმან?

მან მოიხედა. გერმანელთა კოლონა იქითა ნაპირზე დარჩა. საოცარია. მაშ უნდა განაგრძოს... კიდევ... კიდევ... ნაბიჯი... ერთი ნაბიჯიც... ვგონებ ეს ოცდამეერთემეტეა... ოცდათორმეტი... ოცდაცამეტი... ოცდა...

გაიქცა. თან რალაცას ყვიროდა.

ჰაერი საშინელმა გრიალმა შესძრა. იოლკამ ეს არა მარტო მოისმინა, არამედ ზურგით იგრძნო. ის დაეცა. მერე ისევ წამოხტა და გაიქცა. ეს უკვე ჩვენი ნაპირი იყო. ზურგი უხურდა. ნუთუ დაიჭრა? ახლა ის კაპიტან ელიზაროვზე ფიქრობდა. მას უნდა უთხრას, რაც მამამ დააბარა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია!

ხიდი ჯერ ისევ განაგრძობდა ნგრევას, სრესდა და ანადგურებდა გერმანელთა კოლონას. ამ დროს ჩვენი ნაპირიც „ალაპარაკდა“. ცეცხლის ქარაშოტმა დასცხო მდინარის მოწინააღმდეგე ნაპირზე ჩამწკრივებულ გერმანელებს, ტანკებს, რომლებიც ფონზე გადმოსვლას ლამობდნენ, არტილერიისტებს და ნალმსატყორცნელთა პოზიციებს...

იოლკა ხედავდა ამას. თავისიანებში რომ აღმოჩნდა, მან ნარას გახედა, ყოფილ ხილსაც, იმ უცხო ნაპირსაც.

კიდევ ათიოდე ნაბიჯით ზემოთ ნაძვი და არყის ხე დგანან, ნაძვი და არყის ხე, რომლებიც ერთად იზრდებ-

იან. მერე კი გზა ნაცნობი ნაძვენარით ნაცნობი მიწურისკენ მიდის. საერთოდ, ეს კაპიტანი ელიზაროვი კარგი კაცი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, პოლიტბელი სავენკოვი დასანანია. ის ბევრად სჯობდა...

ამის შემდეგ იოლკას აღარც სირბილი შეეძლო და აღარც ფიქრი. კიდევ ერთხელ დაიჭუნა გერმანელთა ქვემეხმა. იქვე, ქვიშიანი ნაპირის გვერდით, სადაც ნაძვი და არყის ხე იზრდებოდა... იოლკას გვერდით აფეთქდა ყუმბარა...

ლიონკა რომ ორმოცდაერთში ამ ადგილებში ყოფილიყო, გაიგებდა, რომ გერმანელებმა ვერ შესძლეს ნარაზე გადმოსვლა. ფაშისტები, რომელთაც თავიანთი საზარელი ლაშქრით გადმოლახეს ათასი დიდი და პატარა მდინარე, შეჩერდნენ ამ პატარა, მოსკოვის მახლობლად ჩამდინარე ნარას წინაშე და იმის იქით აღარც წაუწევიათ. პირიქით, ისინი უკან გააბრუნეს...

ლიონკა რომ ომის შემდეგ სერიოჟიში ჩამოსულიყო, ნახავდა გამეჩხერებულ ნარას და მასზე გადებულ რკინა-ბეტონის ხიდს.

ამ ხიდს აქ იოლკას ხიდს უწოდებენ.

სკოლაც — ახალი სკოლა, მემამულის ნამოსახლარზე რომ ააგეს — იოლკას სახელს ატარებს.

ამას ვარდა, სერიოჟიში არის იოლკას სახლი. ის ისევეა შემონახული, როგორც მის დროს იყო, ოღონდ ცოტა შეაკეთეს, შიფერის სახურავი დაჭურეს. და თუმცა დიდი ხანია, სახლის ძველი პატრონები ცოცხლები აღარ არიან, სახლს მაინც იოლკას სახლი ჰქვია...

მაგრამ ლიონკას არ შეეძლო ომის შემდეგ სერიოჟიში ჩამოსვლა. შორეულ უნგრეთში არის ბალატონის ტბა. ის გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ნარას გუბურა, ოდესღაც ის და იოლკა რომ აპირებდნენ წასვლას, იქ, ბალატონის ტბის შორიანლოს, სამომ საფლაფში ასვენია ტანკისტი ლეონიდ ივანეს ძე პუშკარიოვი...

მე კი კი ხშირად ჩავდივარ სერიოჟიში.

არ არსებობს რუსეთში ჩემთვის უფრო ახლობელი და უფრო ძვირფასი ადგილები, ვიდრე მოსკოვის მისადგომები.

ეს ადგილები შეუდარებელია სილამაზით და გულითალობით. სწორედ ეს არის რუსეთი.

როცა სერიოჟიში ჩავდივარ, უეჭველად უნდა გავიარო იოლკას ხილზე. იოლკას სკოლაში შევიხედავ ხოლმე და, რა თქმა უნდა, იქაურ სასაფლაოზეც შევივლი, სადაც ვნახულობ ნაცნობ საფლაფებს: რიჩარდ ტენისის ძე იოლკას მამაა, ელენა სერგეევანა — იოლკას დედა, ალექსანდრა ფეოდოროვნა — ლიონკას ბებია...

აქ არ არის მხოლოდ ერთი საფლაფი — იოლკას საფლაფი. და არა მარტო აქ. ის არსად არ არის. იოლკა არავის დაუმარხავს...

იოლკა, იოლოჩკა და კიდევ ანკა, ანია, ენდა... სასაცილოა, ალბათ? ალბათ...

მან მაინც ვერ მოასწრო თავის ტალღში წასვლა. ვერც კომკავშირში შესვლა მოასწრო. ის ვერ გახდა დედა, როგორც დედამისი იყო. ვერც ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა, როგორც ლიონკამ. ვერ მოასწრო...

მას იოლკა ერქვა.

და დღემდე იოლკას ეძახიან.

1. სდექ! ვინა ხარ? სად ეშმაკებში მილიხარ? აბა უკან მოუსვი ჩქარა! (გერმ.).



ბიძები საკაძე და ნაზარული ბობო

1625 წლის გაზაფხულზე გიორგი სააკაძემ არაგვის ხეობაში საფურცლისა და მუხრანის ველზე დაბანაკებული სპარსელთა ჯარის წინააღმდეგ მოაწყო აჯანყება, რომელიც საქართველოს ისტორიაში „ქართლის აჯანყების“ სახელით არის ცნობილი.

ქართველთა ლაშქარმა გიორგი სააკაძისა და ზურაბ არაგვის ერისთავის მეთაურობით სასტიკად გაანადგურა სპარსთა მრისხანე მბრძანებლის, შაჰ-აბასის ოცდაათათასიანი მხედრობა, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა კახელების სრული ამოწყვეტა და ქართველთა სპარსეთში გადასახლება, მათ მაგიერ თურქმანთა და სპარსთა ჩამოსახლება და სახანოების შექმნა.

ქართლელთა ლაშქარს კახელების მხედრობაც შეუერთდა და ქართველებმა გაერთიანებული ძალებით მტერი დაამარცხეს.

კახეთის ტერიტორიაზე მტრის დამარცხებისა და განდევნის დროს მოხდა მეტად შესანიშნავი ამბავი, რომელიც თავს გადახდა ქართველთა ჯარის მთავარსარდალს, დიდ მოურავს გიორგი სააკაძეს. ეს თქმულება XVII საუკუნიდან თაობიდან თაობაზე გადადის და დღევანდლამდე მოაღწია. სამოციან წლებში იგი

კახეთში ჩაიწერა უურნალობის დიმიტრი გონაშვილმა.

აი, ისიც:
ერთ წელიწადს საქართველოს მტრის დიდი ჯარი შემოესია, ხალხი მთებსა და ტყეებში გაიხიზნა; მტერმა მთელი კახეთი დაიპყრო, სადაც კი ფეხი შედგა, ყველგან ცეცხლის კვერი მოატარა: სახლები გადასწვა, დაანგრია, საყდრები და ციხეები საძირკვლიანად მოთხარა, ბაღ-ვენახები გაჩენა, ტყეები ცეცხლით გადაბუგა. ნათესი მინდვრები ცხენებით გადათქერა, ტყვე ხალხი და საქონელი კი ერთად შეყარა და შორს, თავის ქვეყანაში გარეკა; მტერი მხოლოდ შემოდგომის მიწურულამდე დარჩა, ზამთარს განერიდა და ძვირფასი ნაძარცვ-ნადავლით უკან გაბრუნდა.

გახიზნულები მიტოვებულ სახლკარს დაუბრუნდნენ. მართალია, სოფელი ნახანძრალ-ნაომარი დახვდათ, მაგრამ მაინც არ გასწირეს მამა-პაპათა კერა და სოფლის ხელახლა აშენებას შეუდგნენ. პირობა შეკრეს: რაკი ყველას გასაჭირიც და განსაცდელიც ერთი გვაქვს, მოდი, ამ საერთო საქმეშიც ერთად ვიყუვნეთო: ვისაც ღონე შეგვწევს, ხელი გამოვიღოთ, ერთმანეთს მხარი მივცეთ და დანგრეული სოფელი ერთობლივი ძალით ავაშენოთ, უსახლკაროდ ნურავის დავტოვებთ, ნურც ქვრივ-ობლებს და ნურც მარტოხელა მოხუცებსო. სიტყვა საქმედ აქციეს: ძველ ნაფუძარზე ახალი კედლები აღიმართა, ქერს კრამიტი გადაეხურა, ჩამქრალ კერაზე ცეცხლი აინთო, განახლებულ სოფელს სახელი შეუცვალეს და ავი ბედის შესაფერად ნაზარლები შეარქვეს, როგორც მტრის ხელით ნაზარალები, დაზარალებული.

...მაგრამ არ იქნა და ხანგრძლივად მაინც არ გამოიდარა ნაზარლების ცამ. დრომ კვლავ იავა და გაზაფხულის ერთ დღეს კახეთს შავი დილა გაუთენდა: ქვეყანას მაოხრებელთა დიდი ლაშქარი შემოესია; ჯარს ნაბრძანები ჰქონდა წინ ცეცხლი და მახვილი წაიმძღვარეთ, უკან კი ზვავი და წყალ-მეწყერი მიიყოლეთო, ყველაფერი ისე მოაოხრეთ, რომ ქვა ქვაზე აღარ დარჩეს, გურჯაანი უგურჯოდ ჩამაბარეთო. გულბოროტი ჯარიც მეფის ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდა და სადამდეც კი ხელი მიუწვდებოდა, ყველაფერს ნაცარტუტად აქცევდა.

მაგრამ კახეთი ქედს არ იხრიდა. იარაღს არ ყრიდა. ტყეს შეფარებული ქართველთა რაზმები ღამის უკუნეთში ნიადაგ თავს ესხმოდნენ მო-

ძალადეთა ბანაკებს და სიცოცხლის უმწარებდნენ.

აი, სწორედ იმ სახედისწერო ზღაპრით გიორგი სააკაძემ, ქვეყნის ერთკულმა ვაჟკაცმა, ჯარი შეჰყარა, ჯერ თბილისს დაეცა, გაათავისუფლა, მერე კახეთში გადმოვიდა, გაქცეულ მტერს კვალზე გაევიდა და მტკვარს იქით გადაარეკა. უკან რომ შემობრუნდა, შირაქის ველს გამოჰყვავდა, ახლა სერის ზურგზე მდგარ ხეს სააკაძის აკაკს რომ ეძახიან, თავისი ჯარით იმ გორაზე დაისვენა.

გმირს წყალი მოსწყურდა. სარდლებმა უთხრეს:

— ეს მინდორი ხმელი ადგილია, დასალევ წყალს ნაზარლებამდე ვერსად შეგვხვდებით, წავიდეთ და თუ სოფელი მტერს გადაურჩა, იქ წყალსაც ვიშოვნით და ღვინოსაცო.

ნაზარალებებს აღრევე შეეტყოთ გიორგი სააკაძის გამარჯვების ამბავი, მაგრამ მაინც სიფრთხილედ დაეჭირათ: უკუქცეული მტერი ჯავრს ჩვენზე იყრისო და ხალხი მიუვალ ადგილებში გახიზნულიყო.

საკაძე წინ მიუძღოდა თავის ლაშქარს, ბრძოლის ორომტრიალში მუზარადი დაჰკარგოდა და მტერზე გამარჯვებოს ნიშნად ყიზილბაშთა ბეღალის ჩაღმა დაეხურა. ნაზარლები აუოხრებლად დახვდა, მაგრამ მცხოვრებლებიდან აღარავინ ჩანდა, სოფელში მხოლოდ უპატრონოდ დარჩენილი ძაღლები და ყმუოდნენ მგლური, შემზარავი ხმით. წყარომდე მცირე მანძილია იყო დარჩენილი, როცა ხეებით დარდილულ ორობეში თერთმეტ-თორმეტი წლის გოგონას მოჰკრეს თვალი, რომელმაც, დანახა თუ არა წინ მომავალი სააკაძე, უმალ ხელი წამოავლო სურას და ჯერ გაქცევა დააპირა, მაგრამ ისევ შედგა, ალბათ აფიქრა, ცხენიანებს სად გავექცევით, და ადგილზე გაქვავდა. სააკაძე მიუახლოვდა თუ არა, პირქულად უთხრა:

— გოგო, სურა მომეცი!
პატარამ მხოლოდ ქვეშ-ქვეშ შეავლო თვალი.

— მომეცი, გოგო! — ბრძანების კილოთი კვლავ გაუმეორა მოთმინებადაკარგულმა გოლიათმა.

გოგონა არც კი განძრეულა. იქნებ შიშმა დააბნია? ომგადანდილი გიორგი შესახედავად მართლაც შემზარავი იყო: სახეზე ისევ აღმური ასლიოდა, არწივის თვალები ნაკვერჩხალივით უღვიოდა, ომანთან ხმაში რისხვა ბობოქრობდა.

— მთართვი, გოგო! — დაიყვირა ვილაცამ და ცხენიდან გადახრილმა ხელი მკლავში სტაცა, უნდოდა ძალით გამოეგლიჯა ჭურჭელი. გოგო-

ნამ უსანდომოდ ასწია სურა და ხელი გაუშვა.

— რად გატეხე, გოგო?! — წყრომით დაუყვირა ერთმა მხედარმა.

— უუურეთ ამ ქინქლას, იარაღიანი ხალხისაც რომ არ ეშინია! — გაიკვირვა მეორემ.

— ნუ უბრაზდებით! — დაამშვიდა სააკაძემ და წუთით ჩაფიქრდა თითქოს ცამ გამოიდარაო, სახიდან შავი ღრუბელი გადაეყარა, თვალეში ცეცხლი ჩაუნელდა, შუბლი გაეხსნა და ხმაშერბილებით ჰკითხა:

— ვინა ხარ, გოგონი?

— გურჯი ვარ, — მწყურალად უპასუხა ისე, მალლა არ აუხედავს. ამით ცხადლივ აგრძობინა, მე და ეს მიწა ერთნი ვართო.

— შენ როგორი გურჯი ხარ, რომ წყალიც არ გაიმეტე?

გოგონა მაშინ კი წელში გაიმართა და გამწყურალმა ამაყად უპასუხა:

— გურჯი ვარ, დიახ, გურჯი!

საკაძემ მაშინ კი ნათლად მიუხვდა, რატომ გატეხა სურა. ცხენიდან ჩამოხტა და გოგონას თავზე ხელი გადაუსვა.

— უოჩად, ჩემო პატარავ, უოჩად! როგორი სტუმარიც დამინახე, ისეთივე მახსინძლობა გამიწიე. ამ ჩალმის გამო უიზილბაში გეგონე და და წყალიც იმიტომ არ დამალევიანე. მართალი ხარ, გურჯის ქალო: მტური უნდა გძულდეს. ამ ქუდის ტარებას თავშიშველობა სჯობია. — ქარქაშიდან ხმალი ამოზიდა, ჩალმა მალლა შეაგდო და ერთი მოქნევით შაერში ორად გაკვეთა. მერე ისევ გოგონას მიუბრუნდა და ალერსით უთხრა:

— მეც ქართველი ვარ, ჩემო შვილო, ქართველი.

გოგონამ უმალ ბავშვური გულუბრყვილობით დაიჭერა. სახე გაუნათდა, გაბრწყინებული თვალეში გოლიათს შეანათა და ხალისიანად აქიქკიკდა:

— გურჯი ხარ?! ეს ჯარისკაცებიც გურჯები არიან?!

— სააკაძეა, გოგო, სააკაძე! — ერთხმად მიამახა რამდენიმე აბჯროსანმა.

— სააკაძე!.. ვიორგი სააკაძე? — უცნაური გაკვირვებით და მღელვარებით გაიმეორა პატარამ. — წყალს ახლავე მოგართმევთ! — შეფრთხილდა და ის იყო გაფრენა დააპირა, რომ სააკაძემ ხელი დაუჭირა.

— არა, ჩემო შვილო, ადარა მწყურია. ერთი ეს მითხარი, ნახევარი სოფელი ისე გამოვიარეთ, რომ ძეხორციელი არ გვინახავს. შენ რატომღა დარჩენილხარ აქ?

გოგონამ თავი დახარა. უცებ შეიცვალა, სახე მოედრუბლა, თვალეში ცრემლი ჩაუგუბდა.

— სახლში დედა მკვავს ავადმყოფი. მამა და ხუთივე ძმა ომში დაიღუპნენ. ჩემი პატარა ძამიკო კი, აი, ამ წყაროსთან მოკლეს. — გოგონა ნაწვეტ-ნაწვეტ ჰკვებოდა ამბავს, ეტუობოდა, თავს ძალას ატანდა, პაწია გული ყელში მობჯნოდა. — იმანაც მტრის ერთ ბელადს წყალი არ დაალევიანა და მკერდში შუბი ჰჭრეს. მეც თქვენ სხვა მეგონეთ და იმიტომ არ მოგაწოდეთ სურა; დედა დარდმა დაძლია და ლოგინად ჩავარდა; ქმრისა და შვილების დარდს ქვეყნის უბედურებაც დაერთო,

დედას მარტო მეღა შევრჩი... პატარას კიდევ რალაცი... დოდა, მაგრამ გული მწარედ აქვითინდა.

საკაძემ გაქვავებულცივით, მღუმარედ დაჰყურებდა პატარა ჰირისუფალს, მერე კი მიუაღერსა:

— ნუ ტირი, ჩემო შვილო, ნუ! ბარაქალა შენს ქალობას, რომ მშობელი დედა ასე გუვარებია, ავადმყოფი უპატრონოდ არ დაგიგდია. მისი მწუხარება უველა ქართველი დედის გულისტკივილია. ძველთაგანვე ასეთი იყო მათი ბედი: სამშობლოს განსაცდელის უამს საკუთარ ჰირს ივიწყებდნენ და საქვეყნო საქმეს ჰირისუფლობდნენ. ახლა შინ რომ მიხვალ, უთხარი, საქართველო





ბაპავეთილი მ. ა.
ქვედა კაბა

ქვედა კაბისთვის საჭიროა 4-850 გრამი ძაფი, 18 x 2 ს ზომის ჩხარტა.

ქვედა კაბა შეიქმნება მოიქცევის ორჯვარი წესით: შეიძლება წინა და უკანა ნაბეჭარი ექსოვით ცალ-ცალკე და წინა გვერდებში ჩაუკეროთ; შეიძლება მოვქსოვით ერთიანად — წრიულად. ქსოვა შეიძლება დავიწყოთ წელიდანაც ან კალთიდანაც. პირველ შემთხვევაში ავიღებთ წელის ზომას — ვთქვათ, იგი უდრის 65 სმ, რაკი თითო ხანტიმეტრში თვალი თავსდება, 65 X 3 = 195 უჯრ. თუ ქსოვას წელიდან დაიწყოთ, მოვქსოვთ 2-3 სმ-ის სიგრძის რეზინს (უმჯობესია ორმაგი, გ.კ. მე-4). რეზინის ექსოვის შემდეგ შევაერთოთ უჯრები და ექსოვით წრიულად.

ქსოვის სახეობა: 10 თვალი ჩნდისებური ნაქსოვი, 1 თვალი უკულმა, ყოველი 3-4 ხანტიმეტრის შემდეგ — უკულმა თვალი, ნამატი — წაღმით ნაქსოვის მარჯვნივ და მარცხნივ, ან, რომ თვლების საერთო რაოდენობა გაორმაგდეს — 180 + 180 = 360. ამგვარად ექსოვით ხასურველი სიგრძის ხელბამდე. კაბა შემოვქობით

ჩ რიგი შალისებური ნაქსოვით (იხ. გ.კ. მე-3).

თუ ქვედა კაბის ქსოვას კალთიდან დაიწყოთ, წელის ზომა 6-ზე გაამრავლოთ და იმდენი თვალი აკრიფეთ; დავუშვათ, წელის ზომა არის 70, გაამრავლოთ ეს ციფრი 6-ზე (70 X 6 = 420). თუ გინდათ ცალ-ცალკე მოქსოვით წინა და უკანა ნაბეჭარი, ჩხარტე აკრიფეთ 210 თვალი, 1 სმ-ის სიგრძეზე ქსოვეთ წინდაბეჭურად; შემდეგი რიგი კი, კლენა-ნამატით (ორი თვალი ერთ

თად გამოვქსოვით); მატებით ჩადით რიგის ბოლომდე, ისევ წინდისებურად განაგრძეთ ქსოვა 2-სმ-ის სიგრძეზე, რის შემდეგაც უკვე შეგიძლიათ ხასურველი ქსოვის სახეობის შერჩევა.

დღეისათვის გთავაზობთ ქსოვის ყველაზე მარტივ სახეს: 10 თვალი მოქსოვით წაღმით, 10 კი უკულმით; 1-ს სმ-ის მოქსოვის შემდეგ, უკულმა თვლები უყელით ისევ, რომ წელთან ჩხარტე წაღმა ამ თვალს შორის ერთი ან ორი უკულ-

მა თვალი დაგრიეთ. შემდეგ მოქსოვეთ 2-3 სმ-ის სიგრძის რეზინი (უმჯობესია ორმაგი) და დაამოყრეთ. ქვედა ნაწილში, აქ, სადაც კლენა ნამატით შეიცვალა, გადანაკეოთ გააკეთეთ და უკულმა მხრიდან ამოუხვიეთ. ამგვარი ქსოვის შემთხვევაში მიიღებთ დაკბილულ დაბოლოებას, გვერდები გაკერეთ და ქვედა კაბაც მზად იქნება ქვედა კაბა წელზე კარგად რომ მოირგოთ, ზონარი ან რეზინი გაუყარეთ.

ლილი ზურაბაშვილი



განთავისუფლდა-თქო. ვიცი, გულით გაუხარდება და იქნება ის სიხარული წამლად გადაექცეს. — მერე ამოიღო ჩიბიდან ძვირფასად ნაქარგი ქისა და მუჭაში ჩაუღო: — ეს ოქრო-ვერცხლი ჩვენი ქვეყნიდან გატაცებული ნადავლია, წაიღე, ოჯახში მოიხმარეთ. დღეიდან ნულარაფრის გეშინიათ — მტერი შორს გავრეკეთ.

მერე გიორგიმ უბიდან საგულდაგულოდ დაკვიცილი ქსოვილი ამოიღო და ფრთხილად გაშალა. ქალის ჩიქილას ჰგავდა: თეთრ მიწაზე ატმის ყვავილები ეხატა, ცალი მხარე წითლად ჰქონდა შეღებილი, ეტუბოდა, სისხლი უნდა ყოფილიყო.

— ეს მანდილი კი, როცა დაქალდები, მაშინ მოიხვიე და შენც ღირსეულად ატარე. ამ თავსახვევით

ჩემს რაზმში 16-17 წლის მოხვევ ქალი იბრძოდა, შუბითა და სატყვრით სამშობლოს იცავდა, თავი არ შეურცხვენია, ბევრ დუშმანს დაუბნელა მზე, ბოლოს თვითონაც დაეცა ვადაში სატყვარგადატეხილი, შუბით მკერდგანგმირული.

— მოკვდა?! — ნამტირალევი ხმასა და ცრემლით სავსე თვალებში ცხადლივ შეეტყო გოგონას სინანული.

— არა, ჩემო შვილო! ის ისევ არ მომკვდარა, როგორც ჩვეულებრივად კვდებიან ადამიანები, ის მტერს შეაკვდა მამაცური, ვაჟკაცური სიკვდილით. შენ კი ყოჩაღ, ჩემო პატარავ, რომ აქედანვე კარგად არჩევ მტერსაც და მოუვარესაც. შენგან ღირსეული ქალი გაიზრდება.

სააკაძე კვლავ მოეფერა, შუბლზე

აკოცა, მოახტა თავის შავ ულავს და რაზმს წინ გაუძღვა.

სახენაღვლიანი გოგონა დიდხანს იდგა გაუნძრევლად, ჩითრს სისხლიანი მანდილი გულში ჩაეკრა და თან თვალს არ აშორებდა აბჯარში გამოწყობილ მხედრიონს, ვიდრე ორღობის მოსახვევში ყველანი თვალს არ მიეფარნენ.

ალარ ჩანდნენ სამშობლოს მხსენი, ლომგული ვაჟკაცები, მხოლოდ ველის ნიავს მოჰქონდა შორიდან ომანიანი სიმღერის ხმა: „მუშლი მუხანაო“, — გამარჯვების დიად საგალობელს, მაგრამ მაინც სევდიანსა და ხშირ ფიქრთა ამშლეულ სიმღერას აგუგუნებდა ლაშქარი.

ვახტანგ სიღამონიძე
მხატვარი
ირინა ბარანოვა


საკითხავნი



გორგაღე და ნამსხვრევებზე გადაატარე — იგი პირწმინდად „აკრეფს“ ნაფხვენებს.




სამწარეულოს დანები შეგიძლია ასეთ თვითნაკეთ თაროზე შეინახო.



სარცხის თოკს კაუჭი გამოაბი. კედელში ხათანადო ანჯამა ჩაამაგრე. როცა დაგჭირდება, სარცხის თოკს უშალ გააბამ და მერე, ხელი რომ არ შეგიშალოს, ჩამოხსნასაც იოლად მოახერხებ.



როცა საბაზრო ჩანთა ფორმას დაკარგავს, შეგიძლია კუთხეებში უდრეკი მავთული ჩაამაგრო და ჩანთა კიდევ დიდხანს გემსახურება.



როცა ფოტოლაბორატორიაში ხარ ჩაკეტილი და შუქი გამორთული გაქვს, ვინმემ რომ გარედან შემთხვევით შუქი არ აგინოს, ელექტროგამომრთველზე წინასწარ პლასტილინი ააწებე — იგი ჩასართავად მიახლოებულ ხელს შეაჩერებს.



მინის წვრილი ნამსხვრევების აკრეფა მავთულიან თუ იატაკიდან ძნელია. პლასტილინი დაა-

სავარცხელი, ქოლგა, ცხვირსახოცო, ხელთათმანი, ჭაგრისი, სარკები და სხვა წვრილმანი რომ საძებარი არ გავიხდეს, რაიმე სქელი და ლამაზი ქსოვილი გამოჭერი, ზედ სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჩიბებები დააკრე. მერე ეს ქსოვილი კარადის კარს შიგნიდან კობტად მიაკარი და ყველა ზემოთ დასახელებულ საგანს თავთავისი ჩიბე მიუჩინე.



აფხაზავა ნ. — დგას ნათლის სვეტად (ლექსი) . . . 2
 კანკია ვ. — უკვდავი ჭაბუკი . . . გარეკ. 2
 ბუთხუნი გ. — გზის დასაწყისი (მოთხრობა, გაგრძელება) . . . 3
 ცხადდება „პიონერული ვიქტორინა“ . . . 9
 პიონერული ხუთწლედო მოქმედებს სვანიძე ბ. — ლექსები . . . 12
 პეტრიაშვილი გ. — მღებავი და გაუცინარი კაცი (ზღაპარი) . . . 13
 გორგაძე ე. — უკანასკნელი ხელმოწერა (მოგონება) . . . 16
 აი სი . . . 18
 კიზირია ბ. — ტანვარჯიში სილამაზეა (ნარკვევი) . . . 20
 ბარუზდინი ს. — იმას იოლკა ჰქვია (მოთხრობა, დასასრული) . . . 22
 სილამონძე ვ. — გიორგი სააკაძე და ნაზარულეო გოგო (ისტორიული ამბავი) . . . 29
 ზურაბაშვილი ლ. — ქსოვა (წერილი) . . . 31
 გამოგადგები . . . 32
 ცხრაკლიტული . . . გარეკ. 3

გარეკანზე „ოქროს შემოდგომა“, მხატვარი ელუარდ ამბოკაძე.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გომეძაძე, ავთანდილ გურბენიძე, დოდო ვალაჰკორია, ბიროზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ბიორბი ძლიძაძე, რომარტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრინი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შაფიშვილი, ზურაბ შვერიძე, ზურაბ შვერიძე, ზურაბ შვერიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 98-81-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 98-97-02, 93-97-01. გადაეცემა სასაწყობად 18. 9. 81, ხელმოწერილია დასახელებად 15. 10. 81. ქალაქის ფორმატი 60x90¹/₃, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 2168, ტირ. 157 209. ეგვ. უე 14528.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობება.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60x90¹/₃, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 157 200 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1981 წ.



257834
156089
843970
453671
546328
2257832

ფოკუსის მიღება


ფოკუსის შემსრულებელი მაკურბელ-
თა დარბაზში მსხდომთ მიმართავენ, ერთ-
ერთი მათგანი სტენაზე ავიდეს, სტენაზე
ამოსულს იგი სთხოვს, დაფაზე დაწეროს
წეზბშიერი ციფრები ორ რიგად, თანაბ-
რი რაოდენობით, მეხამე რიგს თვითონ
ავსება, მეოთხეს — სტენაზე ამოსული,
მეხუთეს კი — ისევ თვითონ, ამის შემ-
დეგ იგი ელვის ხიხინაფთ წერს ხუთბა-
30 რიგში დაწერილი რიცხვების ჩამს.
ფოკუსი რომ გამოვიდეს, უმჯობესე-
ბელმა მესამე და მეხუთე რიგში ისეთი
ციფრები უნდა ჩაწეროს, რომ შაიი და
წინა რიგში დაწერილი ციფრების ჩამი-
შას უდრიდეს; ხაერთო, წამის გამოყენი-
ნას შემოიწერება ციფრები 2, შემდეგ პირ-
ველი რიგის ციფრები, ოღონდ ამ რიგის
ბოლო რიცხვს 2 უნდა გამოაკლდეს.

ამილ კიო
ნახატი ა. ზახაროვიკისა
ი. უნი ტენისა

თარგუმალად: 5. ხახის ხა-
რილებული; 6. არაბთა ხელი-
სუფლები წარმომადგენელი
საქართველოში არაბობის
დროს; 8. ხილი; 10. ცხვრისა
და თხის ფარ; 12. სოფელი
თერჯოლის რაიონში; 18. კარ-
თული ფურნალი; 14. ლითონის
კურბული; 16. რაიმე ახანავა-
ბის თითოეული წევრის მიერ
ხაერთო საქმეში შეტანილი წი-
ლი; 17. მუსიკალური ინსტრუ-
მენტი; 18. რიცხვი; 28. ცუ-
რი სხეული; 24. რიცხვი; 26.
ძირბენა მცენარე; 27. ალ-
უაზბეგის მოთხოვა; 29. კუძ-
ული კარიბის ზღვაში; 30. ქა-
როული კონფლიქტი; 32. მი-
ნარე შორეულ აღმოსავლეთ-
ში; 35. მდინარე თურქეთში;
36. თმის საფეხვი; 37. უკრძ-
ნის შაქარი; 40. სოფელი წა-
ლენჯის რაიონში; 48. ქა-
ლაქი ირანში; 45. ქალაქი რუ-
სეთში; 46. ურე სახალინთან;
47. ხილი; 48. XII საუკუნის
ქართველი პოეტი; 49. დამუ-
ტული აბიჯი; 51. მდინარე
ევროპაში; 52. სამშენებლო მა-
სალა; 58. ძველი თბილისის
ერთ-ერთი უბანი.

შვეულად: 1. სუბტროპიკ-
ული მცენარე; 2. ზიის სა-
ხელწიფი; 3. ქართული მი-
თოლოგიის გმირი; 4. დროის
ისტორიული მონაკვეთი; 5.
ზედმეტმარილიანი, ანუ? 7. გა-
რეული ცხოველი; 8. ქიმიური
ელემენტი; 9. ტროპიკული
მცენარე; 11. გაღმადნარი კა-
რაქი; 18. ალაფი, ანუ? 15. გა-
რეული ცხოველი; 19. შინაური
ფრინველი; 20. ავსტრიელი
კომპოზიტორი; 21. მგზავრო-
ბისას მგზავი საქირო სახელ-
საქმელი; 22. დახასყენებული

ადგილი: 24. დროშა, ანუ? 25.
წულმცენარე; 27. მდინარე
ვოლგის შენაკადი; 28. სოკოს
ქსელი, რომელიც უჩნდება კვი-
ბის პროდუქტებს; 31. „ბევის-
ბერი გოჩას“ პერსონაჟი; 38.
სახელმწიფო ევროპაში; 34.
მდინარე საქართველოში; 38.
კარგი მარბეხალი ცხენი; 39.
სახელმწიფო ევროპაში; 41. გა-
რეული ფრინველი; 42. მდინა-
რე



გამოცანები

ურეო ვარ,
შანც გიტყვი,
როდის დაიძინო,
როდის გაიღვიძო,
როდის წახვიდე სკოლაში.

შანანა ბოკუჩავა,
გულრიფშის შ. რუსთაველის სახელობის
სამშალო სკოლა, VII კლასი



6/12/80

ნონატი 76157
ფანტი 20 353
303-00000000

